

პაატა გუგუშვილი

ფიდიკე გოგიჩაიშვიდი

ცხოვრება და მოღვაწეობა
ბიბლიოგრაფია



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1973

001 (47.922) (09)

001 (47.922) (092 გოგიჩაიშვილი)

კ 927

წიგნში მოთხრობილია თბილისის უნივერსიტეტის ერთი დამაარსებლის, ცნობილი მეცნიერის, გამორჩეული ეკონომისტის, უურნალისტისა და საზოგადოებრივი მოღვაწის პროფ. ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობის შესახებ. რომლის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა 1972 წელს.

I. * * *

ქართველი საზოგადოებრიობა აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადოებრივი მოღვაწის პროფესორ ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილის დაბადების ასი წლისთავს.

ჩემთვის, მისი ერთ-ერთი მოწაფისათვის, უაღრესად სასიამოვნო და საპატიო მოვალეობაა მოკლედ მოგითხროთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ძირითადი ეპიზოდი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს თხრობა რამდენადმე თავისებური ფორმით უნდა წარიმართოს.

სამი ათეული წლის წინათ, მე ბედნიერება მქონდა თვით ფილიპე გოგიჩაიშვილის სიცოცხლეში, გამოვსულიყავი მოხსენებით მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; — ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტისა და ალკკ ორანიზაციის მიერ მოწყობილ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.

ახლა აქ უწინარეს მინდა წარმოვადგინო სწორედ ამ სიტყვის ექსტე. რა მოტივით? — ისაქმე ისაა, რომ მთელი ეს მასალა მოსენილია თვით ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

კიდევ მეტი. თვით ხელნაწერი გასაცნობად და, მაშასადამე, საირო შესწორებათა და დამატებათა გაკეთების მიზნით, მე თითქმის ერთი თვით ადრე გადავეცი ბ-ნ ფილიპეს. საიუბილეო საღამოზე რთი დღით ადრე დაბრუნებულ ჩემს ხელნაწერში არ იყო შეტანილი აბსოლუტურად არავითარი დამატება, მას ფანქრით წაეშალა რამდენიმე სიტყვა, მისი მოღვაწეობის მაღალი შეფასების შესახებ. სწორედ ეს მასალა მინდა უწინარეს წარმოვადგინო იმიტომაც, რომ გი, გარდა იმისა, რომ მის მიერ წაკითხული და მერმე მოსმენილია, ამასთანავე თითქმის მთლიანად დაბეჭდილი იყო მისსავე სიცოცხლეში.

II. ცხოვრებისა და მოღვაწეობის საერთო მიმოხილვა

1. * * *

კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდად აფასებდა და აფასებს ადამიანებს, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიც გნებავთ სარბიელზე, კერძოდ, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში თავიანთი უანგარო და კეთილსინდისიერი, გულმოდგინე და ნაყოფიერი მუშაობით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა უდიდესი პატივისცემითაა განწყობილი პროგრესული მეცნიერებისადმი. საბჭოთა ახალგაზრდობა ყოველთვის მოწიწებით ეპყრობოდა და ეპყრობა მეცნიერების მუშაკთ, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ სოციალისტური საზოგადოების შემდგომ კულტურულ დაწინაურებას, ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ახალი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც-კი სათანადო პირობები შეიქმნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანატი მხურვალელ გამოეხმაურნენ სტუდენტობის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივას, რათა დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-პედაგოგიური დამსახურებისათვის პატივისცემისა და კმაყოფილების გრძნობის გამოსახატავად აღნიშნული ყოფილიყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ფილოპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

პირადად მე პატივი მაქვს უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციისა და ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანატის დავალებით მოკლედ გაგაცნოთ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

2. მოწაფეობა

ფ. გ. გოგიჩაიშვილი დაიბადა 1872 წლის 20 იანვარს დ. ლანჩხუთში, სოფლის მღვდლის ოჯახში. პატარა ფილიპე ლანჩხუთისავე სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1880 წლიდან, სწავლობს ქ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მან 1887 წელს დაასრულა.

ქ. ოზურგეთში თავის მოწაფეობას ფ. გოგიჩაიშვილი ასე იგონებს: „როდესაც პირველად მამაჩემმა სამაზრო ქალაქში ჩამიყვანა, ერთ ოჯახში მიმაბარა, რომელსაც ჩემს შესანახად თვიურად ორ ყველს და ბათმან ფქვილს აძლევდა; მეორე ადგილას კი ჩემი შენახვისათვის თვიურად 15 შაურს უხდიდა. ოჯახი, სადაც მე მიმაბარეს, მეტად ღარიბი იყო, — არ გააჩნდათ არც ხარკამეჩი, არც კავი და არც ძროხა; ერთადერთ სამუშაო იარაღს თოხი წარმოადგენდა. ამ თოხით დამუშავებულ ყანაზე მოწეული მოსავლით ირჩენდა თავს ათი სულისაგან შემდგარი მთელი ოჯახი.

ამ ოჯახში ერთადერთ და საუკეთესო სადილ-ვახშამს ჭადი წარმოადგენდა, რასაც დღეში ორჯერ გვირიგებდნენ. ერთი ჭადი ოჯახის უფროსს უნდა გაეყო ყველა წევრისათვის. ვახშმად, როდესაც დაბალ სუფრას შემოვუსხდებოდით, ყველანი გულის ფანცქალით ვადევნებდით თვალყურს ჭადის გამწესრიგებელს, იმაზე ფიქრით, თუ რა ნაწილი გვერგებოდა თვითეულ ჩვენთაგანს.

ოჯახის უფროსი (გიგოია ქავეარაძე) პირჯვარს გადაიწერდა და მერე შეუდგებოდა ჭადის დახაზვა-დაჩხვრეტას ფრჩხილით. რათა თანაბარ ნაწილებად დაეყო ის. უნდა ითქვას, რომ ეგ დალოცვილი არაჩვეულებრივ მიუდგომლობას და სამართლიანობას იჩენდა და შემდეგ კიდევ ჭადის ნატეხებს ხელში ასწონიდა, — არავის დააკლდეს ან ზედმეტი ვისმეს არ ერგოსო. მთელი სადილი ან ვახშამი ამ ერთ ნაჭერ ჭადისაგან შესდგებოდა და, რასაკვირველია, ნამცეციც არა რჩებოდა ნასუფრალებზე.

ხანდისხან ჭადს დაერთვოდა ჩვენს მიერ, ბავშვების მიერ, ტყეში მოკრეფილი ეკალა, რომელსაც ტყისავე ტყემალთან ერთად დიასახლისს მივუტანდით, ხოლო უკანასკნელი მათგან საჭამადს ამზადებდა. ტყეში კიდევ ვპოულობდით ველურ პრასას და სხვა მწვანილებს, რომელთა საჭმელად გამოუსადეგარისაგან გარჩევა ძალიან კარგად ვიცოდით. მაგრამ ზამთრობით ტყეში ასეთი რამეების პოვნა აღარ შეიძლებოდა და ხშირად ასეთ ჩასატანებელსაც მოკლებული ვიყავით.

ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ჭადიც არა გვექონდა. მაშინ ერთგვარ ცერცვის მსგავს პარკოვანს, ხანჭკოლას, რომელსაც არა-

ჩვეულებრივი სიმწარე აქვს — სამი დღით წისქვილის წყალში ჩავე-
დებდით და ამასობაში სიმწარე დაეკარგებოდა. წყლით იჟლინებო-
და, რის მერმეც მას გეახლებოდა.

დღით ბავშვები სკოლაში უჭმელი მივდიოდით. გზაზე ფურნე-
ებში გამოდებულ ცხელ პურებს სიხარბით ვუცქეროდით... გაჭირ-
ვების შესამსუბუქებლად ერთი ხერხი ვიპოვნე. მეწისქვილის ბიჭს
კენჭაობას ვეთამაშებოდი ფქვილზე და ყოველთვის ვუგებდი, ვინა-
იდან ამ თამაშში მეტად დახელოვნებული ვიყავი“. — ამრიგად მო-
გებულ ფქვილისაგან პატარა ფილიპე თვითონვე გამოაცხოდა ჭადსს
ნალვერდალში და დაძინების წინ მიირთმევდა.

არანაკლებ საინტერესოა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მოგონება
იმდროინდელი სკოლისა და სწავლის პირობების შესახებ:

ოზურგეთში „რუსულს გვასწავლიდა ერთი სახელმწიფო მოხე-
ლე, რომელიც შემდეგში სამსახურიდან იამოაგდეს; გვარად ჭკუასე-
ლი იყო. ვსწავლობდით უშინსკის „Родное слово“-ს. წიგნი არავის
მოგვეპოვებოდა და ვაწარმოებდით ჩაწერას სიტყვებისას. რასაც
შემდეგ ვიზეპირებდით. ამ წიგნში არის ერთი თავი „Грибы“, სადაც
სხვადასხვა სახისა და, მაშასადამე, სახელწოდების სოკოებია ჩამო-
თვლილი.

მასწავლებელმა სოკოების რუსულ სახელწოდებათა გვერდით
ჩამოგვაწერია: პირველთან — „ერთნაირი სოკო“, მეორესთან —
„მეორენაირი სოკო“ და ასე... „მეცხრენაირ სოკომდე“. ასეთი ქარო-
თული შესატყვისი სწორედ იმისათვის უნდა მიგვეკუთვნებოდა, რომ-
ლის გასწვრივაც იყო მიწერილი. წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძნელი
იქნებოდა 9—10 წლის ბავშვისათვის ამის დაზეპირება. ასეთი სკო-
ლისა და მასწავლებლის შემდეგ, როდესაც სემინარიაში (თბილისში)
მისაღებად მცდიდნენ, „აქცენტი დამიწუნესო“, — ირონიულად
დასძენს ფ. გოგიჩაიშვილი.

1887—1893 წწ. ფ. გოგიჩაიშვილი თბილისის სასულიერო სემი-
ნარიაში სწავლობს. მაგრამ სემინარიის პერიოდშიც არ ყოფილა მი-
სი ცხოვრება სახარბიელო. იგი, როგორც არა ბურსელი, სემინარიის
გარეთ დიდ ხელმოკლეობაში ცხოვრობდა. ის თვითონვე აღნიშნავს:

„არაჩვეულებრივად თავმომაბეზრებელი და დამქანცველი იყო
ბერების დაუსრულებელი წირვა — რაც ხუთ საათს გრძელდებოდა
და რა ხნის განმავლობაში ფეხზე დგომა გვიხდებოდა. დროს მოსა-
გებად მე პატარა რვეული იავიჩინე და (წირვის დროს) ფრანგულს
ვსწავლობდი ფარულად. — ვინაიდან მისი სწავლა პროტესტანტული
სულის მაჩვენებლად მიაჩნდათ. რვეულში ვიწერდი ფრანგულ სი-

ტყვებს, რასაც წირვის დროს ვიზეპირებდი. ამისათვის ბევრჯერ კარცერშიც ვმჯდარვარ“.

ფ. გოგიჩაიშვილი სემინარიაში არალეგალურ ჯგუფშიც მეცადინეობდა. „ამ ჯგუფში რეფერატების კითხვა, საუბარი, წიგნების კითხვა-გარჩევა სწარმოებდა“. მესამე კლასს შემდეგ მას საკუთარი ჯგუფი ჰყავდა, სადაც კითხულობდნენ პისარევს, ჩერნიშევსკის, მიხაილოვსკის, ლავროვს, „Колокол“-სა და მისთანებს.

* * *

სემინარიის კურსდამთავრებულთ გამოცდების ჩაბარების გარეშე უნივერსიტეტში არ ღებულობდნენ. იშოვნა რა თბილისში სათანადო წიგნები, ფილიპე სოფელში წავიდა მოსამზადებლად. მამას იგი მღვდლად უნდოდა და არ მოეწონა მის მიერ სწავლის გაგრძელების სურვილი. მალე იგი მამამ ნასესხები ფულით სამსახურის საშოვნელად გაისტუმრა.

ერთმა ნაცნობმა (ვ. დარჩიამ) მას დახმარება გაუწია ზესტაფონში, მარგანეცის მრეწველის ნიკოლოზ ლოლობერიძის კანტორაში მოწყობილიყო — ფრანგული კორესპონდენციის მწარმოებლად. როგორც თვითონ გადმოგვცემს, მას ძალიან შეშინებია ასეთი თანამდებობისა, „ვინაიდან ფრანგი არსად მენახა, ფრანგული ლაპარაკი არსად გამეგონაო“. მაგრამ ბეჯითობამ და გულმოდგინებამ თავისი გაიტანა. მან შეძლო დამოუკიდებელი მეცადინეობით მიღებული ცოდნით და ლექსიკონების დახმარებით ფრანგული ხელნაწერი წერილების თარგმნა და თვით პასუხების შედგენაც, თუმცა, მართალია ამისათვის ღამეებს ათენებდა.

შემდეგში ამ საქმეში ისე გაიწაფა, რომ ნ. ლოლობერიძე ფილიპე გოგიჩაიშვილს — თავის ბუხჰალტერ-კორესპონდენტს — თავიდან არ იშორებდა, რადგან მასში შრომისმოყვარე და ერთგულ მუშაკს ხედავდა.

ფ. გოგიჩაიშვილმა ზესტაფონშივე გაიცნო იმ დროისათვის უკვე ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც შემდეგში ფრიად დიდი როლი შეასრულა ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრებაში. ზესტაფონსა და ბათუმში 2—3 წლის მუშაობის (1894—1896 წწ.) შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა პ. უმიკაშვილმა თავისი ხარჯით გაგზავნა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. იგი ძალით დაიყოლიეს, რომ სხვისი ხარჯით უცხოეთში წასულიყო. უფრო ადრე მან კატეგორიული უარი განაცხადა დავით სარაჯიშვილის (ცნობილი მეწარმისა და მეცენატის) ხარჯით წასულიყო საზღვარგარეთ.

3. უცხოეთში — უმაღლესი განათლების მიღებისათვის

გერმანიაში იგი უმთავრესად ლაიფციგში სწავლობდა. სადაც, ყოველთვის ურად პ. უმიკაშვილისაგან ხუთ თუმანს ღებულობდა. უნივერსიტეტის კურსი დასრულებული ჰქონდა. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა, როდესაც ფ. გოგიჩაიშვილმა მამისაგან გზრიდან, წერილი მიიღო: „მეზობელმა მღვდელმა სამრევლოს წართმევა მომინდომა და საქმეს მხოლოდ ის უშველის, თუ შენ განცხადებას შეიტან ეგზარხოსთან, რათა მამიშენის მრევლი შენ გადმოგცენო“.

მოხუცი მამისათვის ცხოვრების სახსრის შენარჩუნებისა, დისერტაციის დასრულებისა და დაცვის შესაძლებლობისათვის მან ასეთი თხოვნა მართლაც გამოუგზავნა ეგზარხოსს, თუმცა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, არამცთუ თვითონ არ კურთხეულა მღვდლად. არამედ მამამისმაც თავი დაანება ხუცობას.

როგორც ითქვა, ფ. გოგიჩაიშვილი უცხოეთში პ. უმიკაშვილის ხარჯით წავიდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პ. უმიკაშვილი იყო ფ. გოგიჩაიშვილის ნამდვილი სულიერი მამა და ცხოვრების გზის გამკაფავი ადამიანი. მეგობრობის ამგვარი მოვლენა იმდენად იშვიათია, რომ მე ვბედავ აქ რამდენიმე სიტყვით შევეხო მას.

პეტრე უმიკაშვილი ფილიპე გოგიჩაიშვილს სწერდა: 1. „ჩემი ფიქრი მუდამ შენსკენ არის. მინდა დარწმუნებული ვიყო. რომ ჯანმრთელად ხარ, მუშაობ წრესგადაუსვლელად. გულდამშვიდებული, გონებადამშვიდებული...“.

2. „გეყოფა ფრანცუზული და ნემეცური, ინგლისურიც გინდოდა გესწავლა. ენების შესწავლას დიდი დრო უნდება და ტვინის მოლაღვა...“;

3. „ვეფხის ტყაოსნის“ სიტყვები მაგონდება... გაქვს კი „ვეფხის ტყაოსანი“? ხანდახან წაიკითხე და ნემეცურად ჩააკვირდი, ქართულად იგრიქენ და მარტოობაში, შორს ყოფნაში, მეგობრობას გაგოწვეს...“;

4. „შენ პირველ წერილში იწერები... (ფულზე უნდა იყოს საუბარი — პ. გ.) ამაზე რა ლაპარაკი გინდა. არ მოგიკვდეს პეტრე. არაფერი გაფიქრებინოს. ნუ ხარ ხანდახან ტუტუცი...“.

და, ბოლოს, კიდევ უკანასკნელი ამონაწერი ერთი წერილიდან:

5. „თავს კარგად მოუარე, გაძელ მანდაურის სიკეთით და მერე, თუ დარი დამიდგა, კარვახანს მანდ ყოფნის შემდეგ, — მოეხვიე, თუ ცოცხალს მოუსწარ, შენს პეტრეს...“

ფილიპემ სწავლა დაამთავრა, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და მართლაც რომ ჩამოუსწრო პეტრეს.

პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში ფ. გოგიჩაიშვილი მათი შემდგომი ურთიერთობის შესახებ, 1937 წელს მოგონების სახით წერდა:

„ჩემი დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ორ წელიწადს იცოცხლა. არ ვიცოდი — არ გაუშხელა — ვინ ეხმარებოდა ჩემ შენახვაში. ვიცოდი მხოლოდ: ნ. ლოლობერიძე და დ. სარაჯიშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ მის ქალღმერთებში ვიპოვე ცნობა იმ პირთა შესახებ, რომელნიც მას თურმე ეხმარებოდნენ. დღესაც არ ვიცი. მათში ხომ არ გამომჩნა ვინმე. მე იმით ვიხელმძღვანელებ. რაც აღმოვაჩინე: ამ პირთ თანდათან, რამდენიმე წლის განმავლობაში, ვალი გადაუხადე მალ-ლობით და ბოდიშობით“.

„არ გადამიხდია ნ. ლოლობერიძისათვის და დ. სარაჯიშვილისათვის, არც პეტრესთვის. პირველნი ჩვენში სწავლა-განათლების მეცენატები იყვნენ და გაცემულს არ იბრუნებდნენ, ხოლო პეტრე ღარიბი კაცი იყო და კი უნდა მიეღო განაცემი, თუმცა არ ვიცი, როგორ უნდა მოხერხებულყო მისი დაყოლიება ამაზე. სიკვდილმა მოუსწრო. მაგრამ რა — რომ კიდევ მოხერხებულყო, განა ეს იქნებოდა გადახდა? ეს იყო ვალი, რომელიც, რაგინდ მეხადნა მაინც ვალად დარჩებოდა მუდამ და კიდევ დარჩა. აბა სად შემოვსა ის ზღვა გრძობა მისთვის იმ სამაგიეროს მისაზღავად, რაც მას ჩემგან შეეფერებოდა“.

ამგვარად, პ. უმიკაშვილს სიცოცხლეში „ვერ გადაუხადა“ სამაგიერო. მაგრამ გარდა სიცოცხლეში მისთვის მიზღული სიამისა, პ. უმიკაშვილის დასაფლავების მთელი ხარჯი თვითონ ფილიპემ გასწია და შემდეგშიაც მან ბევრი რამ იგააკეთა მისი სახელისათვის.

1935 წ. შემოდგომა იყო. თბილისში ერთი საყურადღებო გამოფენა გაიხსნა. ბ-ნ ფილიპესთან სახლში მივედი იმ ვარაუდით. რომ მის დასათვალიერებლად წამეყვანა. ეს მთხოვა ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა, რომელსაც იქ ფილიპე გოგიჩაიშვილთან შეხვედრა ჰქონდა განზრახული.

— ვერა, ვერ წამოვალ, მითხრა ფილიპემ, — მართალია, ჩემთვის სასიამოვნო იქნება მისი დათვალიერება, მაგრამ თვით გამოფენას ჩემი მისვლა ვერაფერს შემატებს, ხოლო მე ჩემი წმიდანისადმი. პეტრესადმი (იცოდა, ჩემთვის გასაგები იქნებოდა, თუ რომელ პეტრეზეა ლაპარაკი) უკვე აბსოლუტურად გადაუდებელი სამსახურის შესრულებაში ხელს შემიშლის... სადაცაა სიკვდილი მიახლოვდება და რა--

ღაც საოცარი ძალაა, რომ მაძლებინებს. რათა ეს სამუშაო დავასრულო, თორემ აქამდე, ალბათ, ვერ მოვატანდიო.

იმ ხანებში, როგორც იტყვიან, თავაულებლად მუშაობდა პეტრე უმიკაშვილის მასალებზე — ხალხური ზეპირსიტყვაობის ჩაწერილ ტექსტებზე, რომელთაც გამოსაცემად ამზადებდა. მან აგრეთვე დაწერა უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიული ნარკვევი თვით პეტრე უმიკაშვილზე.

ცხადია, ვალის იცადანდაზე თუ ვილაპარაკებთ სულიერი მამისა და აღმზრდელისადმი, ამის შესრულება უთუოდ უნდა მომხდარიყო არა ნივთიერი, არამედ სულიერი საზღაურის სახით. ხოლო პროფ. ფ. გოგოჩაიშვილმა მთელი თავისი ნახევარსაუკუნიანი საზოგადოებრივი, ლიტერატურული, პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობით უხვად აანაზღაურა მისთვის პ. უმიკაშვილისა და სხვა მამულიშვილთა მიერ გაწეული ამაგი; — მათი მიზანიც ხომ ფ. გოგოჩაიშვილის სწორედ ამ მოღვაწეობისათვის მომზადება იყო.

როგორც აღვნიშნე, უცხოეთში ფ. გოგოჩაიშვილი უპირატესად ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა. მხოლოდ ერთი სემესტრი დაჰყო მან მიუნხენის უნივერსიტეტში. ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ეკონომიკის (ე. წ. კამერალურ მეცნიერებათა) განყოფილების კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, 1901 წელს, დისერტაციის საჯაროდ დაცვის შედეგად მან მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის მეცნიერული ხარისხი¹ (საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი მიენიჭა 1935 წელს—საბჭოთა მთავრობის მიერ მეცნიერული ხარისხების შესახებ მაშინ გამოცემული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე).

¹ სადოქტორო დისერტაციის დაწერის სამზადისში ფ. გოგოჩაიშვილმა გერმანიაში შეადგინა ვრცელი პროგრამა (ანკეტა) საქართველოს მრეწველობის ეკონომიკის შესწავლასათვის, რაც აქ გამოუგზავნა თავის მეგობრებს, რათა დახმარებოდნენ საჭირო მასალის შეგროვებაში. ამ მხრივაც მისი პირველი მრჩეველი და დამხმარე იყო პეტრე უმიკაშვილი. რომელიც 1899 წ. 26 თებერვალს თბილისიდან ლაიფციგში ფ. გოგოჩაიშვილს სწერდა:

„ძალიან სასიამოვნოა და მიხარია შენი პასუხი: საგანი დისერტაციისა კარგიაა. შენი დისერტაციისათვის მასალების შეკრებას შევუდექი და იმედი მაქვს, რაც კვირამ მოიპოვება ვიშოვნო... ნაწილ-ნაწილ გამოგიგზავნი შეკრებისთანავე. გამოვიკითხე და კიდევაც ვიკითხავ რაც რამ შეეხება შენს თემას „ოჯახურ ინდუსტრიას“. ამგვარად, ეს ბარათი არსებითად ათარიღებს ხსენებულ პროგრამასაც (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი. პ. უმიკაშვილის ფონდი. № 10, ფურც. 1).

ფ. გოგიჩაიშვილის მიერ ლაიფციგში დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებას ფართოდ გამოეხმაურნენ იმდროინდელი ქართული პერიოდული ორგანოები. მაგალითად, გაზეთ „კვალის“ კორესპონდენციაში (გერმანიიდან) ვკითხულობთ:

„... ოფიციალური განხილვის შემდეგ პროფესორთა კრებულმა მოიწონა (შრომა) და დისერტანტს დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ფაკულტეტის პროფესორმა კ. ბიუხერმა (იგი) უმაღლესი ნიშნით დააჯილდოვა, რაც იშვიათ მოვლენას შეადგენს ბიუხერის ცხოვრებაში...“.

„აი. რა მსჯავრი წარმოსთქვა პროფ. ბიუხერმა: „...გარდა იმისა, რომ ბ-ნ დოქტორ გოგიჩაიშვილის შრომა კარგის სტილით არის დაწერილი და ფაქტები ერთს დედა აზრზე ხელოვნურად ასხმული, ავტორს ბევრი ორიგინალური აზრი აქვს გატარებული მეცნიერთა საყურადღებოდ და საგულისხმოდ; მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი სემინარის წევრმა ასე სამაგალითო შრომა გვიჩვენაო“ (იხ. „კვალი“. 1901 წ., № 15, გვ. 238).

იმავე 1901 წ. ტუბინგენში ცალკე წიგნად გამოიცა ფ. გოგიჩაიშვილის ხსენებული სადისერტაციო ნაშრომი („Das Gewerbe in Georgien...“) ¹. ამ წიგნზე ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა სხვათა შორის იმავე წლის „კვალის“ №№ 29 და 30.

ფ. გოგიჩაიშვილის ხსენებული შრომა გამოიცა „Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaften“-ის პირველი დამატების სახით; ამრიგად კი „მხოლოდ ისეთი გამოკვლევები იბეჭდება, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათ და თავისი შინაარსით არსებითად უწყობენ ხელს მეცნიერების განვითარებას“.

მოყავს რა ეს თვით გერმანული ჟურნალის რედაქციის ზოგადი დახასიათება, „კვალის“ რეცენზენტი თავის მხრივ აცხადებს: „აქედან სჩანს, რა მნიშვნელობას აძლევს ახალგაზრდა მეცნიერის შრომას ერთი უდიდესი კორიფეი ეკონომიკური მეცნიერებისა ბიუხერი და ჩვენ... ვიტყვით, მხოლოდ, რომ ეს წიგნი მეტად საინტერესოა ევროპის მეცნიერებისათვის; იგი აცნობს მათ სრულიად ახალ მხარეს, და იმ მხრივ, რომელიც ხელშეუხებელია ევროპის მეცნიერებისაგან; არა თუ ეკონომიურ-სოციალური მხრით, სახელითაც ძლივს გვიცნობს ჯერ კიდევ ევროპა და ყოველ სხვა ღირსებათა გარდა, ამითაც ძვირფასია ეს შრომა ჩვენთვის“; რეცენზენტი ვრცლად გად-

¹ Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen, Tübingen, 1901.

მოსცემს რა ჟურნალის ორი ნომრის ფურცლებზე ფ. გოგიჩაიშვილის შრომის შინაარსს, დასასრულ აღნიშნავს: „ჩვენთვის ეტად საინტერესოა გოგიჩაიშვილის შრომა ქართულ ენაზედაც დაბეჭდოს“ („კვალი“, 1901 წ., №29 და 30, გვ. 686--703). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ქართულად აქამდე არ გამოკე-
მულა და მხოლოდ ახლა იბეჭდება თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა როლი ითამაშა ფ. გოგიჩაიშვილის ამ შრომამ დასავლეთ ევროპაში საქართველოს მცოდნეობის გავრცელებისათვის, საერთოდ ქართველოლოგიაში, საკმარისა აღვნიშნოთ, რომ თვით კ. ბიუხერმა თავისი ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი თხზულების — „შრომა და რიტმის“ მორიგ გამოცემაში შეიტანა ფ. გოგიჩაიშვილის წიგნის მიხედვით დაწერილი სპეციალური თავი კერძოდ საქართველოს შესახებ (იხ. მეოთხე გერმ. გამოც. 1909, ლაიფც.-ბერლ., გვ. 268 — 280: უკანასკნელი რუს. გამოც., გვ. 197—207).

ბიუხერის ეს თხზულება თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი ხალხის ენაზე. მაგრამ ამ მხრივ იქნება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის გარემოება, რომ იმავე პროფ. კარლ ბიუხერმა, თავის მეორე კიდევ უფრო ცნობილი და მრავალ სხვადასხვა ენაზე მრავალჯერ გამოცემული წიგნის, „სახალხო მეურთეობის წარმოშობის“ მეოთხე გამოცემაში (1904 წ.) შეიტანა მასალა ამერიკაკვასიის შესახებ და ამ შემთხვევაში იგი ისევ ფ. გოგიჩაიშვილის შემოხსენებულ მონოგრაფიას ემყარება (იხ. მეექვსე გერმ. გამოცემა, გვ. 105, 160, 168; 1923 წ. რუს. გამოცემა, გვ. 56, 87, 91) ¹.

4. სამშობლოში—საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფერხულში

დისერტაციის დაცვის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი კიდევ 1 წელიწადი ცხოვრობდა დას. ევროპაში, უმთავრესად პარიზში. სადაც მუშაობდა ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მიუხედავად წინადადებისა, გაეგრძელება სამეცნიერო მუშაობა გერმანიაში, იგი 1902 წ. ბრუნდება სამშობლოში და აქ ებმება ფართო საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ-სამეცნიერო მოღვაწეობაში. 1907 წელს ფ. გოგიჩაიშვილმა

¹ აქ ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა სხვა შემთხვევა რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში მსოფლიო მასშტაბით ესოდენ გავრცელებულ ზოგადმეცნიერულ შრომებში, როგორც კარლ ბიუხერის დასახელებული თხზულებანია, ასე ვცლადდ ყოფილიყოს წარმოდგენილი ქართველოლოგიური მასალა.

ცოლად შეირთო ელენე ცხვედაძე, — გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის შენობის (1-ლი კორპუსი) აგების მთავარი ორგანიზატორის ნიკოლოზ ცხვედაძის ასული.

ფ. გოგიჩაიშვილი მსახურობდა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში: განაგებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს, სადაც ხელმძღვანელობდა სტატისტიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევებს (1903—1913 წწ.); იყო სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებულად ამიერკავკასიაში (1914—1916 წწ.); კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარედ (1917—1918 წწ.); სახელმწიფო კონტროლიორად (1918—1920 წწ.) და სხვ.

1918 წელს ფ. გოგიჩაიშვილმა, როგორც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრმა, უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასა და ორგანიზაციაში. ფ. გოგიჩაიშვილი ამასთანავე იყო უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა მცირერიცხოვანი შემადგენლობის ერთ-ერთი უაღრესად ავტორიტეტული და მსოფლოში სახელმძღვანელო პეცნიერი.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა იმთავითვე დაიწყო ლექციების კითხვა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიკურ განყოფილებაში. პირველ ხანებში ფ. გოგიჩაიშვილს აქ ლექციების კითხვა უხდებოდა რიგ ძირითად ეკონომიკურ დისციპლინაში. როგორცაა პოლატიკური ეკონომია, პრაქტიკული პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ფინანსური მეცნიერება, ზოგადი და სპეციალური სტატისტიკა, ტრანსპორტის ეკონომიკა და სხვ. იგი ხელმძღვანელობდა ამ სამეცნიერო დისციპლინების სემინარებსაც.

1918 წლიდან მოყოლებული მთელი ორი ათეული წლის მანძილზე ფილიპე გოგიჩაიშვილი ჩვენს უნივერსიტეტში არსებითად იყო ერთადერთი პროფესორი-ეკონომისტი, რომელსაც კისერზე აწვა როგორც ლექციების კითხვა, ასევე ზრუნვა ეკონომიკური (სოციალურ-ეკონომიკური) ფაკულტეტის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისათვის.

ამასთანავე მოსახსენებელია ის სიძნელეებიც, რომლებიც მაშინ, სათანადო ქართული ტერმინოლოგიის დაუმუშავებლობის პირობებში, უნდა გადაელახა ლექტორს, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების რამდენიმე დისციპლინის კურსს კითხულობდა.

გასაგებია, ასეთი დატვირთულობის პირობებში ფ. გოგიჩაიშ-

ვილს, მიუხედავად დიდი სურვილისა, უკვე დრო და შესაძლებლობა არ რჩებოდა ლიტერატურულად გაეფორმებია მის მიერ წაკითხული კურსები, ე. ი. დაეწერა იმ საგნების სახელმძღვანელოები.

მაგრამ ქართულ ენაზე ძირითად ეკონომიკურ დისციპლინებში ლექციების მომზადებისათვის გაწეულმა შრომამ არაპირდაპირი სახით ლიტერატურულად მაინც თავი იჩინა მარქსიზმის ფუძემდებელთა ეკონომიკური თხზულებების იმ დიდებულ თარგმანებში, რაც რიგი წლების განმავლობაში შესრულდა ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ.

ამასთანავე 1920 წელს დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთს. გერმანიასა და ინგლისში) მივლინებით ყოფნის დროს ფ. გოგიჩაიშვილმა არამცირედი შრომა გასწია ჩვენი უნივერსიტეტის ფუნდამენტურა ბიბლიოთეკისათვის საჭირო, მეცნიერების სხვადასხვა დარგის დიდძალი უცხოური ლიტერატურის შეძენისა და გადმოგზავნის სახით.

* * *

სამეცნიერო-პუბლიცისტური მოღვაწეობა ფ. გოგიჩაიშვილმა დაიწყო 1892 წლიდან, რა დროიდანაც მისი კორესპონდენციები და ფელეტონები იბეჭდებოდა ილ. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ (პირველი სტატია აქ დაიბეჭდა გაზეთის № 139, 14 ივლისი, 1892 წ.). აქ გოგიჩაიშვილი აღწერს გურიის გლეხთა მძიმე ეკონომიკურ პირობებს, ცარიზმის ადმინისტრაციის პარპაზს; ეხება აგრეთვე სწავლავანათლებისა და კულტურის საკითხებს. პირველ ხანებში იგი იბეჭდებოდა უ გ ვ ა რ ო ს ფსევდონიმით.

ამ დროიდან მოყოლებული, იგი უახლოესი თანამშრომელი იყო, გარდა „ივერიისა“, ჟურნალების — „მოამბის“, „კვალის“, გაზეთების — „ცნობის ფურცლის“, „საქართველოს მოამბისა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებისა. 1905 -- 1906 წწ. თვითონ რედაქტორობდა გაზ. „ივერიას“. მისი სტატიები, ნარკვევები, ფელეტონები, გაზეთის მოწინავეები ეხებიან იმ დროისათვის საჭირობოროტო საკითხებს. რისთვისაც ცარიზმის ცენზურა ხშირად კრძალავდა მის ნაწერებს. 1909 წ. ფ. გოგიჩაიშვილი დაპატიმრებულიც იყო ცარიზმის სწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის.

ცალკე წიგნად მისი ნაშრომი, როგორც აღვნიშნეთ, პირველად გამოიცა 1901 წ. ტუბინგენში; ეს იყო სადისერტაციო შრომა. შემდეგ ცალკე წიგნებად გამოცემულ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კაპიტალურ გამოკვლევას: „Частное землевладение в Тифлисской и Кутаисской губерниях“, 1910 წ. ორ ნაწილად.

აი როგორ გადმოგვცემს ფ. გოგიჩაიშვილისათვის ამ შრომის დაწერის დავალების გარემოებას გ. ლასხიშვილი თავის „მოგონებაში“.

მწვავე აგრარული ვითარების გამო დიდად საჭირო იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის „მიწათმფლობელობისა და სოფლის ეკონომიური ცხოვრების სხვა მხარეთა სტატისტიკური გამოკვლევა. ამ საქმის მოსაგვარებლად მოწვეულ იქნა ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სტატისტიკოსი ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეაგროვა და გადაამუშავა ფრიად საინტერესო და დიდი სტატისტიკური მასალა“ (იხ. გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, 1934 წ., თბ., გვ. 192).

საერთოდ ფ. გოგიჩაიშვილი ავტორია დიდძალი გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციისა, რომელთა (შრომების, მონოგრაფიების, საჟურნალო ნარკვევების, ფელეტონების, პუბლიცისტური სტატიების) რაოდენობა 300-ზე მეტია.

ფ. გოგიჩაიშვილის ეს ნაწერები შეეხება საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების იმდროინდელი და ნაწილობრივ წინააღმდეგობით სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ფრიად მრავალგვარ და აქტუალურ საკითხებს. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები 1890—1900-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გარდა იმ ფრიად სერიოზული როლისა, რაც ამ კატეგორიის მისმა შრომებმა შეასრულეს მაშინდელ პრაქტიკულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათი ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ამ შრომებს გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების, განსაკუთრებით აგრარულ ურთიერთობათა ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი.

* * *

განსაკუთრებულის ნაყოფიერებით მუშაობდა ფ. გოგიჩაიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მან, როგორც სათანადო ორგანოების დავალებით, ისე საკუთარი ინიციატივით დიდი, ფრიად რთული, და საპასუხისმგებლო მუშაობა ჩაატარა მარქსიზმის ფუძემდებელთა—კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა გერმანულიდან და ფრანგულიდან ქართულად თარგმნის საქმეში. ამ მუშაობისათვის მან მიიღო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ჯილდო.

1930 წ. გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილის ძირითადი მონაწილეობით თარგმნილ-რედაქტირებული კარლ მარქსის „კაპიტალის“ I ტომი.


მხოლოდ მომდევნო წლებში თვითონ საკუთრად მის მიერ ითარგმნა და გამოქვეყნდა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1932). „ფილოსოფიის სილატაკე“ (1931), „კაპიტალი“ II ტომი (1933 წ.). III ტომი, ნაწილი I (1932 წ.). III ტომი, ნაწილი II (1934 წ.). „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1940 წ.) და სხვ.

ამას გარდა იგი მონაწილეობდა მარქსისა და ენგელსის თითქმის ყველა სხვა თხზულებათა თარგმნასა და რედაქტირებაში. ცნობილია, რომ ფ. გოგიჩაიშვილის მიერ გერმანულიდან შესრულებულმა ამ ქართულმა თარგმანებმა საყოველთაო მოწონება და მაღალი შეფასება მიიღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მან მთელი ეს მუშაობა, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში შეასრულა. აქვე დავსძენ, რომ ფ. გოგიჩაიშვილმა ფ. ენგელსისეული გამოცემის მიხედვით პირველი რედაქცია გაუკეთა „კაპიტალის“ I ტომის მეორე ახალ ქართულ თარგმანს.

მარქსიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ეკონომიკური შრომების ქართულად თარგმნით პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა არა მხოლოდ დიდი ღვაწლი დასდო თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს, არამედ, — და ეს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, — პირველად მხოლოდ მისი დიდი მთარგმნელობითი მუშაობის მეოხებით შეიქმნა შესაძლებელი ქართველი საბჭოთა ახალგაზრდობა და საერთოდ ქართველი მკითხველი საზოგადოება თავის მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ამ გენიალურ შრომებს; — კვლავ ვიმეორებთ, რომ ეს, ჩვენის ფიქრით, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურებაა.

ფ. გოგიჩაიშვილი თანამშრომლობდა აგრეთვე საბჭოთა პერიოდულ ორგანოებში (ყურ. „საქართველოს სოციალისტური მემორანდო“ და სხვ.), სადაც ათავსებდა სტატიებს ეკონომიკურ საკითხებზე; წერდა და აქვეყნებდა მოგონებებს ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ. მაგალითად, მოგონებები ილ. ჭავჭავაძეზე, აკ. წერეთელზე, იაკ. გოგებაშვილზე და სხვ.; მისივე რედაქციით და ვრცელი წინასიტყვაობით გამოიცა აგრეთვე პ. უშიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“, ტ. I (1939 წ.).

ფ. გოგიჩაიშვილმა ფრიად საყურადღებო მუშაობა ჩაატარა აგრეთვე გერმანულიდან და რუსულიდან რიგი სახელმძღვანელოს თარგმნითა და რედაქტირებით. მანვე ინგლისურიდან თარგმნა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსთა შრომები: დ. რ ი კ ა რ დ ო ს — „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვე-



ფილიპე გოგიჩაიშვილის პორტრეტი
(მხატვარი კ. სანაძე)

ოის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1938) და სხვ.

ფ. გოგიჩაიშვილი აქტიურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიისა და საქართველოს სსრ საგეგმო და საფინანსო ორგანოებში. მუშაობდა ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებში. ამიერკავკასიისა და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატებში, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკულ სამმართველოში. ამ დაწესებულებებში მისი უშუალო მონაწილეობით. ინიციატივითა და კონსულტაციით დამუშავებულია რიგი სახალხო-მეურნეობრივი, სტატისტიკური და ფინანსური პრობლემები.

თვალსაჩინოა ფ. გოგიჩაიშვილის დამსახურება საბჭოთა ეკონომისტთა კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა და დაგეგმვის სხვადასხვა დარგებში ანდა როგორც პროფესორები და დოცენტები ეწევიან მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ინსტიტუტებში.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშიც. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა. ფ. გოგიჩაიშვილი ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას. იგი სათანადო დავალებებს ყოველთვის პირნათლად ასრულებდა.

ძაგალითად, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1939 წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერაში: მოხსენებების წაკითხვით, პრესაში გამოხსენებით და სხვ.; ეხმარებოდა სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევათა გადაცემა-გაზიარებით; იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი; თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო გამოცდების კომისიას, იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. აქ, სხვათაშორის, იგი სისტემატურად მუშაობდა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემდგენელთა კოლექტივში.

5. ჩემი მოგონებანი

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ და ბიოგრაფიულ ფაქტებს, დასასრულს, რამდენიმე სიტყვა ჩემგანაც უნდა დავუმატო. ფილიპე გო-

გიჩაიშვილის სახელი, რაქდენადაც მახსოვს, პირველად გავიგონე 1921 წელს. ქუთაისში ვსწავლობდი. ჩვენი გერმანულის მასწავლებელი ჩხეიძე ფრიად გასწავლული ადამიანი იყო. ხელოვნების დიდი მოყვარული. გერმანული ენისადმი რომ მეტი ინტერესი გამოგვეჩინა, იგი ხშირად ისეთ ტექსტებს გვიკითხავდა. რომლებიც საქართველოს შეეხებოდნენ. მაგალითად. ბოდენშტედტისა და არტურ ლაისტის ნაწერებს, ლექსებს, მოთხრობებს; ქართველი მწერლების (ილ. ჭავჭავაძისა და სხვ.) გერმანულ თარგმანებს.

ერთხელ მან ერთი სქელტანიანი წიგნი მოიტანა. ეს იყო კ. ბიუხერის „შრომა და რიტმი“ - - „Arbeit und Rhythmus“ და ჩვენდა განსაცვიფრებლად, გვიჩვენა. რომ ამ წიგნში საქართველოს შესახებ ცალკე პარაგრაფი იყო. ცოტა რამ გვითხრა კ. ბიუხერის ვინაობაზე და იმის შესახებაც, რომ ეს პარაგრაფი — საქართველოს ყოფიერების, კერძოდ შრომითი სიმღერების ტექსტებით და სხვ., რაც მან თითქმის მთლიანად წაგვიკითხა და გვითარგმნა — ამ მრავალ ენაზე გამოცემულ წიგნში შესული იყო ქართველი მცენიერისა და საზოგადოებრივი მოღვაწის ფილიპე გოგიჩაიშვილის წყალობით.

მახსოვს მოწაფეებში ერთი ყრიაშული ატყდა, როდესაც მასწავლებელი ამ გერმანულ წიგნში ჯერ ქართულად და მერმე გერმანულად კითხულობდა:

„სიმინდსა თოხნა დავუწყეთ.
ერთხმად დავსძახეთ მუშური.
იქნებ მაშინ დავგავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედურნი...“.

ანდა კიდევ:

„საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
აგების ღამეს ღვინოსა?
ჭადი ჭამოს და წყალი სვას
დაწვეს და დაიძინოს!“

* * *

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი პირადად დავინახე 1923 წელს, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გავხდი და პირველად მოვისმინე მისი ლექცია სტატისტიკის კურსიდან.

მოგეხსენებათ, მაშინ საკმაოდ ძნელი იყო სტუდენტსა და პროფესორს შორის პირადი ნაცნობობის დამყარება. ლექციებზე დასწრება სავსებით თავისუფალი იყო, აღრიცხვას არავინ არ აწარმოებ-

და, თუმცა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის აუდიტორია, — ხოლო იგი ლექციებს ყველაზე დიდ აუდიტორიებში კითხულობდა, — ყოველთვის ხალხით იყო გაჭედული. გარდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისა, მრავლად ესწრებოდნენ ჯარეშენიც.

უკვე მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ფინანსებისა და სტატისტიკის სემინარში დავიწყე მუშაობა. სემინარს ხელმძღვანელობდა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, რომელმაც მე პირველად, ალბათ შემთხვევით, დამავალა მეცადინეობის ოქმის შედგენა. ამ ოქმის შავი ახლაცა მაქვს. აქ ფიქსირებულია ხსენებულ სემინარზე მაშინ ასისტენტის გ. გამყრელიძის მიერ წაკითხული მოხსენება: „ა. სმიტის ფინანსიური მოძღვრება“ და მის გარშემო გამართული კამათი.

ყოველთვის ვცდილობდი ფ. გოგიჩაიშვილისათვის, — რომელიც ცნობილი იყო, როგორც მკაცრი გამომცდელი, — საგანი ფრიადზე ჩამებარებია. მე გადავქეჩავდი ხოლმე საკითხზე მთელ ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურას, — მაშინ ქართულ ენაზე არც ერთ დისციპლინაში სახელმძღვანელო არ ვვქონდა და არც მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების თარგმანები მოგვეპოვებოდა. — და ფ. გოგიჩაიშვილს საგნებს ხუთებზე ვაბარებდი, თუმცა სხვებთან, ბევრად უფრო „შელავათიან“ გამომცდელებთან, სამიც არაიშვიათად მიმიღია.

ჩემი პირველი. ცალკე წიგნად გამოცემული, შრომა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით დაიწერა. ეს იყო მესამე — მეოთხე კურსის სტუდენტის მიერ დაწერილი მონოგრაფია, რომელიც ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, ზემოხსენებული სემინარის მორიგ მეცადინეობაზე მე, მაშინდელი წესისამებრ, დავიცავი, როგორც სადიპლომო შრომა და რომელიც მალე, ე. ვ. გოგიჩაიშვილისავე რედაქციით, ცალკე წიგნად დაიბეჭდა: „ქართული წიგნი 1629—1929 წწ“. — ქართული სტამბური წიგნის სამასი წლისთავისათვის მიძღვნილი ისტორიულ-სტატისტიკური გამოკვლევა (სახელგამი, თბილისი, 1929, 384 გვ.).

როდესაც ხსენებული მონოგრაფიის ხელნაწერი ფ. გოგიჩაიშვილს გადავეცი, მე მეგონა ერთ კვირაში დასკვნას მივიღებდი... უკვე ხუთ თვეზე მეტი იყო გასული, როდესაც უნივერსიტეტში საპროფესოროდან გამომავალს შევხვდი და მივესალმე... შეჩერდა. შემომაჩერდა, ამხედ-დამხედა, — ვამთავრებო, — თითქოს ჩემს კითხვაზე მიპასუხა.

ერთი თვის შემდეგ დამიბარა. მივედი და მითხრა: ყმაწვილო, თქვენი ხელნაწერი ივანე ჯავახიშვილს გადავეცი, რომელმაც ამას

წინათ მითხრა. რომ უკვე წაკითხული მაქვსო. ახლა ოქცენ ძასთან მიბრძანდით, მოუსმინეთ და მერმე ჩემთან ბინაში შემოიარეთო.

მეორე დღეს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილთან მივედი. მიადამი ყოველთვის უდიდეს მოწიწებასა და უღრმეს პატივისცემას განვიცდიდი. როდესაც მის სამუშაო ოთახში შევედი, ჩემი ხელნაწერი წინ მაგიდაზე ედო. ჯერ ვინაობა და შემდეგ ხსენებული მონოგრაფიის საკითხით ჩემი დაინტერესების მიზეზი დაწვრილებით გამომკითხა.

ჩემთვის სავსებით მოულოდნელი იყო: ახლა რა საკითხზე ზუშაობო, — რადგან მე მაშინ არსებითად არაფერზე არ ვმუშაობდი, შეგვიანებით ვუბასუხე: ვაპირებ სპეციალურად მე-19 საუკუნეში საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური განვითარების ისტორიაზე ვიმუშაო-მეთქი. მოეწონა.

ახლაც კარგად მახსოვს. რომ მითხრა „მე-19 ს. ეკონომიკური ისტორია ყველა წარსულ საუკუნეებისაზე უფრო რთულია. ჩვენა მე-19 საუკუნეში, თითქმის ყველა წინანდელ საუკუნეთა ყოფიერების გადმონაშთებია შემონახული და ჩამარხული და თავისთავადაც ხომ ეს საუკუნე მეტისმეტად საინტერესო და ასევე ნაკლებად შესწავლილია“.

მაშინ ი. ჯავახიშვილი, სხვათა შორის, საქართველოს ეკონომიკური ისტორიაზედაც მუშაობდა და ჩვენი საუბარი, რომელიც თითქმის 2 საათი გაგრძელდა, ამ საკითხზე მსჯელობით დამთავრდა.

ქუჩაში რომ გამოვედი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენ, სულ მთლიანად გაოფლიანებული ვიყავი. განსაკუთრებით მაფიქრებდა ის. თუ როგორ იყო, რომ ესოდენ გამოჩენილი მეცნიერი, როგორც თანატოლს მესაუბრებოდა, როგორ იყო რომ ბოდიშიც-კი მოიხადა; თვეზე მეტია რაც თქვენი მონოგრაფია გადმომცა პროფესორმა გოგიჩაიშვილმა და აქამდე წაკითხვა ვერ მოვასწარიო. დრო ცოტა მაქვს. საქმე კი უღევი, მაგრამ რაკი ფილიპემ საჭიროდ დაინახა და გადმომცა უნდა წამეკითხაო; — როგორ მოხდა, რომ ჩემს აშკარა შეცდომებზედაც კი ისეთი თავაზიანობით მიმითითებდა, თითქოს იგი ჩემი კოლეგა ყოფილიყო; — როგორ გავბედე, რომ ზოგიერთ მის შენიშვნებს არ ვეთანხმებოდი: — როგორ ამეხსნა, რომ ასეთი კადნიერების შემდეგაც ასე გულთბილად გამომაცილა და დაბეჯითებით გამამხნევა: „იმუშავე, იმუშავე, ბევრი იმუშავე, უალრესად მნიშვნელოვანი პრობლემები შეგირჩევიათო“.

დასასრულ, ჩემი მონოგრაფია გადმომცა და მითხრა „ფილიპეს მიუტანეთ, — ის და მე უკვე ველაპარაკეთ სახელგამის დირექტორს, ქართული ბეჭდვითი სიტყვის სამასი წლისთავის იუბილესათვის თქვენი შრომის გამოცემის თაობაზეო...“

ჩემს ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მე ძალიან მინდოდა კიდევ გაემეორებია მას ეს სიტყვები, მაგრამ შეკითხვა ვერ შევბედე. ვამალებული წამოვედი ფილიპესაკენ, რათა მისთვის ჩემი აღფრთოვანება გადამეცა. მეთქვა: თქვენ ხართ ყოველივე ამის მიზეზი, თქვენ დამაყენეთ ამ გზაზე და ა. შ.; ბოდიში მომეხადა, იმისათვის, რომ ივ. ჯავახიშვილისაგან ისე წამოვედი, რომ მადლობაც არ მითქვამს და სხვ.

ამ აზრებით ავედი მასთან... ხელნაწერი გადავეცი. მაშინვე დამიბრუნა: „ახლა თავიდან ბოლომდე ყურადღებით წაიკითხე და მერმე სარედაქციოდ მომიტანე, გამომცემლობა მოითხოვს მასალა მალე უნდა გადავცეთო“. უსიტყვოდ გამოვბრუნდი. კარი გაიხურა... რამდენი რამ უნდა მეთქვა და ენა ვერ დავძარი. მე ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, მიმიხვდა რაც უნდა მეთქვა და სწორედ იმიტომ არ გააკეთა ისე, რომ ჩემთვის მოესმინა...

ფ. გოგიჩაიშვილი როგორც მასწავლებელი, მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობის ხელმძღვანელი და რედაქტორი. — უნდა მოგახსენოთ, — ძლიერ მკაცრი ადამიანი იყო; ისეთივე სასტიკი სხვების მიმართ, როგორაც თავისივე თავის მიმართაც.

არასოდეს დამავიწყდება ჩემს წიგნზე მასთან ერთობლივი მუშაობის დროინდელი ერთი შემთხვევა.

ფ. გოგიჩაიშვილი „კაპიტალის“ I ტომის ორედაქციაზე მუშაობდა, გაზაფხული იყო 1929 წლისა. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა ჩემი ხსენებული წიგნის ბეჭდვა.

მახსოვს, 1860—1870-იან წლებში ქართული პრესისადმი ცარიზმის ცენზურის დამოკიდებულების ერთ-ერთი მომენტის ჩემ მიერ მოცემული გაშუქება რედაქტორში ეჭვს იწვევდა. მე დავიმოწმე ნ. ნიკოლაძე*, რომელმაც ორიოდე წლის წინათ, სპეციალურად ამ საკითხებზე კონსულტაციისათვის მისულს, მიაგმო სადავო ეპიზოდის შესახებ; თანვე აღვნიშნე ჩემი განცვიფრება იმ შესანიშნავი მეხსიერების გამო, რაც მაშინ უკვე მხცოვან ნ. ნიკოლაძეს გააჩნდა.

— რომ იგი არაჩვეულებრივი სისწორით მოიგონებდა ხოლმე სამოცი, ორმოცდაათი წლის წინანდელ ამბებს ქართული პუბლიცისტიკის, საერთოდ პრესისა და გამომცემლობის შესახებ; რომ მისი მონათხრობის სიზუსტეს შემდეგში მე სისტემატურად მიდას-

* ხსენებული წიგნის წერისას, როგორც ითქვა, ნ. ნიკოლაძე ჩემი ერთ-ერთი კონსულტანტი შეიქნა და, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით. ეს ასე მოხდა:

ტურებდა შესაბამისი ლიტერატურული მასალები და სააქივო წყაროები...

პატივცემული ფილიპე მაინც ეჭვის თვალთ მიყურებდა:

— „ამ ეპიზოდის თხრობისას მასთან მარტო იყავით“ — „არა, იყო პროფესორი სიმონ ხუნდაძე“, — მივუგე მე...

რამდენიმე დღის შემდეგ ს. ხუნდაძემ მიაშობო, თუ ამ მხრივაც როგორ შემამოწმა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა. რომელიც უაღრესად ფრთხილი და, ვიტყვდი, მეტისმეტად „ჩაკირკიტებული“ რედაქტორი იყო.

სტატიები მანამდეც კი მქონდა დაბეჭდილი, მაგრამ 380 გვერდიანი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულმა მუშაობამ. და ისიც ბ-ნ ფილიპეს ხელმძღვანელობით, რომელიც ყოველი წვრილმანის შემოწმებას მოითხოვდა, ძალზე მომქანცა.

მახსოვს ბატონ ფილიპეს სამუშაო ოთახში გატეხილი ღამეები. ხშირად თვით რედაქტორი ეძებდა საჭირო ლიტერატურას. რომ კიდევ სხვა წყაროებით შეემოწმებია ჩემ მიერ აღნიშნული ფაქტები. როგორც მოგახსენეთ გაზაფხული იყო და საღამოს ღია ფანჯრიდან ოთახში ხშირად შემოიჭრებოდა ხოლმე მოსეირნე ჩემი ტოლ-სწორების კისკისი. რაც ჩემზე ალბათ შესამჩნევად მოქმედებდა, რომ ფილიპემ დასამშვიდებლად მითხრა: „ჯერ ეს საქმე დაამთავრე და მერმე იმასაც მოესწრებიო“. — ქუჩისკენ გაიხედა...

ბ-ნი ფილიპე აუჩქარებლად მიუჯდა შაგილას. მას ერთ-ერთ სასტამბო ფორმა გადავეცი. კორექტორი გამოუცდელი შემხვდა და შეცდომები ბლომად გაპარულიყო. მეც ნაკლებად ვამჩნევდი. სანამ სტამბას გადაეცემოდა ჩემი წიგნი ბარე ოთხჯერ მქონდა თავიდან ბოლომდე გადაწერილი. ხოლო ნაწილები კიდევ 5--6-ჯე-

1926--1927 წწ. თბილისის სახელმწიფო არქივსაცავში მუშაობის დროს ხშირად ვხვდებოდი პროფ. ს. ხუნდაძეს. რომელსაც ზოგჯერ რჩევისათვის მივმართავდი ხოლმე. კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და ქართული პრესის, საერთოდ გამომცემლობის ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ მსჯელობის დროს, ერთი სადავო საკითხის გარკვევისათვის ს. ხუნდაძემ მირჩია: „ნიკო ნ. კოლაძეს მიმართე, იმას შეუქლია საჭირო ცნობები მოგაწოდოსო“.

საკითხით თვით ს. ხუნდაძე იმდენად დაინტერესდა. რომ რამდენიმე დღის შემდეგ ერთად მივედი ბ-ნ ნიკოსთან. ფრიად საინტერესო საუბარი გაიმართა. დიდხანს დავრჩით, ბოლოს მასპინძელმა გამათამაშა. მიოხზა: „როდესაც დაგპირდებით მზად ვარ გემსახუროთო“.

ეს ჩემთვის ფრიად საჭირო წაქეზება იყო. ამ დროიდან. კარგა ხნის მანძილზე, ის შეიქნა ჩემი ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი და გზის მაჩვენებელი ქართული წიგნის და ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა და პუბლიცისტიკის ჟურნალისტიკის საკითხებში.

რაც და ამიტომ თითქმის მთელი ტექსტი ლექსივით ზეპირად ვიცოდი, და, რასაკვირველია, ისიც გამოუცდელი თვალთ, კორექტურული შეცდომები გამეპარებოდა. რედაქტორი ნელ-ნელა და დაბეჯითებით ასწორებდა. მიკვირდა მისი თვალის სიმახვილე: მას ხომ ორჯერ ჰქონდა წინასწარ მთელი ტექსტი წაკითხული. წამდაუწყუმ საათს დავცქეროდი (რადგან სხვაგან მიმეჩქარებოდა) და მოუთმენლად შევყურებდი მოხუცს, რომელიც კორექტურას ჩაკირკიტებდა.

როდესაც დრო მიიწურა, მე სიტყვები შევარჩიე და ის-ის იყო წაშვლის ნება უნდა მეთხოვა, რომ ფილიპემ წამოიძახა: „ოჰო, ოჰო?...“ ელდა მეცა. გამოცდილებით ვიცოდი რადაც სერიოზული დეფექტი უნდა შეემჩნია. მართლაც შეუმჩნევია, მაგრამ არა ერთი, ერთბაშად ორი. ერთგან დასახელებული წიგნის გამოცემის თარიღი და ავტორის სახელის ინიციალი არ მქონია აღნიშნული.

რბტიბარი წამიხდა. ენა ჩამივარდა. ფილიპემ ჯერ სცადა ზეპირად მოეგონებია ავტორის სახელი, მერმე თავისი ბიბლიოთეკის თაროებს ეცა. - უნდა შევამოწმოვო და დაიწყო იმ წიგნის ძებნა. სულ ზევით და ზევით მიდიოდა. მე ახლა იმის მეშინოდა, რომ ეს მოხუცი კიბიდან არ გადმოვარდნილიყო. რაღა გავაგრძელო. დამის 3 საათზე გამოვედი გარეთ...

რაკი კორექტურა ვახსენე, იმასაც აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ დღემდეც გამომყვა ერთგვარი უზრუნველობა, და მაშინაც, ჩემი პირველი წიგნის ბეჭდვის დროს, ფილიპემ ერთხელ კინაღამ სავესებით თავი დაანება რედაქტორობას—უკვე დაბეჭდილ ფორმაში გაპარული კორექტურული შეცდომების გამო. ცეკავშირის თავმჯდომარის - - პროფ. მალაქია ტოროშელიძის კაბინეტში, სადაც იგი ამ უკანასკნელთან და დოც. ბიძინა რამიშვილთან ერთად „კაპიტალის“ I ტომის რედაქციაზე მუშაობდა, უკან გადმომცა ჩემი წიგნის დაბეჭდილი რამდენიმე თავახი და მითხრა: რედაქტორობას თავს ვანებებო.

დიდი მუდარა და ცოდვების მონანიების აღთქმები დამჭირდა, რომ საქმეზე ხელი არ აეღო.

კიდევ ერთი მომენტი მინდა აღვნიშნო.

ფილიპე გოგიჩაიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო. სანამ თემა არ აიღო და წინასწარ კარგა ხანს თემის საკითხზე არ იმუშავა, ამ თანამშრომლობაზე ვერ დავითანხმე, თუმცა უკვე

რამდენიმე წელიწადი ეწეოდა აქ ასპირანტების ხელმძღვანელობა და ინსტიტუტის დაარსებიდანვე (1944) იყო მისი სამეცნიერო საბჭოს წევრი. ერთხელ ინსტიტუტში ჩემთან შემოვიდა. ძლიერ დანადვლიანებული ჩანდა. ბოლოს მითხრა: ფული მჭირდება და ხომ არ შეგიძლია ხელფასის მიღებამდე მასესხო, ბავშვი (შვილოშვილი) მყავს ავადო.

ფული მივეცი. მაგიდას მიუჯდა. მაგრამ არა იმისთვის. რომ ია დაეთვალა. ქალაღი აიღო, გვერდის ბოლოს ხელი მოაწერა და ასე. სულ თავისუფალი ფურცელი, გამომიწოდა... ჩემს გაკვირვებაზე მიპასუხა: ვინ უწყის, შეიძლება ხვალ-ზეგ აღარ დავრჩე... თქვენ თვითონ შეავსეთ... და ვალს გადაგიხდიანო.

სეიფზე მიმითითა: იქ შეინახეო. ვიცოდი მისი ხასიათი. წინააღმდეგობა არ გავუწიე. ისე გავაკეთე, როგორც მითხრა. მალე წავიღე და როგორც კი მარტო დავრჩი, ის ქალაღი სეიფიდან გამოვალე და დავხიე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფული დამიბრუნა... შემომჩერდა. კვრეტა დამიწყო... მე თავი უხერხულად ვიგრძენი.

ცხადი იყო, ახლა ის ქალაღი უნდა დამებრუნებია...

ბოლოს თავისებური, საოცარი სიცილი აუტყდა. კარგა ხანს გულიანად ხითხითებდა.

— ფანა არ ვიცი, რომ არ შეინახავდი!.. ისე, ყასიღად შედევი სეიფში, მერმე კი დახიე...

მეც სიცილი ამივარდა.

ორივენი ვიცინოდით...

სიცილი უხერხულობის მოსპობისა და უყოყმანო მეგობრობისა და ნდობის უეჭველი გამოცხადება იყო.

ჩვენი პირადი დამოკიდებულების შესახებ მეტის თქმა შემდეგსათვის იყოს.

* * *

ბ-ნ ფილიპეს ხასიათში ბევრი რამ უხიაგობად მიმაჩნდა და. უნდა გამოგიტყდეთ, ზოგი რამ ახლაც ასეთად მეჩვენება. მაგრამ შრომის-მოყვარეობა, დადებითი საქმის სიყვარული და ამ საქმისათვის მთელის ენერჯით ამოძრავება — მისი განუყრელი თვისება იყო: ხელა მხოლოდ ისეთ საქმეს და ისეთ დროს მოკიდებდა. ოპიელშიც და როდესაც თავის თავში მტკიცედ იყო დარწმუნებული.

მისი დამახასიათებელი იყო უდიდესი სიფრთხილე და სიფხიზლე, საქმის აუჩქარებელი და საფუძვლიანი შესწავლა. როგორი საქმეც არ უნდა ყოფილიყო, ვისაც არ უნდა შეხებოდა. ძლიერსა და გავლენ-

ნიანს, თუ უძლურსა და უხმოს, მის პირად მტერს, თუ მეგობარს მეცნიერული ჭეშმარიტებისათვის სამსახური და მიუდგომლობა, შეიძლება ითქვას, — მისი სტიქია იყო.

რამდენჯერ ვყოფილვარ მოწმე: სტუდენტს თუ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს პირში რომ ტუქსავდა. ზოგჯერ დასცინოდა კიდევაც. როცა ის წავიდოდა, მოგვცილდებოდა, ბ-ნი ფილიპე ხშირად იტყოდა: ეგ ძალიან ენერგიული ახალგაზრდაა, მისგან შეიძლება რამე გამოვიდესო. ერთი სიტყვით, ფილიპე გოგიჩაიშვილი თავის თავისთვის მტრების გაჩენის ოსტატიც იყო. მე ეს უსიაგობად მიმაჩნია. მაკრან ფილიპე მაინც ასეთი გახლდათ.

* * *

მრავალგვარი საქმისათვის მოუკიდია ხელი. უმსახურია კერძო კაპიტალისტურ საწარმოში, ყოფილა ჟურნალისტი, გაზეთის კორესპონდენტი და რედაქტორი, უმსახურია ცარიზმისდროინდელ საზოგადოებრივ და მეურნეობრივ ორგანიზაციებში — ერობაში, ქალაქის თვითმმართველობაში, რკინიგზების მშენებლობაში. ჰქონია საკუთარი წიგნის მაღაზია, უმოღვაწია სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლეს თანამდებობაზე და დიპლომატიურ ასპარეზზედაც...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდხანს უმუშავია გეგმიანობისა და ფინანსების უწყებებში, მონაწილეობა მიუღია მრავალ მეურნეობრივ წამოწყებათა დაპროექტებაში, 30 წელიწადზე მეტი განუწყვეტლივ მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო კერძოდ ეკონომიკური ფაკულტეტის ორგანიზატორი იგი იყო და ყველგან და ყოველთვის მტკიცედ და პირნათლად იდგა თავის ადგილზე, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურასა და მეცნიერებას, ჩვენი სოციალისტური მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების დიად საპასუხისმგებლო საქმეს, საერთოდ ქართველი ხალხის ინტერესებს.

II. კიდევ ბიოგრაფიული ფაქტები და მასალები

1. * * *

ესაა პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილის დაბადების 70 და მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, 1945 წელს, წარმოთქმული ჩემი სიტყვის ტექსტი.

ახლა აქ ისიც უნდა დავსძინო, რომ ხსენებული საიუბილეო საღამოს დასასრულს ფილიპე გოგიჩაიშვილმა დიდი მადლობის გრძობით მოიხსენია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მისთვის გაწეული ამაგი და იუბილეს ორგანიზატორთა ღვაწლი. ეს მისი სიტყვა ძლიერ მოკლე იყო და მან განაცხადა კიდევაც:

— ეს სათქმელი დაწერილი მოვიტანე, რომ მოხუცებულს გრძელი საუბარი არ გამომსვლოდაო.

მას შემდეგ, როგორც ვხედავთ, დიდი დრო გავიდა. მას შემდეგ თვით ფილიპე გოგიჩაიშვილმა კიდევ ხუთიოდე წელიწადი იცოცხლა და ბევრი რამ მნიშვნელოვანი გააკეთა.

ფილიპე გოგიჩაიშვილი გარდაიცვალა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში, 78 წლის ასაკში, 1950 წლის 29 მარტს. ბინიდან გამოსვენების შემდეგ უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის და სასიქადულო ქართველი მეცნიერის კუბო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობასთან დავასვენეთ... აქ გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ვასილ ჩანტლაძემ.

ფ. გოგიჩაიშვილი დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

დღეს მისი დაბადების 100 წლისთავს აღვნიშნავთ. ახლა ჩვენ წინაშეა უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელთა შეფასების კრიტერიუმი შეიძლება რამდენადმე, ზოგიერთ ასპექტში მაინც, განსხვავებულიც იყოს. ცოცხალზე, რომელიც კიდევ მეტყველებს და აკეთებს, არ იტყვიან ბევრ რამეს, რასაც ილაპარაკებენ მიცვალებულზე, რომელიც სამუდამოდ დადუმებული და აღსრულებულია.

— ეს ცხოვრებისეული გამოცდილება და სიბრძნეა.

ამგვარად, სამიოდე ათეული წლის შემდეგ დღეს ვაგრძელებ რა ფილიპე გოგიჩაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავთა

ხრობას, იმას რაც მოსსავე სიცოცხლეში მიტყვამს. უწინარეს ყოვლისა, უნდა დავეუმატო ცნობა იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნის“ შესახებ, რომელიც ფ. გოგიჩაიშვილის მთავარ ნაშრომს ეხება.

ეს უდავოდ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების იმდენად უდიდ მოღვაწის კალამს ეკუთვნის. რომ მისი თავისთავად ისედაც მოკლე ტექსტი თითქმის მთლიანად უნდა მოვიყვანო. იგი გამოვეყნა 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ (№ 277).

საჭიროდ მიმაჩნია ისიც აღინიშნოს. რომ 1945 წელს. როდესაც ვ. გოგიჩაიშვილის ზემოთ მოყვანილ ბიოგრაფიას ვწერდი, ამ დოკუმენტის არსებობა ჩემთვის უცნობი იყო. დაუჯერებელია, რომ ის დავიწყებოდა თვით ფილიპე გოგიჩაიშვილს და, ვფიქრობ, ძნელად დასაჯერებელია ჩემი მკითხველისათვის, მაგრამ ფაქტია. რომ თვით ვილიზემ ამ სტატიის შესახებ თავის დროზე მე ცნობა არ მომამოხდა! – იმდენად მორიდებული იყო იგი თავის დამსახურებათა გამოჩენაში.

ქართული ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებული ერთ-ერთი დიდი მშენებელი იაკობ გოგებაშვილი წერს:

„ეს კრებული Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, изданный... под редакцией Ф. Г. Гогичаишвили გამოსულია ერთ ვეებერთელა ტომად. ამოდენა წიგნი. ქართველის მიერ შედგენილი და ქართული ფულით გამოცემული, ვგონებ, მეორე არ მოპოვება ჩვენში. გამოკვლევის საგანსაც, უბირველესი, უძირითაესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის. მხვენელ-მთესველობა სოფლის] მეურნეობა უმთავრესი საქმე იყო ქართველთათვის წინადაც, არის ახლაც და მომავალშიც იქნება. ამის გამო ჩვენის ქვეყნის რამც თუ წარმატება, არამედ არსებობაც კი დამოკიდებულია მასზე, იუ რა სიმტკიცით უდგია მას ფეხი მიწა-წყალზე, ტერიტორიაზე და როგორ არის განაწილებული უძრავი ქონება წოდებათა შორის. წორედ ამ დიდ მნიშვნელოვანს საკითხს არკვევს ეს უშველებელი რებული, რომელიც სავსეა სანდო დოკუმენტებიდან ამოღებული ტატიკური ციფრებით. ეს ციფრები გადაჭრილს, გარკვეულს ასუხს იძლევიან შემდეგ კითხვაზე: 1) რაოდენი მიწა-წყალია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში თავადაზნაურთა და არა აზნაურთა ელში, როგორც კერძო საკუთრება; 2) რამდენად არის დავალიანებული კერძო უძრავი საკუთრება აღმოსავლეთს საქართველოში; 3) რამდენი დღიური მიწა მიეცა ნადელებად ყმობიდან განთავი-

სუფლებულს გლეხებს ამერეთში და რამდენი დღიურა ძიწა გამოას-
ყიდეს მათ თითქმის ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში; 4) რან-
დენად ნაკლები აქვთ სახნავ-სათესი მიწა 26 სოფელს გორის მაზრ. მ-
და სხვ.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს სტატისტიკური ცნობები წყე-
ხება დასავლეთის საქართველოს მხოლოდ პირველის საკითხის მხრივ-
დანარჩენის სამის საკითხის ციფრები ვვითვალისწინებენ საქმის ვა-
რემოებს მხოლოდ აღმოსავლეთის საქართველოში...

ეს კრებული, ეს ტომი მჭევრმეტყველური მოწამეა ბ-ნი გოგი-
აიშვილის სერიოზულის ბეჯითობისა, წმინდა ევროპიულის, სისტე-
მატიურის შრომის-მოყვარეობისა, რაც ისე იშვიათი მოვლენაა-
ჩვენს ქარაფშუტულს დროში. მან რამდენიმე კვირის წინად, მზამზა-
რეული გამოცემა ჩააბარა დეპუტატთა საკრებულოს და საქაო-
თველოდან წავიდა დროებით.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ყმაწვილი სწავლულები ვრცელს წეო-
ლებს უძღვნიან ბ-ნი გოგიჩაიშვილის კაპიტალურს შრომას, საარსო
მხარეებს კარგად გაუთვალისწინებენ ქართველობას, შეადარებენ
მდგომარეობას მიწა-წყლის მხრივ ჩვენსავე ყოფაში ჩავარდნილს
ერებ(ი)სა, დასავლეთის საქართველოს შესახებაც ასეთსავე სტა-
ტიკურს ცნობებს შეჰკრებენ და გამოაქვეყნებენ. და ბოლოს
ცალკე წიგნდაც გამოსცემენ ქართველი საზოგადოებისათვის, რასა-
კვირველია, ქართულს ენაზე“¹.

ამგვარად, ფ. გოგიჩაიშვილის ეს კაპიტალური ნაშრომი არა მხო-
ლოდ ფრიად მნიშვნელოვანი თეორიული და ისტორიული ხასიათის
წიგნი, არამედ, თავის დროისათვის, დიდი პრაქტიკული ღირებულებ-
ის შემცველი გამოცემაც იყო.

თუ აქ არაფერს ვიტყვით ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭ-
დილ აგრარულ ურთიერთობათა საკითხისადმი მიძღვნილ ფ. გოგი-
ჩაიშვილის სტატიებზე, რასაც გაკვირით მაინც ქვემოთ შევებნით.
აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისევ ცხრაასიან წლებში დაწერილი
და 1903 წ. გამოქვეყნებული მისი გამოკვლევა „Малоземелье
среди крестьян Закавказского края“, სადაც ვრცლად და საფუ-
ძვლიანადაა გაანალიზებული შესწავლის საგნად აღებული საკითხი.

2. თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი

როგორც ითქვა, ფილიპე გოგიჩაიშვილი თბილისის უნივერსი-
ტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ამ მხრივ მას წილად ხვდა შე-

¹ ი. გოგიჩაიშვილი. თხზულებანი. 1955. ტ. 4. გვ. 381-382.

ესოულებია დიდი ორგანიზაციული მუშაობა, როგორც ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით წარმოქმნილი საინიციატივო ჯგუფის (კომისიის) ერთ-ერთ უაღრესად აქტიურ წევრს.

1917 წ. 3 ივნისს კომისიის სხდომაზე ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტისათვის საჭირო ფულად საშუალებათა შეგროვება შეუძლებელი ხდებოდა. სწორედ აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის სიმტკიცემ და ნამდვილად რაინდულმა თავგამოდებამ. ი. ჯავახიშვილმა გადაჭრით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის გახსნის „საქმის დაყოვნება მეტად არ შეიძლება“¹. საკითხის ფინანსურ მხარეზე ყველაზე ავტორიტეტული სიტყვის თქმა, ცხადია, ფ. გოგიჩაიშვილს შეეძლოდა, აი, ივ. ჯავახიშვილის გამამხნევებელი გამოსვლის შემდეგ იგი აცხადებს:

„ყველა ქართული საზოგადო საქმე მცირედის ნივთიერი საშუალებებით დაწყებულა და ასეთთუ ისე ბოგინობს და ასრულებს მეტნაკლებობით თავის კულტურულ დანიშნულებას. ქართულ უნივერსიტეტს. რაღა თქმა უნდა, უფრო მკვიდრი საფუძველი სჭირია. რაც დიდ თანხას მოითხოვს, მაგრამ ერთბაშად ქართველებს არ შეუძლიათ ამოდენა თანხის შედგენა და მაინცდამაინც ეს გარემოება როდი უნდა გვაბრკოლებდეს და უნდა ეხლავე შევეცადნეთ ამ დიადი საქმის განხორციელებას. ეჭვს გარეშეა, ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართული საზოგადოება უეჭველად ხელს შეუწყობს მის აღსებობას. ამიტომ ყოველნაირი დონისძიება უნდა ვიხმართ, რომ საქმე დავიწყოთ, თუ გინდა მცირედი თანხითაც...“²

იმავე წლის 26 ნოემბერს ფ. გოგიჩაიშვილს მიენდო შეედგინა უნივერსიტეტის შემოსავალთა და ხარჯთა ნუსხა. სულ მალე, 1917 წ. 6 დეკემბერს უნივერსიტეტის ორგანიზაციისთვის შემდგარმა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ“³ თავის კრებაზე, მძიმე პოლიტიკური და ფინანსური მდგომარეობის გამო, გადაწყვიტა უნივერსიტეტის გახსნის გადადება 1918 წლის სექტემბრამდე, მაგრამ

¹ საქართველოს სსრ ცენტრ. სახელმწ. არქივი, ცონდი 471, 1918 წ., საქმე № I, ფურც. 7.

² იქვე, ფურც. 7ა, კურსივი ჩვენია.

³ იქვე, ფურც. 16.

ქართველ მეცნიერთა სულ მცირე ჯგუფი ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით სულაც არ აპირებს უკან დახევას... 1917 წ. 8 დეკემბერს ფ. გოგიჩაიშვილმა პროფესორთა საბჭოს სხდომას წარუდგინა ორი ვარიანტი უნივერსიტეტის შემოსავალთა და ხარჯთა ნუსხისა¹.

1918 წ. 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი ოფიციალური სხდომა. აქ უნივერსიტეტის „ხაზინადრობა. კრების ერთსულოვანი თხოვნით, იკისრა პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა“². ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ უნივერსიტეტის მთელი ფინანსური მეურნეობის ხელმძღვანელობა (რაც იმდროინდელ პირობებში, როდესაც ფულის კურსი დიდი სისწრაფით ეცემოდა. ფრიად ძნელი საქმე იყო) ფ. გოგიჩაიშვილს მიენდო და იგიც უაღრესი სიფრთხილით და გულმოდგინებით ეწეოდა ამ მძიმე ტვირთს, სანამ უნივერსიტეტი სახელმწიფოსგან დახმარების გარეშე არსებობდა³.

საქმე ისაა, რომ მენშევიკების მთავრობას არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიუღია თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა და ორგანიზაციის საქმეში⁴. ისევე როგორც რეაქციულ ქართველ თავდაზნაურობასაც, როგორც ამას აცხადებს თვით ივანე ჯავახიშვილი. „გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოწინავე წოდებას... დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენი კულტურის განვითარება შეფერხებული იყო“⁵.

მხოლოდ 1918 წ. აგვისტოს პროფესორთა საბჭოს „შუამდგომლობა ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ [მენშევიკების] მთავრობის მიერ შეწყობისა და დაარსების შესახებ“, როგორც ამას განათლების სამინისტროსადმი 1918 წ. 10 აგვისტოს თარიღით გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავენ პროფესორები: უნივერსიტეტის რექტორი პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი ივ. ჯავახიშვილი და პროფესორთა საბჭოს მდივანი ი. ყიფშიძე. ისინი ითხოვდნენ, რათა უნივერსიტეტისათვის, რამდენადაც შემოდგომიდან აქ კიდევ ორი ფაკულტეტი (სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო)

¹ საქართველოს სსრ ცენტრ. სახელმწ. არქივი. ფონდი 171. 1918 წ. საქმე № 2. ფურც. 6.

² იქვე, ფურც. 16ა.

³ იქვე, ფურც. 25.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ბრძოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის (თსუ შრომები, 1971, 1 (138), 14).

⁵ იქვე, გვ. 9.

უნდა გახსნილიყო. მილიანად გადაეცათ ქართული გიმნაზიის შენობა.¹

ცხადია, უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში პროფესორ-მასწავლებელთა ნაკლებობა ძლიერ საგრძნობი იყო, განსაკუთრებით იმის გამოც, რომ აქ ლექციები ქართულ ენაზე უნდა წაკითხულიყო.

1922 წ. იანვარს უნივერსიტეტში შემოვიდა ორი უცხოელი მეცნიერის (დოქტორ ეტტელისა და დოქტორ ჰასეს) განცხადება, სათანადო რეკომენდაციებით. ამ საბუთების გაცნობის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა: „სამეცნიერო ძალის შემატება ფრიად გვესაჭიროება. ეკონომიურ განყოფილებაზე ჯერჯერობით სამი კათედრაა და პროფესორი კი მხოლოდ ერთი“, მაგრამ უცხოელთა მოწვევაზე ის მინც უარს ამბობდა, იმ მოტივით, რომ იმათ ახლა ლექციები უცხო ენაზე უნდათ წაკითხონ და 4—5 წელიწადიც არ ეყოფათ რომ ქართულად ლექციების წაკითხვა შესძლონ, თანაც ჩვენს პროფესორებზე ბევრად უფრო მაღალი ხელფასი უნდა ვაძლიოთ. ამასთანავე „ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები“ (ე. ი. ეროვნული კადრები) უფრო ადრე ჩვენშიაც აღიზრდებიანო².

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის გაფართოება. 1922 წ. დამდეგს უკვე შესაძლებელი შეიქნა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ბაზაზე სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის ორგანიზაცია. მალე, ფ. გოგიჩაიშვილმა წარადგინა ამ ფაკულტეტის შტატებისა და სასწავლო გეგმის პროექტი³. იმავე წლის 16 ივნისს უკვე მიღებულ იქნა დადგენილება სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის შექმნის, მისი შტატისა და სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ⁴.

ფ. გოგიჩაიშვილი უნივერსიტეტში კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ფინანსების, სტატისტიკისა და სხვ. კურსებს, ის იყო პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ორგანიზატორი და გამგე; შემდეგ სტატისტიკის კათედრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ფ. გოგიჩაიშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე ფინანსების და სტატისტიკის სემინარს, სადაც მისი სტუდენტები კითხულობდნენ მოხსენებებს, რომელთაგან, ზოგიერთი, როგორც ამ სემინარის ნაშრომები, ფ. გო-

¹ საქ. ცსს, ფონდი 1935, 1918 წ., საქმე № 659, ფურც. 16, 19, 27—კურსივა ჩვენია.

² საქ. ცსს, ფონდი 471, საქმე № 129, ფურც. 24.

³ იქვე, ფურც. 41; იხ. აგრ. საქმე № 18, ფურც. 9.

⁴ იქვე, ფურც. 168 ა; საქმე № 8, ფურც. 170.

ვიჩაიშვილის ხელმძღვანელობით და რედაქციით, ცალკე წიგნებადაც გამოიცემოდა ხოლმე. ეს იყო ერთი-ერთი გზა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებისა, მათთვის კვლევა-ძიების ალღოსა და ჩვევების გამომუშავებაში დახმარებისა. რასაც მთელი თავისი აიცოცხლის მანძილზე გულსრულად ეწეოდა ფ. გოგიჩაიშვილი.

ფ. გოგიჩაიშვილს ლექციების კითხვის თავისებური სტილი ჰქონდა შემუშავებული. ზოგნი ამბობდნენ — გერმანულიაო. მე ვფიქრობ, ეს იყო ნამდვილად ქართული სტილი უმაღლესი სასწავლებლის ლექციისა, რაც საერთოდ იმ წლებში ყალიბდებოდა ჩვენს უნივერსიტეტში.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფ. გოგიჩაიშვილი, სწორედ ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილი, თავისი ლექციებით ჩვენ მხოლოდ მეცნიერებას როდი გვასწავლიდა. მთელი თავისი სიტყვით და საქმით მოქმედებით და მოღვაწეობით ისინი ჩვენ გვასწავლიდნენ ქართველი ხალხის სიყვარულს, სამშობლოსადმი ერთგულებას და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობებითა და ერისთვის თავდადებას უღებოთ გვასაზრდოებდნენ.

* * *

1947 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოსი ახვლედიანის ინიციატივით მოწვეულ იქნა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველი ინტელიგენციის მეთაურთა თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა მხცოვანი მწერალი, გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწე თედო სახოკია.


ამ თათბირის მსჯელობის საგანი იყო დიდი სამამულო ომის პერიოდში სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად დიდად დაზარალებული ქართველი ერის მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობასთან შედარებით გამრავლების ნელი ტემპის მიზეზთა გაშუქებაა და ამ ტემპის ამადლების ღონისძიებათა შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოსულმა გერონტი ქიქოძემ გაიხსენა ფილიპე გოგიჩაიშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობიდან სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებული ერთი მომენტი.

1900-იანი წლების დამდეგს ფ. გოგიჩაიშვილი იკვლევდა რ. ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიკური და ნაციონალური მდგომარეობის სხვადასხვა მხარეს, კერძოდ, მოსახლეობის გამრავლებისა და განათლების საკითხებს, იმ იდეას (შეხედულებას) ავითარებდა, რომ იმდროინდელ პირობებში (კოლონიური მდგომარეობა ნაციონალური ჩაგვრა და სხვ.) შვილების აღზრდა და მათთვის აუ-



ფლაბე გოგიჩაიშვილი მეუღლესთან ელენე ნიკოლოზის ასულ
ცხველაძესთან ერთად (1907)



ფილიპე გოგიჩაიშვილი
(1947)

ცილებელი იგანათლების მიცემა კაცს საზოგადოებრივ მოღვაწეობად უნდა ჩაეთვალოსო.

გ. ქიქოძეს, ჩანს, მხედველობაში ჰქონდა 1903 წ. გაზ. „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული ფ. გოგიჩაიშვილის ნარკვევები, რომლებიც, როგორც საერთოდ მისი პუბლიცისტური გამოსვლები, დიდ რეზონანსს იწვევდა მაშინდელ ქართულ საზოგადოებრიობაში.

ახლა საკითხავია მაინც რას წერდა, როგორ მსჯელობდა მაშინ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ფილიპე გოგიჩაიშვილი. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი მისი ნარკვევიდან „კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება“, რაც დაიბეჭდა 1903 წ. გაზ. „ცნობის ფურცელში“.

გადმოსცემს რა საკითხის ისტორიას, იგი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ვითარებაში აღამიანის კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრებას უფრო უახლოვდება ერთმანეთს და „ხშირად გადაბმულია ერთიმეორეზე“, და რომ რაც დრო მიდის, მით უფრო ვიწროვდება „კერძო, საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი ცხოვრების ფარგალი...“, ხოლო მხარე სოციალური (საზოგადოებრივი) ფართოვდება და მეტი მნიშვნელობისა ხდება“. ამის საილუსტრაციო მაგალითად ის იღებს ოჯახის ინსტიტუტს და იმ ცვლილებებს, რასაც იგი განიცდის.

„... დღეს ჩვენში რომ უთხრათ ვინმე ოჯახის მამას: სახელმწიფოს შეუძლია ძალა დაგატანოს და შენი შვილების აღზრდა სავალდებულოდ გაგიხადოსო, უთუოდ გაუკვირდება. ჩემს შვილებთან სხვას რა ხელი აქვსო, გეტყვით ის გაცეხებული, — განა ჩემს ნებაზე არაა ვასწავლი და გამოვზრდი მე იმათ თუ არაო? გეტყვით ამას იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძველი წყობილების შესაფერი წარმოდგენა არ გამქრალა და არც სოციალური კანონმდებლობა საკმაოდ განვითარებულა. დასავლეთ ევროპაში ეს საგანი არავის გააკვირვებს, — იქ დიდი ხანია ახალთაობის სავალდებულო აღზრდა შემოდებული და განხორციელებულია, და არავის ფიქრადაც არ მოსდის ამაზე პროტესტი განაცხადოს და თქვას: ეს ჩემი კერძო საქმეა და სხვას აქ ხელი არა აქვსო“¹

შემდეგ ეხება რა ჩვენში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას ფ. გოგიჩაიშვილი წერს:

„... არც ერთ ახალგაზრდას, რომელიც დაოჯახიანებას გაურბის, არა აქვს ზნეობრივი უფლება თავი იმართლოს და ერის წინაშე პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ

¹ „ცნობის ფურცელი“, 1903. № 2337.

ეს ვითომ „მისი კერძო საქმეა და მასში გარევის უფლება სხვას არავის აქვს“. და ეს იმიტომ, რომ აქ, „კერძო ცხოვრებას“ დღევანდელს პირობებში საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახლავს. დაოჯახიანება და შვილების აღზრდა სწორედ ისეთი „კერძო საქმეა“ ადამიანისა, რომელიც ბევრის მხრით მთელს საზოგადოებას ეხება და ეინტერესება. თუ თანამედროვე ცხოვრებაში კერძო ადამიანის იგადაჭარბებული ძილიც-კი საზოგადოებისათვის ინტერესს და მნიშვნელობას მოკლებული არაა, რაღა უნდა იყოს ოჯახი, ეს წყარო ცოცხალ ძალის ნაკადულისა, რომელიც აძლევს საზოგადოებას მუდამ ექამს ახალღონეს და ენერჯიას... ამიტომ ყოველი ცოლშვილიანი ადამიანი, რომელიც თავის ოჯახისთვის იღვწის და შვილებს ზრდის, ჩვენ მიგვაჩინია ამ მხრით საზოგადოებისათვის სასარგებლო პირად. მაგრამ სარგებლობის მოტანა კიდევ არ ნიშნავს საზოგადო მოღვაწეობას... ოჯახის იმამა ჩვენ მაშინ მიგვაჩინია ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ, როცა მას ჩვენი სოციალ-პოლიტიკური იმდგომარეობა გათვალისწინებული აქვს და თავის შვილებს ისე სწრთვნის და ზრდის, რომ ისინი შემდეგში შეიქმნენ სასარგებლო წევრნი ჩვენის ერისა. გულწრფელნი მუშაკნი ჩვენი ხალხის ეროვნულ გათვით-ცნობიერების და კულტურული წინმსვლელობისა“¹.

შემდეგ, ამავე საკითხისადმი მიძღვნილ მეორე ნარკვევში. რომლის ეპიგრაფად მას მოჰყავს ავგუსტ ბებელის სიტყვები: „ხალხის სიმრავლე არის არა დაბრკოლება, არამედ საშუალება კულტურული წინმსვლელობისა“, ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „თეორიულმა მსჯელობამ და რეალურ მოვლენათა ანალიზმა იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ამ ჩვენს დროში, როცა წარმომდგარია შრომის საზოგადოებრივი განაწილება და რთული სახალხო მეურნეობა, ადამიანის ცხოვრების „კერძო“ და „საზოგადო“ მხარე არაა ხშირად ერთი მეორისაგან დაშორებული და განცალკევებული. პირიქით, ეს ორი მხარე ერთმანეთშია მჭიდროდ გადახლართული და ადამიანის კერძო ცხოვრება უსაზოგადოებრივოდ მოუხერხებელია და წარმოუდგენელი. თანამედროვე ადამიანი ერთ დღესაც ვერ იცხოვრებს ისე. რომ სხვებს არ მიჰმართოს და, მაშასადამე, მათთან განსაზღვრული საზოგადოებრივი განწყობილება და ურთიერთობა არ იქონიოს... ადამიანთა კერძო ცხოვრებას და ასეთ თუ ისეთ მოქმედებას ხშირად აქვს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა... ერო ამგვარ საზოგადოებრივ ხასიათისა და მნიშვნელობის საგნად მიგვაჩინია ჩვენ დაოჯახიანება და შთამომავლობის გამრავლება, ოჯახის წარ-

¹ „ცნობის ფურცელი“. 1903, № 2337.

მართვა, შვილების წესიერად გამოზრდა და ცხოვრებისათვის მომზადება. ეს შეადგენს ადამიანის ისეთ „კერძო საქმეს“, რომელიც ძალიან ბევრის მხრით მთელი საზოგადოებისათვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია“.¹

ამიტომაც, როგორც წინა, ისე ამ ნარკვევში ის ასაბუთებს, რომ „ხალხის ზრდას და გამრავლებას, გარდა ეკონომიურისა, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისათვის... „ოჯახს ახლავს კიდევ ერთი მხარე, რომელიც დიადი მნიშვნელობისაა მთელ საზოგადოებისა და ერისათვის. ესაა შვილების აღზრდა, — ისეთი სფერო კერძო ოჯახურ ცხოვრებაში, საცა მეოჯახეს შეუძლია შეგნებულად თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს თავის ერს და ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ მისაჩნევი და საღიარებელი გახდეს“².

აყენებს რა ამ დებულებას, შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი მსჯელობს: „დაოჯახიანება აკმაყოფილებს ადამიანის ძლიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, ზნეობის გაფაჩიზებას, ბიოლოგიურ და სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებას; ამრავლებს ხალხს, — აძლევს საზოგადოებას იმუდამ ახალ ელემენტს, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას, ჰქმნის კულტურულ წარმატებას და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ხალხს ჰმატებს ეროვნულ ძალას და მნიშვნელობას. ამიტომ, — ვითარცა ლოდიკური დასკვნა ყველა ზემოდ ნათქვამიდან: — ყოველი ადამიანი, რომელიც ასრულებს ამ სოციალ-ორგანიულ ფუნქციას, — ჰკიდებს ხელს ოჯახს, იჩენს ცოლ-შვილს და იღწვის ოჯახისათვის, ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრივ საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო პირად...“

„კარგ დედ-მამობის გაწევას და შვილების რიგიანად აღზრდას, რა თქმა უნდა, ყველგან და ყველა ხალხებში დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ჩვენში არის განსაკუთრებული გარემოებანი, რომელნიც კიდევ უფრო უაღრესად და ყურადღების ღირსად ჰხდისან მეოჯახე ადამიანის ამგვარ „კერძო“ მოღვაწეობას. ჩვენი მოზარდ თაობის ნორმალურად განვითარებას ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ სასწავლებელსა და ცხოვრებაში, რომელიც შექმნილია ხელოვნურად, — განსაზღვრულის მოსაზრებით და მიზნით. ოჯახს შეუძლია, რამდენიმედ მაინც, ამ დაბრკოლებათ წინააღმდეგ-

¹ „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2344.

² იქვე.

გობა გაუწიოს და მოზარდ თაობას შეუსრულოს ის ნაკლებობა. რომელსაც უჩენს მას სკოლა და სახელმწიფო ფანათლების მიღება. და რამდენადაც ჩვენებური ოჯახი ჩვენს ამგვარ მდგომარეობას შეგნებულად უყურებს და თავის ეროვნულ მოვალეობას არ ივიწყებს, იმდენად იგი ჩვენთვის უფრო საყურადღებოა. იმდენადვე ოჯახის მამა, ამ მოვალეობის აღმსრულებელი, ჩვენი ერისათვის ძვირფასი და პატივსაცემია“... ოჯახისათვის ხელის მოკიდება და მისი ზნეობრივი მოვალეობისამებრ წარმართვა დიდი საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქმეა და, ვითარცა ასეთი, იგი ბევრ სხვაგვარ საზოგადო მოღვაწეობაზე დაბლა დასაყენებელი არაა“¹.

ასეთია, მოკლედ, შინაარსი ფ. გოგიჩაიშვილის ამ სტატიებისა. რომელთაც თავის დროზეც დიდი კამათი გამოიწვიეს. რასაც აქ, ცხადაა, ჩვენ არ შევეხებით.

...ოთხნახევარი ათეული წლის შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა. გერონტი ქიქოძე, იხსენებდა რა ამ ფაქტს, აღნიშნავდა: ქართველი ერის გამრავლების საკითხი — შვილების, მრავალი შვილის აღზრდის საქმე ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი და ნაციონალური პრაქტიკის საკითხად უნდა გადავაქციოთო.

ეს ეპიზოდი აქ მხოლოდ იმიტომ აღვნიშნე, რათა მეჩვენებია, თუ რაოდენ დიდი და ღრმა იყო ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დამდეგს ფ. გოგიჩაიშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გავლენა და რეზონანსი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მე-20 ს. დამდეგიდანვე საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის მოღვაწე ინტელიგენციის წრეში ფილიპე გოგიჩაიშვილი ყოველთვის იგულისხმებოდა, როგორც ერთ-ერთი ბურჯი ამ დიდი ეროვნული წამოწყებისა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართული მეცნიერების სინდისისა და სიამაყის ივანე ჯავახიშვილის მიერ ფილიპე გოგიჩაიშვილი იმთავითვე აღიარებული იყო როგორც მომავალი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ამავდარი, როგორც საკუთრად მისი— ივ. ჯავახიშვილის — უერთგულესი თანამებრძოლი, როგორც საუნივერსიტეტო ქართველ სწავლულთა წრის ერთ-ერთი ყველაზე სახელმძღვანელო ადამიანი.

ამჟამადაც, როდესაც ესოდენ დიდ აღმავლობას მიაღწია ქართულმა მეცნიერებამ, როდესაც გვაქვს სახელოვანი უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია, აგრეთვე ათეულობით სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტი, ცოტა შეიძლება დავასახელოო

¹ „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2351.

ისეთი მეცნიერი, რომლის მეოხებით ქართული კულტურის შესახებ შესაბამისი მასალა მსოფლიო სახელის მქოხე უცხოელი მეცნიერის მიერ დაწერილ კომპენდიუმში ცალკე პარაგრაფის სახით იყოს წარმოდგენილი და სახელდობრ ისეთ კომპენდიუმში, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალი ხალხის ენაზე იყოს თარგმნილი და გამოცემული, ისეთ კომპენდიუმებში, როგორცაა კარლ ბიუხერის „შრომა და რიტმი“ და ამავე ავტორის მეორე, კიდევ უფრო გავრცელებული წიგნი (სახელმძღვანელო) „სახალხო მეურნეობის წარმოშობა“, სადაც შესაბამისი მასალა წარმოდგენილია ფ. გოგიჩაიშვილის სადოქტორო დისერტაციიდან.

ფილიპე გოგიჩაიშვილს თავის სულიერ (იდეურ) მასწავლებლად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძე და არა ის უცხოელი, მთელ მსოფლიოში განთქმული პროფესორები, რომლებიც მას ლექციებს უკითხავდნენ, რომელთა მიმართ, რა თქმა უნდა, დიდი პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული. იგი ილია ჭავჭავაძეს უყურებდა როგორც ახალი ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ძეთაურს და მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და ქართველიანი მოღვაწეობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში თავის თავზე მიიღო ნაწილი იმ დარტყმებისა, რაც ილიას წინააღმდეგ იყო მიმართული, - იმით, რომ ილიას ყველა მტერი პირადად თავის მტრადაც მიაჩნდა, რამდენადაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ილიას მტრები საქართველოს მტრები იყვნენ.

ილია ჭავჭავაძემაც თავისი სულიერი ანდერძის ერთ-ერთ აღმასრულებლად ფილიპე გოგიჩაიშვილი დანიშნა, რაც უკანასკნელის დიდი სიყვარულისა და თავდადების შესაბამისი დიდი ნდობის გამოცხადება იყო. ასევე გააკეთა ი. გოგებაშვილმა 1912 წელს შედგენილს თავის ანდერძში: გარდაცვალების შემდეგ მისი ნება-სურვილის აღმსრულებლად დანიშნულ ხუთ კაცს (ვალერიან გუგუია, ნიკოლოზ ლომოური, შიო დედაბრიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი) შორის იგი პირველს ასახელებს ფილიპე გოგიჩაიშვილს: ¹ აგრეთვე ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძემ. რომელმაც თავისი „ნების აღმსრულებლად“ დანიშნა ე. თაყაიშვილი და ფ. გოგიჩაიშვილი.²

ფ. გოგიჩაიშვილი ძალადი წარმოდგენისა იყო ქართველი ხალხის კულტურასა და მის სულიერ პოტენციაზე და ეს ნებას არ აძლევდა მას სადმე უცხოეთში, საერთოდ საქართველოს გარეთ, თუ შინ ყოფნისას, ვინმეს წინაშე თავისი სამშობლო და საკუთარი თავი დაემცი-

¹ ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, გვ. 542.

² საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ე. თაყაიშვილის ფონდი. № 1085, ფურც. 1.

რებია. ეთქვა, ჩამორჩენილი ქვეყნიდან ვარ, დამეხმარეთ, ფეხზე დამაყენეთ და თქვენი კაცი ვიქნებიო.

— არ ეკადრებოდა და, რაც მთავარია. არასოდეს არ უკადრია. თავისთავად უადრესად თავმდაბალს, ასეთ ვითარებაში თავი ყოველთვის მაღლა აწეული ეჭირა და თავისი ძლიერი ენერჯიით, ნიჭით, მუყაითობით, ბეჯითობით ცდილობდა გზა გაეკაფა. რათა თავისი სამშობლოსათვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

3. პუბლიცისტი. „ივერიის“ რედაქტორი. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი

ფილიპე გოგიჩაიშვილის როგორც პუბლიცისტის. ჟურნალისტის პორტრეტი განსაკუთრებით ფართო და მრავალფეროვანი შეიქნა მას მერმე, რაც ის სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ივერიას“.

სანამ რედაქტორობას იკისრებდა და განახლებული გაზეთის გამოცემას შეუდგებოდა, ფილიპე გოგიჩაიშვილს, როგორც თვითონ ჩემთვის არაერთგზის უამბნია, რამდენიმე შეხვედრა და თათბირი ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან და. სანამ თვით დიდმა ილიამ არ წააქეზა. იგი თავს იკავებდა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის.

„ივერია“ ფ. გოგიჩაიშვილის ხელში (1905—1906) შეიქნა პოპულარული, გავლენიანი და მაღალი დიაპაზონის გაზეთი. ამას, სხვათა შორის, მისი დიდი ფორმატიც მოწმობდა.

ეხება რა 900-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ცვლილებებს. წამსონ ფირცხალავა თავის „მოგონებათა ფურცლებში“ აღნიშნავს: „სხვა ცვლილებებიც მოხდა ქართულ პრესაში. „ივერია“ გადავიდა ფ. გოგიჩაიშვილის ხელში, რომელმაც გააფართოვა და გააუმჯობესა იგი“.¹

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები, რომელთა შესახებ ამ პერიოდში ფ. გოგიჩაიშვილს უწერია, ფრიად მრავალგვარია. ჩვენ, ცხადია, აქ ძლიერ მოკლედ, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით იმ მიზნით, რომ რამდენადმე მაინც ავსახოთ დასახელებულ საკითხებზე მისი შეხედულებანი და, მაშასადამე, ამ მიმართულებით მისივე მიზანსწრაფვანი.

უწინარეს აქ საჭიროა აღინიშნოს ის დაბრკოლებები, რაც მაშინ ედობებოდა პროგრესული პრესის მუშაებს. 1905 წელს, როგორც

¹ „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 164.

ცნობილია, მოწინავე. რევოლუციურ ბეჭდვით სიტყვასა და თვითმპყრობელობის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობა ძლიერ დაჭიმული იყო... სომეხ-თათართა (აზერბაიჯანელთა) შეტაკებები თბილისშიც დაიწყო. ქალაქის ქუჩებში პოლიციის გაძლიერებული რაზმები და სამხედრო ნაწილები თარეშობდა... ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა სულ უფრო აღმავლობის გზით მიდიოდა. ცარიზმის საწინააღმდეგო ყოველგვარი მოძრაობის მონაწილეებს აპატიმრებდნენ. ციხეები ტუსაღებით აივსო. ს. ფირცხალავა თავის მოგონებაში წერს, რომ 1905 წ. დეკემბრის მიწურულს ბინაში „გამჩხრიკეს და დამატუსაღეს. წამიყვანეს საკომენდანტოში. იქ ბევრი სხვა დამხვდა დატუსაღებული და მერეც მოიყვანეს. მახლობელ ნაცნობებში იყვნენ ვლ. ლორთქიფანიძე და ფ. გოგიჩაიშვილი. წაგვიყვანეს მეტეხში. ციხის უფროსმა არ მიგვიღო. ადგილი არ მაქვსო“. მერმე დიდი მოლაპარაკებისა და „პროტექციის“ შედეგად, „როგორც იყო მიგვიღეს“.¹

ასეთ პირობებში, ცხადია, რთული და სახიფათოც ჩანდა რედაქტორობა გაზეთისა და განსაკუთრებით ისეთი ორგანოსი, როგორც იყო „ივერია“... აგრარული, საერთოდ რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „გორის მაზრის მთელი თავადაზნაურობა ქალაქშია ჩამოსული და დღე და ღამ იმაზედა ფიქრობს, თუ როგორ დაამშვიდოს გლეხობა... ბევრი მემამულე, რომელიც მუდამ გლეხის უენობასა და მორჩილებას იყო ჩვეული, საქმეს შეუფერებლად აძნელებს და შავის ფერადებით ასურათებს“.

თავადაზნაურობის ერთ-ერთ კრებაზე (6. 3. 1905) „ერთ «განსწავლულ» თავადს [ბრძნული აზრი] გამოუთქვამს და შემდეგ სხვებსაც გაუმეორებიათ. არ გუეცხოვოთ, — ეს „აზრი“ მართლა საყურადღებო და საინტერესოა. გლეხები ღელავენ და ამოწყვეტას გვიპირობენო, — ამბობენ მემამულეები. თურმე, ნუ იტყვით, გლეხთა საოციალ-ეკონომიურ ცხოვრების ანორმალური პირობები კი არ ყოფილა ამის მიზეზი. არამედ ერთად-ერთი პრესსა და ჟურნალისტი, თურმე ჩვენი პრესსა ჰქადაგებს: ერთმანეთი დახოცეთ, გადასწვიეთ, გაანადგურეთო; თურმე პრესსა ეუბნება გლეხებს, მემამულეს სახლში შეუვარდით და სარჩო-საბადებელი წაართვითო; თურმე პრესსა ჰქადაგებს სისხლის ღვრასა და ძალმომრეობას, ხელს უწყობს ხალხის გავლურებასა და გაყაჩაღებას. და იცით, ვინ არის ეს ვაჟბატონი. რომელიც ქართულ პრესსას ასეთ უმსგავსო ბრალდებას უთხ-

¹ „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 164.

ზავს და საზიზღარ ცილის წამებას სდებს? კაცო, რომელიც ქართულ პრესას ისე კითხულობს და იცნობს, როგორც ჩვენ ჩინეთის მწერლობას, კლასთა ბრძოლის პრინციპის აღიარება ამ თანამედროვე „განათლებულ“ მემამულეს ყაჩაღობისა და მკვლელობის ქადაგება-ჰგონია...“.¹

მაგრამ იმავე თავადს თურმე არ უთაკილნია და „პირადობის შესახებაც“ წამოუყენებია ბრალდება: „დღეს გაზეთს ისეთი კაცოც კი უდგას სათავეში რომელიც, როგორც მე დანამდვილებით ვიცო სოფელ-სოფელ დადიოდა და თავადების წინააღმდეგ გლეხებს „აბუნტებას“ უქადაგებდაო. ჩვენ, იმედია, მალე გავიგებთ იმ „ნამდვილ“ წყაროებსა და „საბუთებს“, საიდანაც ეს ქართლელი მემამულე საპოლიციო ცნობებს ჰკრებს, და ჩვენს მკითხველებსაც მის ზნეობრივ ავლადიდებას მაშინ გავაგებინებთ“.²

როგორც მკითხველი, ალბათ უკვე, მიმხვდარია, ის აღამიანი, რომელიც გორის მაზრაში „სოფელ-სოფელ დადიოდა“, მაგრამ არა იმისთვის, რომ თავადების წინააღმდეგ გლეხები აეჯანყებია. არამედ იმ მიზნით, რათა სტატისტიკური და სხვა ცნობები მოეგროვებია მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის არსებული მდგომარეობის შესახებ, იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც ახლა გაზ. „ივერიას“ რედაქტორობდა.

რა თქმა უნდა, სულ სხვაა, თუ რა გავლენას მოახდენდა ამ მდგომარეობისა და ცნობების მეცნიერული შესწავლა და ანალიზი საზოგადოებრივ აზრზე. ცხადია, ამ მასალას, რამდენადაც ის საქვეყნო მსჯელობის საგნად ხდებოდა, თვით გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა და ამ სახით ააშკარავებდა გლეხობის უმიწაწყლობასა და საერთოდ დაბეჩავებულ მდგომარეობას, არ შეეძლო ხელი არ შეეწყო როგორც საზოგადოებრივი აზრის. ისე გლეხობის გარეგოლუეციურებისათვის და ამიტომაც რეაქციული თავადაზნაურობა. რომელიც პროგრესული პრესისა და კერძოდ „ივერიის“ რედაქტორის წინააღმდეგ ილაშქრებდა, არც თუ იმდენად გაურკვეველი იყო საქმის ვითარებაში.

„ივერია“, ისე როგორც საერთოდ ქართული და მთელი რუსეთის პროგრესული პრესა, გამუდმებულად იბრძოდა ბეჭდვის სიტყვის თავისუფლებისათვის, — სასტიკი ცენზურული რეჟიმის წინააღმდეგ.

მაგრამ ზოგჯერ ცარიზმის ოფიციალურ ცენზურაზე ნაკლებ რე-

¹ „ივერია“, 1905, № 20.

² იქვე.

აქციული როდი იყო „შინაური“ ძალები — კონსერვატიული თავად-აზნაურობა. აი რას ვკითხულობთ „ივერია“ ფურცლებზე:

„დღეს «ომიანობის» დროა, ძლიერის საზოგადოებრივ მოძრაობის ხანაა და ამიტომ, უეჭველია, მკითხველს აღარ აკვირვებს ის კერძო ფაქტები. რომლებშიაც ეს ბრძოლა და მოძრაობა იხატება“... მაგრამ ამ მოვლენას ჯერაც ვერ შეეჩვია ერთი ნაწილი ჩვენო, ესრედ წოდებულ, „საზოგადოებისა“. რომელსაც პატრიოტობა და მამულიშვილური გრძნობები დღემდის თავის მონოპოლიად მიჩნდა... და იცით, მკითხველო, ვისკენ არის მიმართული მათი საყვედურები? ნუ გაიკვირვებთ: ქართულ პრესისა და ჟურნალისტებისაკენ... გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ ეს უკმაყოფილება იგივეა. რომელიც გამოსთქვებს პრესის წინააღმდეგ ზოგიერთმა ეგოიზმით გატაცებულ მემამულეებმა. არა, ეს სხვა ჯურის ხალხია, რომელიც იწუნებს აწინდელ პრესას და ჰგმობს ახალგაზრდობის მიმართულელებას... თურმე, ნუ იტყვიან, აწინდელი ქართული პრესისა და ჟურნალისტები, რომელნიც მეტ „სიჩუმის ტაქტიკას“ არ თანაუგრძნობენ და კლასთა ბრძოლის პრინციპს აღიარებენ.—ყალბ იგზაზე აყენებენ საზოგადოებას, ძირს უთხრიან ეროვნულ ერთობასა და მთლიანობას“.

ისინი ამტკიცებენ, რომ „ეროვნული ინტერესი მაღლა სდგას მშრომელ ხალხის ეკონომიურ ინტერესებზე და ამიტომ ეკონომიური უთანასწორობა უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ საერთო ეროვნულ უფლებებსა და ინტერესებზე უნდა ვიფიქროთ...“.¹

ამ ცრუ პატრიოტების, რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ გულსრულად ილაშქრებდა „ივერიის“ რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი, რომლის სტატიაში, „ახირებული «პატრიოტობა»; კვითხულობთ:

პრესას „არ ძალუძს შეარიგოს და შეათანხმოს ის, რაც ცხოვრებას გაუთიშავს და გაუშორებია. ისეთი წესწყობილება, სადაც ეკონომიური უთანასწორობა და კლასობრივი დანაწილება მოსპობილი იქნება, მხოლოდ სანატრელი იდეალია და ამ იდეალისა აწინდელ ცხოვრებას არაფერი სცხია. ამიტომ პრესის ვალდებულაა, თუ ეს იდეალი მართლა სანატრელ მდგომარეობად მიაჩნია, ჯანსაყუთრებული ყურადღება მიაქციოს თანამედროვე ცხოვრებაში არსებულ განწყობილებას და იმისი მხარე დაიჭიროს და მათ ინტერესებს ემსახუროს, „ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

საქმე ისაა, რომ „ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სიღარიბეში იღრჩობა და

¹ „ივერია“, 1905, № 32.

მთხოვნისათვის დაკმაყოფილების მხრით თავისთვის ადამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია. მთელი ერის ძალა და მერმისი ამ მშრომელ ხალხის გარჯა-შრომაზე დაფუძნებული და მისი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფასა და განწირვას ნიშნავს. „ნაციონალურ უფლებებისათვის“ მებრძოლადაც სწორედ ეს ხალხი გამოდის, და არა ის „კოხტად ჩაცმული“, ჯიბე-სქელი, კუჭმაძლარი მოღვაწეები“, რომლებსაც დიდის ხელოვნებით ახასიათებს დღეს ერთი ჩვენი თანამშრომელი... უაზრო და გაურკვეველ ფრაზების დრო, დიდი ხანია, გაჰქრა. დღეს ცხოვრებამ ნათლად დაანახვა ყველას კლასთა რეალური განწყობილება. ვერც ერთი მოღვაწე ამ განწყობილების წინაშე თვალებს ვეღარ დახუჭავს,—ბრძოლაში ერთ-ერთ მხარეს უეჭველად უნდა მიემხროს“¹—სამართლიანად აცხადებდა „ივერიის“ რედაქტორი.

მაგრამ ამ პოზიციების გამონახვაში, ცხადია, დიდ როლს თამაშობს პრესა, ამავე დროს ცარიზმის „ბიუროკრატიულმა რეჟიმმა არ იცის აზრის, სიტყვის, წერის თავისუფლება. მისგან აკრძალულია ყველაფერი, რაც ბიუროკრატიულ წესსა და წყობილებას არ ეთანხმება, რაც არსებულ ცხოვრების სიღუბს იწინააღმდეგება, თავისუფლებას ელტვის, ხალხის ინტერესებს ემსახურება. მაგრამ, მოგეხსენებათ, არავითარ აკრძალვას არ ძალუძს აზრის მუშაობის შეჩერება, არ ძალუძს მსჯელობის დამონება და თავის ნებაზე ტარება, არ შეუძლია ცხოვრების განვითარების შეყენება. და ამიტომ მიუხედავად ბიუროკრატიულ აკრძალვისა და დევნისა, ძველ რეჟიმს, რომელიც ხალხის ყოველმხრივ დაპყრობა-დამონებაზე აგებული, ბლომად უჩინდებოდნენ მოწინააღმდეგენი და ხალხის გამოღვიძების მოსარჩლენი“².

ცარიზმის ადმინისტრაციას მთელი პროგრესული პრესა და პუბლიცისტიკა „სახელმწიფოს მტრებად ჰყავდა გამოცხადებული“. საქმე ისაა, რომ „ბიუროკრატიისათვის შხამს წარმოადგენს ყოველი ახალი აზრი, ყოველი მისწრაფება თავისუფალ მოქალაქეობრიობისადმი... ყველაფერს, რაც ყველა კულტურულ სახელმწიფოებში ნებადართულია და თითოეულ მოქალაქის უცილობელ უფლებას შეადგენს, ბიუროკრატია სასტიკად სდევნის, რადგან მისი ბატონობა უფლებათა უარისყოფაზეა დამყარებული. კულტურულ სახელმწიფოთა კანონმდებლობამ არ იცის, თუ რა არის პოლიტიკური დამნაშავე, რადგან იქ ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თავისუფლად გა-

¹ „ივერია“, 1905, № 32.

² „ივერია“, 1905, № 148.

მოსთქვას თავისი აზრი არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილებებისა და კანონების წინააღმდეგ და იმოქმედოს კიდევ ცხოვრებაში თავის აზრ-შეხედულებების განსახორციელებლად“¹.

რეაქციის ძალებს მით უფრო აფრთხობდა ბეჭდვის თავისუფლება, რომ ამ დროისათვის, 1900-იანი წლების დამდეგიდანვე აშკარად შეიმჩნეოდა ქართველ „ხალხში კითხვის მოთხოვნილების გადიდება და ქართულ პრესის მნიშვნელობის ზრდა, რომელსაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში. დღეს ქართული გაზეთი შედის ისეთ სოფლებსა და ოჯახებში, სადაც რამდენისამე წლის წინად არც კი იცოდნენ თუ რა არის გაზეთი და რის გულისათვის იხარჯება მასზე შრომა და ფული“².

ქვემოთ ფ. გოგიჩაიშვილის ამ სტატიაში — „პრესის ზრდა“, — ვკითხულობთ: „იმ სულის შემხუთველ და აზრ-გონების დამხშველ ატმოსფეროში, რომელშიაც დღემდის მთელი რუსეთი და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა, ძნელი იყო, რასაკვირველია, ბეჭდვითი სიტყვის ნაყოფიერი მოქმედება, პრესის ზრდა-განვითარება... მაგრამ რეპრესიამ და სიბნელის გამმეფებელმა სისტემამ მაინც ვერ გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს ხალხში იმდენმა განათლების შუქმა მაინც შეანათა, რომ ხალხისთვის ბიუროკრატიულ რეჟიმის უვარგისობა დაენახვებინა და მის მოსასპობად აემხედრებინა. საბოლოოდ მაინც ვერ დაიმონა ხალხის ცნობიერება ბიუროკრატია, ასე რომ ამჟამად ძველ წესწყობილების აღსასრული დამდგარია და სიკვდილისაგან მას ვერ იხსნის ვერც დიქტატურა და ვერც წვრილმან რეფორმათა „დათმობის პოლიტიკა“. აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრების განახლება, რომელმაც უნდა შეჰქმნას პირობები საერთო სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების დაუბრკოლებელ განვითარებისა“.

ამასთანავე ცხადია, რომ გაზეთების ფართოდ გავრცელებისათვის აუცილებელია წერა-კითხვის გავრცელება. „ბიუროკრატიული რეჟიმი ხალხს სწავლა-განათლებას არ აკარებდა და სიბნელეში სტოვებდა. ახალმა წესწყობილებამ სწავლა საყოველთაო და სავალდებულო უნდა გახადოს, როგორც ეს ყველა კულტურულ სახელმწიფოშია“. მაშინ გაზეთს ასიათასობით მიემატებიან მკითხველები. „ამიტომ, როგორც მწერლებმა, ისე მკითხველებმაც, რომელთაც ძვირფასად მიაჩნიათ საერთოდ ხალხის კეთილ-დღეობა და კერძოდ

¹ „ივერია“, 1905. № 148.

² „ივერია“, 1905. № 132.

პრესის განვითარება, ყოველი ღონე უნდა იხმაროს აწინდელ ბიუროკრატიის მალე დასამარცხებლად და თავისუფალ მოქალაქეობრივ ცხოვრებისათვის შესაფერ პირობების შესაქმნელად... პრესსა მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზე გაიზრდება და განვითარდება...¹

პრესის თავისუფლება აუცილებელი პირობაა ხალხის, საზოგადოების განვითარების, აზრთა გაცვლის, მომავლის უკეთესი გზების ძიებისა და კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისათვის. სტატიაში „პრესის თავისუფლება“, რომელიც ფ. გოგიჩაიშვილის კალამს ეკუთვნის, ნათქვამია, რომ რევოლუციური მოძრაობის გავლენით ბიუროკრატია ლაპარაკს იწყებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას შემოღების საჭიროებაზე.

მაგრამ რუსი „ლიბერალები“, ცარიზმის სატრაპები, სწორედ მაშინ, როდესაც კობეკოს კომისიის მიერ მზადდებოდა ცენზურის ბეჭდვითი სიტყვის გამგებლობის შესახებ ახალი კანონ-პროექტი, იმ აზრს ავითარებდნენ, რომ „თავისუფლება მხოლოდ შიგა რუსეთია პრესას“ უნდა მიენიჭოსო. „ინოროდცები რუსეთში ცხოვრობენ და ისწავლონ კიდევ რუსული ლაპარაკი და წერა, თუ მართლა სურთ, რომ თავისუფალი სიტყვა გაიგონონო“².

„ივერია“ მთელის ენერგიით იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკისა და პრაქტიკის წინააღმდეგ: „ასეთი „ლიბერალობა“ ჩვენ არა ერთხელ იგავიგია: თავისუფალი ხარ იმ ენაზე სწერო და იკითხო, რომელიც არ იცი და არ გაგეგება!... თავისუფალი ხარ, რაც გინდა, ის სწერო და ბეჭდო, ოღონდ ხელი აიღე თავის გვარ-ტომობაზე და ისურვე გადაგვარება... ჩვენ კარგად ვიცით. თუ რა „სორტისაა“ ესეთი „ლიბერალობა“... დღეს მთელი რუსეთი ღედავს. რომ პრესის დამონებამ და დამუნჯებამ უფსკრულამდის მიიყვანა საზოგადოება და ცხოვრება. ბიუროკრატია დაუბრკოლებლად ნავარდობდა ქვეყანაში, სადაც მის წინააღმდეგ არავის შეეძლო ენის დაძვრა და ხმის ამოდება. დღეს უკვე... ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ხალხი. საზოგადოება თავს მალა სწევს და ბოლოს უღებს დაბეჩავებას. მას აღარ უნდა ბიუროკრატია ისე უკანტროლო იყოს, როგორც იყო აქამდის, და თხოულობს სიტყვისა და წერის თავისუფლებას“³.

დასასრულ, ფ. გოგიჩაიშვილი გამოთქვამს რწმენას, რომ კავკასია ეღირსება თავისუფლებას და „ჩვენ პრესას ახსნიან ბორკილს და მოაშორებენ სიმუნჯის ბეჭედს. მაგრამ წარმოვიდგინოთ.

¹ „ივერია“, 1905, № 132.

² „ივერია“, 1905, № 7.

³ იქვე.

რომ მოლოდინი არ გამართლდა და ბეჭდვითი სიტყვას კავკასიაში არ ეღივსა თავისუფლება. რას ფიქრობენ რუსის ლიბერალები? ნუ თუ ჰგონიათ, რომ ჩვენი მხარე ამგვარ დაცინვას და ღირსების ახლას შეურიგდება?...“¹ ამთავრებს იგი.

* * *

ახლა აქ, ვფიქრობ, საჭიროა ისიც აღინიშნოს, თუ როგორ აფასებდა ამ დროიდან 40 წლის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი საერთოდ პუბლიცისტური სტატიისა და საგაზეთო კორესპონდენციის, როგორც ისტორიის წყაროს ღირსებასა და მნიშვნელობას იმ მხრივ, თუ როგორ უნდა ესარგებლა ამ მასალით წარსული ცხოვრების (ყოფიერების) მკვლევარს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მისთვის სარეცენზიოდ გადაცემული ერთი ნაშრომის შესახებ 1945 წ. 24 აპრილს ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ გამოკვლევის ავტორს ფართოდ უსარგებლია ქართული პერიოდიკით, რაც „უეჭველად განსაკუთრებით დადებითად არის შესაფასებელი. ვინაიდან ბევრი ისეთი მასალა, რომელიც ძვირფასია საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მკვლევარისათვის და აუცილებელი წარსული მდგომარეობის გასაშუქებლად, პერიოდულ პრესაში არის გაფანტული“.

ამასთანავე ფ. გოგიჩაიშვილი აქვე გამოსთქვამს ერთ საინტერესო მოსაზრებას პერიოდული პრესის მასალებით, როგორც ისტორიული წარსულის წყაროებით სარგებლობის თაობაზე, იმის შესახებ, რომ ამ მხრივ მკვლევარს დიდი სიფრთხილე მართებს. საქმე ისაა, რომ: „საგაზეთო კორესპონდენცია ან უპირატესად პუბლიცისტური წერილი ჩვეულებრივ როდი არის მოვლენის სრული სიზუსტით ამსახველი. იგი უფრო ხშირად მისი ამსახველია გადაჭარბებულად, რამდენადმე ცალმხრივად, ვინაიდან ასეთი წერილის დანიშნულებასა და მიზანს შეადგენს ადამიანთა ნებისყოფაზე გავლენის მოხდენა, სათანადო მოქმედებისათვის მისი ამუშავება, ამოძრავება, ამოქმედება. ამიტომ ასეთი საგაზეთო წერილი მოვლენის ამსახველია ჩვეულებრივ მისი ძირითადი ხასიათის, მთავარი მიმართულების, მიმდინარეობის, მსვლელობის მხრივ და არა დეტალებისა და მრავალმხრივი კოლორიტის მხრივ“.

ფ. გოგიჩაიშვილის ეს სამართლიანი შენიშვნა ჩვენ ყოველთვის მხედველობაში გვქონდა საკუთრად მისი პუბლიცისტური მემკვიდ-

¹ „ივერია“, 1905. № 7.

რეობით სარგებლობისა და მისი, როგორც გარკვეულ მოვლენათა ამსახველი მასალის ანალიზის დროს.

* * *

საერთოდ ფ. გოგიჩაიშვილის ლიტერატურული რენომეს დახასიათებისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. მე-20 ს. მეორე ათეული წლების დამდეგს ი. გოგებაშვილსა და სილოვან ხუნდაძეს შორის დაიწყო განმაურებული დავა ქართული ენის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში, ქართული მართლწერის საკითხებში უკვე საკმაოდ ცნობილი იყო სილოვან ხუნდაძის ნაშრომები.

და, აი, „სახალხო გაზეთში“ (1911, №№ 475, 477) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის სტატია — „პასუხი სილ. ხუნდაძის წერილისა: «ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის ქართული ენა»“, რაც გამოქვეყნდა გაზ. „კოლხიდაში“ (1911, № 188).

ეს დავა, ცხადია, დიდმნიშვნელოვანი იყო და დიდი ისტორიის მქონეც.

ი. გოგებაშვილის ვრცელი საპასუხო სტატია, — „მოწიწებით ეპისტოლე ჩვენის რეფორმატორის ბ. სილოვანის მიმართ“, — თავდება ავტორის განცხადებით: „მსგავს საკითხებს რუსეთში სწყვეტს მეცნიერებათა აკადემია. ჩვენი სამეცნიერო აკადემია არის „წერაკითხვის საზოგადოება“. აი ამ საზოგადოებამ უნდა აირჩიოს ექვსი-ოთხე ქართველი ინტელიგენტი, საფუძვლიანი განათლებით აღჭურვილი, ევროპულის ენების და ჩვენის ქართული ენის კარგი მცოდნე, შეადგინოს კომიტეტი, რომელსაც უნდა დაავალოს — განიხილოს მართლწერა ბ-ნი სილოვან ხუნდაძისა და მისი ავკარგის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს გამგეობას“.

ბოლოს, ამ კომიტეტის წევრებად, ი. გოგებაშვილი, თავის მხრივ, ასახელებს სამ კაცს: ნ. ბ. ლოლობერიძეს, ფ. გ. გოგიჩაიშვილს და ი. გ. გომართელს და ამთავრებს: „პირადად მე დავემორჩილებო ყოველს გადაწყვეტილებას არჩეულის კომიტეტისას იმ შემთხვევაშიც, თუნდაც არ ვეთანხმებოდე ზოგიერთ რამეში, და შესაბამ ცვლილებას შევიტან ჩემის წიგნების და ნაწერების მართლწერაში“.¹

¹ ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, გვ. 465—466.

IV. აგრარული საკითხი—მთავარი მიმართულება

1. პრობლემის დაყენება

ფილიპე გოგიჩაიშვილს, როგორც მეცნიერს, როგორც ჟურნალისტს, როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეს, ფრიად მრავალგვარ საკითხზე უწერია. ძნელია დასახელება იმდროინდელი ეკონომიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური მეცნიერების პრობლემებისა, რომელთა შესახებ მას არ გამოეთქვას თავისი აზრი. მას უწერია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, ფაჭრობის, ფულის, კრედიტის, ბანკების, ფინანსების, საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, სტატისტიკის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის და სხვ. და სხვ. შესახებ.

ფილიპე გოგიჩაიშვილი როგორც ჟურნალისტი, როგორც პუბლიცისტი, გარდა ზემოხსენებული საკითხებისა, აშუქებდა ჩვენი და უცხო ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მმართველობის, ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოების, პოლიციის, სასოფლო და საქალაქო გამგეობის. მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურის, კოლონიზაციის, გლეხობის, მუშათა კლასის, ხელოსნების, შინამრეწველთა ყოფიერების, პერიოდული პრესის, ლიტერატურის, თეატრის, ოჯახის, ქორწინების. განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, კლასობრივი ბრძოლის და სხვა საკითხებს.

მაგრამ მთელი მისი მეცნიერული და თვით პუბლიცისტური მოღვაწეობის მთავარი თემა მაინც აგრარული საკითხი იყო—მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის და მათთან დაკავშირებული პრაქტიკული თუ თეორიული საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემები.

ამიტომ ბუნებრივია, რომ მის მეცნიერულ მოღვაწეობას ჩვენ უწინარეს და უმთავრესად, თანაც, ცხადია, ძლიერ მოკლედ გავა-

შუქებთ აგრარული საკითხებისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომების ასპექტში.

მაგრამ ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნებრივია თვით ეს გარემოებაც, სახელდობრ ის, რომ ფ. გოგიჩაიშვილი როგორც მკვლევარი და პუბლიცისტი უმთავრესად აგრარულ (გლეხობის) საკითხთა გარშემო ტრიალებს; საქმე ისაა, რომ, მიუხედავად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებისა, იმდროინდელი საქართველო და საერთოდ რუსეთის იმპერია უპირატესად გლეხური ქვეყანა იყო და, მაშასადამე, აქ მთელი საზოგადოებრივი მოძრაობის ღერძს აგრარული საკითხი წარმოადგენდა.

1903 წ. გამოქვეყნებულ ნარკვევში „ჩვენი ხალხი და ქართული პრესის მოვალეობა“ ფ. გოგიჩაიშვილი წერდა: „ქართველი ხალხის ცხოვრების ერთად-ერთ სახსარს დღეს სასოფლო მეურნეობა აღარ შეადგენს. უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ცვლილებამ იგი იძულებულ-ჰყო სხვა საქმეებისთვისაც მოეკიდა ხელი და მიწის ნაკლებობა სხვა გვარ მოქმედებით და მომჭირნეობით შეევესო. თანდათან გამოვიდნენ ქართველთა წრიდან ელემენტები, რომლებიც ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზს დაადგნენ და ხელობად გაიხადეს. ამ სახით ევროპული საეკონომიო დიფერენციაცია ჩვენშიაც არის დაწყებული... საერთოდ ვაჭრობასა და მრეწველობაში მომქმედი ნაწილი ქართველობისა თითქმის სულ „წვრილი ხალხისაგან“ შესდგება. ესენი არიან წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, ნოქრები, დღიური მუშები, თუ შინამოსამსახურენი“.¹

შემდეგ მას მოჰყავს ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ 1898 წელს საქართველოში მრეწველური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშათა (მ.შ. ხელოსანთა) საერთო რაოდენობა (13.006) მთელი მოსახლეობის მხოლოდ 0,73% შეადგენს და რომ „ჩვენი ხალხის დიდ-ძალ უმრავლესობას დღესაც გლეხობა წარმოადგენს. 1886 წ. ტფილისის გუბერნიაში გლეხობა შეადგენდა 85%-ს, ხოლო ქუთაისისაში 86%-ს. მას შემდეგ გლეხების რიცხვმა სოფლებში იკლო. რადგან ნაწილი ქალაქებში წავიდა სამუშაოდ (დაბადებით შემატეხულეებზე მეტი), მაგრამ იმდენად მაინც არ უკლია, რომ იგი დღეს 80%-ზე ნაკლები იყოს. გლეხობაც, ზოგადად თუ ვიტყვით, სულ წვრილი მეურნეებისაგან შესდგება. ჩვენში არ არის ისეთი მსხვილ მესაკუთრე გლეხის (Großbauer) ტიპი, როგორიც მოიპოვება, მაგალ.. გერმანიაში. მთელ ქუთაისის გუბერნიაში მიწის ისეთი სივიწროვეა, რომ იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც საკუთარი მიწა ჰყოფნიდეს

¹ „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2358.

დასამუშავებლად. ქართლში, საცა მე 25 სხვა-და-სხვა სოფელში ავსწერე გლეხების მეურნეობა, გლეხ-მეურნეთა მხოლოდ 9 პროცენტს აქვს 5 დესეტიანი მეტი მიწა, დანარჩენ 91%-ს ქიწის რაოდენობა კომლზე 5 დესეტინას არ აღემატება... უდიდესი ნაწილი მამულებისა ჩვენში ქართველ თავად-აზნაურობის ხელშია, ეს წოდება რიცხვით მცირე ნაწილია ჩვენი ხალხისა (2,89% ტფილისის გუბ. და 6,78% ქუთაისისაში).¹

მერმე ფ. გოგიჩაიშვილი წარმოგვიდგენს საერთოდ საქართველოს კლასობრივ სტრუქტურას „ჩვენი ხალხის უმრავლესობა სოფლის მეურნეობის გლეხებისაგან შეესდგება, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, გლეხებს გარდა სხვები არავინ დავინახოთ და მათი როლი და მნიშვნელობა არ გავითვალისწინოთ. გარდა გლეხებისა ჩვენს ხალხს ეკუთვნიან რიცხვით მცირე მემამულეები, ვაჭრები, მრეწველები, ხელოსნები, ნოქრები, მუშები. ყველა ამ ჯგუფთა რეალური მოთხოვნილება ჩშირად არის ერთი მეორის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი... მუშა ხალხისა და მრეწველის ეკონომიური ინტერესები ჩვენშიაც ისე სხვადასხვა და ერთმანეთის წინააღმდეგია, როგორც ევროპაში და საზოგადოდ დაწინაურებულ ხალხებში. იქ, საცა იწყებს განვითარებას კაპიტალისტური წარმოების წესი, არ შეიძლება არ წარმოსდგეს ის მოვლენები, რომლებიც თანამყოლი და დამახასიათებელია ამ წყობილების“.²

ამასთანავე, იგი იქვე აღნიშნავს, რომ „რაც უფრო დიდია რიცხვით და სუსტი ქონებით ის ნაწილი ხალხისა, რომელსაც პრესსა სოლიდარობას და თანაგრძნობას გამოუცხადებს იმდენად ფართო და საფუძვლიანი იქნება მისი ნიადაგი და ზნეობის მხრივ, მაღალი და სპეტაკი მისი შრომა—ამაგი“.

მამასადაშვე, ჩვენში პროგრესული პრესა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება უწინარეს ყოვლისა უნდა გამოდიოდეს, როგორც გლეხობის ქომაგი.

საქმე ისაა, რომ „ქართველ თავად-აზნაურობას დღესაც, მიუხედავად მამულების დაკვივნისა და დავალიანებისა, შედარებით დიდი ნივთიერი ძალა და საზოგადოებრივი გავლენა აქვს. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში დღემდის დაცულნი არიან ისეთი მემამულეები, რომელნიც თავისი ქონებითა და ხალხთან განწყობილებით ნამდვილ საშუალო საუკუნეებს მოგვაგონებენ“³.

¹ „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2358.

² „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2375.

³ იქვე.

ეს თავადაზნაურული არისტოკრატია — აგრარიები და უმთავრესად ამავე წრიდან გამოსული ინტელიგენცია რიცხვობრივადაც მცირეა და ამასთანავე „მათში ქართული ენის სუსტი ცოდნა და ეროვნულ პრესსა-მწერლობისაგან დაშორება“, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აცხადებს, სრულებით „არ შეიცავს ნაყოფიერ და საიმედო ნიღდაგს პროგრესული ქართული პრესისათვის“, ე. ი. საერთოდ ქართველობისათვის; ანალოგიურია ამ მხრივ ბურჟუაზიული ელემენტების მნიშვნელობაც.

ამგვარად, „ქართული პრესსა ვერც ერთგვარ არისტოკრატიაში ვერ კპოვებს არსებობის წყაროს, ზნეობრივ ძალას და საზოგადოებრივ გავლენას. მისი ერთად-ერთი გზა მდებრივ მშრომელ ხალხისაკენაა, რომელიც თავისი სიმრავლით, შრომა-გარჯით და მოქმედებით ბურჟია ქართველი ეროვნებისა“¹.

ასეთი იყო ფ. გოგიჩაიშვილის შეხედულება ქართული პრესის, ე. ი. არსებითად საკუთარი პუბლიცისტური და მეცნიერული მოღვაწეობის ამოცანებზე. მის ამ ნარკვევებში, ისე სხვებშიც, რომელთაც ქვემოთ შევეხებით, ცხადია, ურევია ისეთი მსჯელობაც, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია ვუჩვენოთ, არა ის, თუ როგორ აფასებდა საბოლოოდ იგი იმდროინდელი ქართული საზოგადოების სხვადასხვა კლასთა ურთიერთდამოკიდებულებას და, ბოლოს, თუ რა შეხედულებას იყო იგი ამა თუ იმ კლასის როლსა. პოლიტიკურ მრწამსსა და მიზნებზე, არამედ ის, თუ რატომ აირჩია ფ. გოგიჩაიშვილმა თავისი კვლევა-ძიებების მთავარ პრობლემად აგრარიული საკითხი და რატომ გაიხადა მიზნად ყოფილიყო ქონებრივად გაღატაკებულ, პოლიტიკურად უუფლებო და ეროვნულად დაჩაგრულ გლეხთა ინტერესების გამომხატველი.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ფ. გოგიჩაიშვილი იმ დროს გამოვიდა პუბლიცისტის ასპარეზზე, უკეთ ვსთქვათ იმ დროს ზღვებოდა მისი მსოფლმხედველობის ფორმირება, როდესაც საქართველოში ტრადიციად იყო ქცეული, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე ახალმოვლენილი ადამიანის შესახებ კითხულობდნენ, თუ რა დამოკიდებულებაში იყო იგი ილია ჭავჭავაძისადმი.

შორს წაგვიყვანდა საკითხის დეტალური განხილვა, მაგრამ ის მაინც უნდა ითქვას, რომ იმ წრეში, რომელმაც ფ. გოგიჩაიშვილს

¹ „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2430.

გზა-ხსნილი მოსკა მიეღო ფართო განათლება და ასე დაწინაურებულ იყო, ილია ჭავჭავაძის იდეებისადმი ერთგულება რაღაც ღვთის-მოსავლობის შესაღარ ფენომენს წარმოადგენდა. ჩვენ ვფიქრობთ ამ მომენტმატ. საკუთარ სოციალურ წარმომავლობასთან ერთად. დიდი როლი შეასრულა ფ. გოგიჩაიშვილის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შემუშავებაში.

ამგვარად, როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნება ფ. გოგიჩაიშვილის მეცნიერული და პუბლიცისტური მოღვაწეობის მთავარ საგანზე — აგრარულ საკითხზე, რამდენადმე მაინც არსებითად შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ახლა უწინარეს საკითხავია, როგორი იყო წინაპირობა საქართველოში აგრარულ ურთიერთობათა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის, რა მონაცემებითა და მასალებით, რა მემკვიდრეობით შეეძლო ამ მხრივ ესარგებლა მკვლევარს?

მოკუსმინოთ თვითონ ფ. გოგიჩაიშვილს, რომელიც 1904 წ. წერდა: თუ ქვეყნის მმართველობის ბიუროკრატიული წესი „გამოუშაღდეგარი და უნაყოფო აღმოჩნდა რუსეთის შუაგულში, სადაც მთავარი საზოგადოებრივი ძარღვი სცემს და გონებრივი ძალა მოქმედობს, რაღა უნდა ითქვას კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე, რომელიც ბევრის მხრით ჩამორჩება რუსეთის შიდა გუბერნიებს. თუ კიდევ საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ აღმინისტრაციულის წესით არ შეიძლება ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ეს ცხადპყო და ნათლად დამტკიცა აქაურ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობამ და ჩვენი ცხოვრების მოწყობილობამ. საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან აუარებელ მოთხოვნილებათა და საჭიროებათ შეამჩნევთ, ხოლო ამათ დასაკმაყოფილებლად გაწეული შრომა და მეცადინეობა იძენად მცორეა, რომ სათქმელადაც კი არ ჰღირს... ჩვენ ყველამ უკეთ ვიცით გერმანიისა გინდ საფრანგეთის ხალხის ყოფა-ცხოვრება, ვიდრე ჩვენი გლეხობის მდგომარეობა. ჩვენში არაა სტატისტიკის ჭაჭანება, არ ჰნდება ეკონომიური ცხოვრების შესწავლა და გამოკვლევა. არ ვიცით რამდენი მიწა აქვთ იემამულეებს, რამდენი — გლეხობას; არ ვიცით რამდენია დღეს ჩვენში უმამულო, მესაკუთრე, ხიზანი ან დროებით ვალდებული გლეხი და რამდენი მამული უჭირავს თითოეულ მათგანს; არ ვიცით, რამდენი მიწა ითესება წლიურად, რით ითესება, როგორი მოსავალია; რა მდგომარეობაშია წარმოების ტეხნიკა, როგორია ამა თუ იმ ადგილას ნიადაგი, რა შემოსავალს იძლევა წარმოების სხვა-და-სხვა დარგი, — მვეენახეობა, მებაღეობა, საქონლის მოშენება და სხვა-და-სხვა. და აბა როგორ უნდა

გაარკვიოს და გადასწყვიტოს ვინმემ ეკონომიური საკითხები. როცა ამის შესახებ სწორი ცნობები და საჭირო მასალები არ იკრიბება“¹.

ეხება რა ეკონომიკური ცხოვრების შესწავლისათვის არსებულ პირობებს, ფ. გოგიჩაიშვილი ასე ახასიათებს თვით ამ ცხოვრების მთავარ მომენტებს:

„ჩვენში არაა საკმაოდ სკოლები, არაა გავრცელებული სწავლა და ცოდნა. არც მემამულემ და არც მიწის მუშამ არა იცის რა გაუმჯობესებულის ტექნიკისა. მელიორაცია, სპეციალური კულტურა სხვა-და-სხვა გვარ სამეურნეო ნაწარმოებთა, ზალახის თესვა, ინტენსიური წარმოება, საქონლის ჯიშის განკარგება, ფერმები, სანერგეები, საცდელი მინდვრები, სამაგალითო სადგურები — არც ერთი ეს ჩვენში არ არის და არც არავინ ცდილობს მის გასავრცელებლად... მეურნეს ხშირად ზარალი ეძლევა სეტყვისა და ცეცხლისაგან, საქონლის ჭირისაგან, ფილოქსერისა და სხვა-და-სხვა მავნე მწერებისაგან. არ არის მოწესრიგებული დაზღვევის საქმე დაზარალებულისათვის შემწეობის აღმოსაჩენად, არც რაიმე ორგანიზაცია მავნე მწერებთან საბრძოლველად; დაეწვის სახლი თუ ყანა, მოუკვდება ხარი თუ ძროხა, გაუხმება ვენაჩი თუ ნათესს გაუნადგურებს კალია — მეურნემ თავის ბედს უნდა შესჩივლოს და კარდაკარ იწყოს მათხოვრობა... ყველამ იცის, სოფლად გზები რა მდგომარეობაში იმყოფება. პატარა წვიმის შემდეგ მდინარეები, უხიდობის გამო და გზები, ტალახის გამო, გაუვალი ჰხდება. ხშირად რუსეთიდან გინდ უცხოეთიდან უფრო იაფი ჯდება საქონლის მოტანა, ვიდრე შინაურ ნაწარმოების 60 ვერსიდან ქალაქში მოზიდვა; ქართლის პური რუსულ პურს კახეთში ვერ უწევს კონკურენციას; ჩვენს ტყიან ქვეყანაში ხის მასალა რუსეთიდან შემოაქვთ, ხოლო ქუჩების მოსაფენად ქვებს ოსმალეთიდან ეზიდებიან“².

ამასთანავე, ცხადია, დიდმნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ხალხი თანდათან მრავლდება და მიწა აღარ ჰყოფნის დასამუშავებლად. ჩნდება გროვა სრულიად უმამულო გლეხებისა, რომლებსაც ქალაქებშიაც უჭირთ, მრეწველობის განუვითარებლობის გამო, სამუშაოს შოვნა და სოფლადაც არ აქვთ საშუალება, უმამულობის მიზეზით, წარმართონ სამეურნეო წარმოება; არ არსებობს არავითარი საკრედიტო დაწესებულება, რომელმაც მცირე მამულიან გლეხებს მცირე სარგებლით სესხი მისცეს და მამულის შექენაში კრედიტით გაუწიოს დახმარება. — ესრედ წოდებული წვრილი კრედიტი,

¹ „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2634.

² იქვე.

რომელიც წვრილ მწარმოებლისთვის აუცილებლად საჭიროა, ჩვენში სრულიად არ არის შემოღებული და ამიტომ სოფლის მეურნე მევენხის საწველ ფურადაა დატოვებული“.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, სავსებით უყურადღებოდაა მიტოვებული მოსახლეობის ძირითადი მასების ჯანმრთელობის დაცვის საკითხი: „...ხალხის ჯანმრთელობისათვის მთელს მაზრაში ერთად-ერთი მაზრის ექიმაა განწესებული, ხოლო თვით მაზრა იმ ზომისაა და ისეთ კლდე-ღრეებს შეიცავს, რომ ერთი კაცი ბედაურ ცხენითაც კი რამდენსამე წელიწადს ვერ შემოივლის. მაზრის ექიმი თავის დანიშნულებით უფრო სასამართლოს ემსახურება; იგი მოვალეა, საჭირო შემთხვევებში სასამართლოს ოქმები წარუდგინოს და „ჩინოვნიკის“ როლი შეასრულოს; ხალხის ჯანმრთელობასა და სანიტარულ მდგომარეობაზე ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმეს შეადგენს. და ასეთ გარემოებაში ხალხი თურმე ძალიან გასამტყუნარი და დასაგმობი ყოფილა, რადგან იგი ავადმყოფობის დროს მკითხავებთან გარბის და ხშირად სოფლის მატყუარა ექიმბაშებზე აგებს თავის საცხოვრებელს“.

მაგრამ, პოლიციური რეჟიმის ბატონობის პირობებში გამოსავალიც არა ჩანს და ფ. გოგიჩაიშვილი აცხადებს: „ერთის სიტყვით ნაკლულევანება და მოუწყობლობა ბლომადაა ჩვენს ცხოვრებაში, ხოლო ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ხალხის სასარგებლოდ პოლიციას განეხორციელებიოს და თვალსაჩინო ნაყოფიც მოეტანოს, სანთლითაა საძებნელი, და ეს ასე იქნება, სანამ ძველი წესი არ შეიცვლება და ადგილობრივ საერო საქმეების მართვა გამგეობის უფლება თვითონ საზოგადოებას და მისგან არჩეულ პირებს არ მიეცემა“¹.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესწავლისათვის ნიადაგი სავსებით არ იყო მომზადებული. ჩვენში ფაქტიურად არ არსებობდა სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც ამ საქმის გაკეთებისათვის ყოლოდა საჭირო კადრები, ქონოდა აუცილებელი ფულადი საშუალებები და თვით უფლებაც შესაბამის, მაგალითად, სტატისტიკურ მასალათა მოპოვება-მობილიზაციისა. ჩვენში არ იყო არც უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს შიგა რუსეთში, ხოლო ბიუროკრატიის მიერ გამოქვეყნებული ე. წ. პოლიციური სტატისტიკა და სხვა ლიტერატურა ძლიერ მცირე მასალას იძლეოდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა მეცნიერული შესწავლისათვის. რაც შეეხება სახელმწიფო არქივთსაცა-

¹ „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2634.

ვებს, ის ხომ მეცნიერებისათვის აუღებელ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1904 წელს ჟურ. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ფ. გოგიჩაიშვილის გამოკვლევა --- „ჩვენი ეკონომიური გაჭირვება“.

ეხება რა მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ გარკვეული პროგრამის მიხედვით სოფლის მეურნეობის შესწავლისათვის შექმნილი კომიტეტებისა და სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების მუშაობას, ფ. გოგიჩაიშვილი წერს:

„სხვათა შორის, განხილულ იქმნა ჩვენებურ მიწათმფლობელობის ვითარება, რომელიც თავისი მნიშვნელობით ღირსია განსაკუთრებულ ყურადღებისა და მზრუნველობის... სასოფლო მეურნეობაში მიწა არის უმთავრესი სახსარი წარმოებისა. ამიტომ მეურნესთვის იგი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს. მიწის ნაყოფით მან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი. — უნდა ირჩინოს თავი. გადაიხადოს სახელმწიფო თუ საზოგადო გადასახადი და აწარმოვოს თავისი მეურნეობა. ხალხის მოთხოვნილება მუდამ ერთ დონეზე არა დგას, იგი ყოველთვის იცვლება და ვითარდება. ერთის მხრით მიმოსვლის გაადვილებისა და მეორე მხრით ვაჭრობისა და ხელოსნობის გავრცელების გამო ხალხი ეცნობა ყველა იმ ნაწარმოებთ, რომელნიც თანამედროვე მატერიალურ კულტურას წარმოადგენენ, და ეჩვევა კიდევ თანდათან იმათ ხმარებას. მას უჩნდება ბევრი ახალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომლებიც ძველად არ იყო და ამიტომ არც დაკმაყოფილებას საჭიროებდა. დღეს კი მეურნემ ყველა ამათ ანგარიში უნდა გაუწიოს და დააკმაყოფილოს. და ამის შესრულებას იგი მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა მიწა საკმაოდ აქვს, როცა მიწის მოსავალი ჰყოფნის ხარჯების დასაფარავად... მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოთხოვნილებები გამრავლდა, თორემ მიწას არც სივრცით უმატნია და არც თავისი ნაყოფიერობით. თუ აქაიქ გლეხობამ თავად-აზნაურობისაგან მამულები შეიძინა, სამაგიეროდ ხალხი იმდენად გამრავლდა, რომ ამ შენაძენს ბევრად გადააჭარბა, ასე რომ დღეს ჩვენში მიწის საშინელი სივიწროვება“¹.

საქართველოს ცალკე რაიონებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის დასახასიათებლად ფ. გოგიჩაიშვილს მოჰყავს გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტის ცნობა. რომ „თელავის მაზრაში, მაგალითად, დიდად შევიწროვებულია გლეხობა მამულის სიმცირით. საშუალო

¹ ჟურ. „მოამბე“. 1904. № 1. გვ. 64--65.

რიცხვით თითოეულს გლესს საკუთრებად 3/4 დღიურისა ძლივს ჰხვდება სახნავი და სათესი ვენახითურთ“.

მიწის დიდი სივიწროვე იყო განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში: „ისეთი ოფიციალური დაწესებულება, როგორც იყო სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა განსახილველად შემდგარი ქუთაისის კომიტეტი, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ მიწის სიმცირე უმთავრესი დაბრკოლებაა ადგილობრივ მეურნეთა ეკონომიურ წარმატებისათვის“. გლესთა 60—70%-ს არა აქვს საკმაო მიწა და ამიტომ ძალიან გაჭირვებაშიაო. იქვე „ქუთაისის გუბერნიაში, — სწერია ამიერ-კავკასიის რეინის გზის წლიურ ანგარიშში, — ისე ძნელის თავის გამოკვება, რომ გარედ სამუშაოზე წაუსვლელად ხალხი დატაკურად ცხოვრებასაც-კი ვერ შესძლებდა... ხშირად სიმინდს ისეთ ხრიოკებზე სთესენ, საცა ადგილობრივი ხარიც-კი ვერ ადის და ამიტომ მიწას კი არ ხნავენ, არამედ თოხით სთოხნიან. პირველსავე წვიმას ნათესი ძირს ჩამოაქვს, მიწათ-მომქმედის შრომა ილუპება. მაგრამ რა ჰქნას, როცა მიწა აღარაა. საალაღბედოდ სთესავს იგი ხრიოკებზე, სადაც არავითარ მოსავლის მიღება არ შეიძლება“¹.

2. მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა საერთოდ

როგორც ზემოთ ითქვა, ფ. გოგიჩაიშვილი სწავლობდა და იკვლევდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას, კერძოდ, აგრარულ ურთიერთობათა პრობლემას.

ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ რეფორმის მერმინდელ პერიოდში ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევა საერთოდ ამიერკავკასიაშიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, თვით მე-20 საუკუნის დამდეგშიც ფეოდალურ-ძემამულური საადგილმამულო საკუთრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას.

როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ამიერკავკასიის ხუთვე გუბერნიის მიწების (15, 7 მილ. დეს.) 70,8 პროცენტით (11.1 მილ. დეს.) ხაზინისა და კერძომფლობელ ძემამულეთა უშუალო სარგებლობაში იყო. დანარჩენი მიწა (4,6 მილ. დეს.), რაც მთელი ფონდის 29,2 პროცენტს შეადგენდა, მოდიოდა მოსახლეობის ძირითად მასაზე — გლეხობაზე. სახელდობრ, სახაზინო გლეხებს ეჭირათ 23.7 პროც. (3,7 მილ. დეს.), „დროებით-ვალდებულ-

¹ უტრნ. „მოამბე“. 1904. № 1. გვ. 66—67.

მიწების განაწილება მფლობელთა ჯგუფების მიხედვით ამიერკავკასიაში 1890-იანი წლების დამდეგს

გუბერნიები	ტერიტორია დესტინობით	სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა სარგებლობაში იმყოფებოდა ღესეტი-										საზინისა და კერძომფლობელ-მემფლეთა უშუალო სარგებლობაში იყო ღესეტიინობით	
		სასაზინოთა		დრ. კალდებულ-სა		ხიზანთა		მემამულეების მიწებზე მჯდარ გლეხთა		სულ		აბსოლ.	%/%
		აბსოლ.	%/%	აბსოლ.	%/%	აბსოლ.	%/%	აბსოლ.	%/%	აბსოლ.	%/%		
												აბსოლ.	%/%
თბილისის	3.927.911	863.900	21,9	56.113	1,4	30.791	0,8	113.876	2,9	1.064.674	27,1	2.863.236	72,2
ქუთაისის	1.908.901	88.576	4,6	167.849	8,8	6.276	0,3	—	—	262.697	13,8	1.646.204	86,2
ელისავეტპოლის	3.951.785	917.920	23,2	—	—	—	—	317.257	8,0	1.535.157	31,3	2.716.628	68,7
ბაქოს	3.578.997	1050.573	29,3	—	—	—	—	96.366	2,7	1.146.629	32,0	2.432.368	68,0
ერევნის	2.364.144	819.925	34,7	—	—	—	—	101.687	4,3	920.073	38,9	1.444.071	61,1
სულ	15.731.738	3.740.894	23,8	223.962	1,4	37.067	0,2	629.166	4,9	4.629.230	29,4	11.102.507	70,6

თა“ (ასეთი კატეგორიის გლეხები იყვნენ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) — 1,4 პროც. (224 ათასი დეს.), ხიზნებს — 0.2 პროც. (37 ათასი დეს.) და მემამულეთა მიწებზე მჭდარ გლეხებს — 3.9 პროც. (629 ათასი დეს.).

საქართველოში კერძო მფლობელთა დიდი უმრავლესობა წვრილ მემამულეებს წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, მფლობელთა რაოდენობა, რომელთა მამულების მოცულობა უდრიდა:

		ქუთაისის გუბერნიაში	თბილისის გუბერნიაში
0—19	დესეტინას შეადგენდა	6,971	1,267
20—190	" "	1,873	1,323
191—1000	" "	304	549
1001—4000	" "	84	156
4001—6000	" "	—	11
6000-ზე მეტი	" "	9	24

ამასთანავე მფლობელთა რაოდენობა, რომელთა მამულის მოცულობა არ აღემატებოდა 380 დესეტინას, შეადგენდა: ქუთაისის გუბერნიაში 8.970 და მათს ხელში იყო სულ 281.000 დესეტინა მიწა, ხოლო თბილისის გუბერნიაში, შესაბამისად, 2,894 მფლობელის ხელში იყო 23.900 დეს.; მფლობელთა რაოდენობა 380—6000 დეს. მოცულობის მამულით უდრიდა: ქუთაისის გ. — 259 და მათს ხელში იყო 176.000 დეს., ხოლო თბილისის გ-ში, შესაბამისად: 412—394.000 დეს.; ამასთანავე 6.000 დესეტინაზე მეტი მოცულობის მამულიანთა რაოდენობა შეადგენდა ქუთაისის გ.—9 და მათს ხელში იყო 358.000 დეს., ხოლო თბილისის გ., შესაბამისად, 24—466.206.

ამგვარად, საქართველოში 11.864 წვრილ თავადაზნაურულ მემამულეს (380-მდე დეს. მფლობელთ) ეკუთვნოდა 305 ათასი დესეტინა მიწა, ხოლო 671 მსხვილს (380—600 დეს.) — 570 ათასი დესეტინა. ამავე დროს 33 უმსხვილეს მემამულეს, რომელთა მფლობელობის მოცულობა 6000 დესეტინას აღემატებოდა, ეკუთვნოდა 824 ათასი დესეტინა, ე. ი. თითქმის იმდენი. რამდენიც მთელ დანარჩენ თავადაზნაურობას. რომელთა საერთო რაოდენობა 12.535 შეადგენდა.

როგორც ვხედავთ, ადგილმამული საქართველოს თავადაზნაურობას შორის ფრიად არათანაბარზომიერად იყო განაწილებული. მაინც, აღმ. საქართველოს „ბრწყინვალე წოდებაში“ უფრო მეტი იყო მსხვილი მემამულე. თბილისის გუბერნიაში საშუალოდ თავადაზნაურულ მიწათმფლობელთა 1 სულზე მოდიოდა 38 დეს., ხოლო ქუთაი-

სის გუბერნიაში — 16 დეს. ე. ი. თითქმის 2,5-ჯერ ნაკლები. მაგრამ თუ თბილისის გუბერნიის არისტოკრატის გამოვაკლებთ ისეთებს, რომელთაც მხოლოდ პირადი აზნაურობა ჰქონდათ მინიჭებული და რომლებიც პლუტოკრატის (უპირატესად სომეხი ბურჟუაზიის) წრიდან იყვნენ გამოსულნი, მაშინ აქ „ცისფერი სისხლის“ თავადაზნაურობაზე, მხოლოდ რომლებთანაც კადრულობდა თავისი „ბრწყინვალეების“ გატოლებას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა, სულობრივად ბევრად მეტი მიწა მოდიოდა; ერთ სულზე სახელდობრ 54 დესეტინა, ე. ი. 3,5-ჯერ მეტი. ვინემ ქუთაისის გუბერნიაში.

მე-19 ს. შუადან მიყოლებული, აზერბაიჯანსა და სომხეთში შეუჩერებლად იზრდებოდა პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელობა და, მაშასადამე, მისი მნიშვნელობაც ქვეყნის სახალხომეურნეობრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, აქ აგრარულ ურთიერთობათა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შესწავლა ბევრად უფრო გაძნელებულია, ვინემ საქართველოში.

1890-იანი წლების დასაწყისში პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელთა რაოდენობა იყო შემდეგი:

მამულის მოცულობა	მიწათმფლობელთა რაოდენობა	
	ბაქოს გუბ.	ელისავეტ. გუბ.
25 დესეტინამდე	705	1655
25-დან 100 „	224	626
100-დან 200 „	70	159
200-დან 500 „	45	151
500-დან 1000 „	27	86
1000 დესეტინაზე ზევით	35	67

ბაქოს გუბერნიის 1211 პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელის ხელში იყო სულ 250 ათასამდე დესეტინა საადგილმამულო უადასახადით დაბეგრული სახმარი მიწა. ელისავეტპოლის გუბერნიაში ირიცხებოდა 2744 ანალოგიური მიწათმფლობელი, რომელთაც ეჭირათ 440 ათასი დეს. სახმარი მიწა.

ერევნის გუბერნიაში 1894 წ. ცნობით საადგილმამულო გადასახადით დაბეგრული იყო სულ 654 კერძო მიწათმფლობელი, რომელთაც ეჭირათ 60 ათასამდე დეს. მიწა. პრივილეგიური წოდების ამ მიწათმფლობელთა რაოდენობა მამულების მოცულობის მიხედვით იყო შემდეგი:

მამულის მოცულობა	მიწათმფლობელი
19 დესეტინამდე	463
20--72 „	93
73--190 „	29
191--380 „	29
380 დესეტინაზე ზევით	40

ამ უკანასკნელი 40 მემამულისაგან, რომელთაც თვითეულს 380 დესეტინაზე მეტი სახმარი მიწა ეკუთვნოდა, ოცს ეჭირა 380-დან 1000-მდე დესეტინა, თვრამეტს — 1000-დან 2000-მდე, ერთს — 2 ათასზე ცოტა მეტი და ერთსაც 5 ათასამდე დესეტინა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობა, საქართველოსთან შედარებით, ნაკლებად იყო განვითარებული. აქ „მიწის ძალაუფლების“ შემდგომს განმტკიცებას, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, დიდის გულმოდგინებით ატარებდა ცარიზმის ბიუროკრატია. რომელიც მიისწრაფოდა ამ გზით — პრივილეგიურ მემამულეთა წოდების გაძლიერებით — საიმედო დასაყრდენი შეექმნა აბორიგენტთა შორის.

3. კერძო მიწათმფლობელობის კლასობრივი (წოდებრივი) ხასიათი

როგორც აღვნიშნეთ, კერძო მიწათმფლობელობა უფრო განვითარებული იყო საქართველოში; ამასთანავე მის დასახასიათებლად საჭირო მონაცემებიც. საადგილმამულო სტატისტიკაც, ისევე საქართველოს შესახებაა უკეთესად დაგროვილი და შემონახული. უნდა აღვნიშნოს, რომ 1900-იან წლებში პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ შესრულებული სამუშაო რიგ ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ გამოცემებთან ერთად საშუალებას გვაძლევს რამდენადმე სრულად წარმოვადგინოთ კერძო მიწათმფლობელობის ვითარება.

უწინარეს უნდა გავეცნოთ, თუ როგორი იყო კერძო მიწების დანაწილება ვარგისობის მიხედვით (იხ. ცხრილი 60 გვ.)

ცხრილი გვიჩვენებს, რომ საერთოდ სახმარი მიწების უდიდესი ნაწილი (75,65 პროცენტი თბილისისა და 75,08 პროცენტი ქუთაისის გუბერნიაში) ტყეებსა და საბალახოებზე მოდიოდა. მაგრამ ტყეებისა და საბალახოების მთელი ფართობის (1.450 ათასი დესეტინის) თითქმის 70 პროცენტი (998 ათასი დესეტინა) თავადაზნაურულ მიწათმფლობელებს ეჭირათ. აქედან უკვე თავისთავად გამოდის ის დასკვნა, რომ არათავადაზნაურ მესაკუთრეთა ვარგის მიწებში შე-

კერძო მიწათმფლობელობა საქართველოში 1908 — 1905 წწ. (დეკლარაციებით):

ვარგისი მიწების დასახელება	კერძო მიწათმფლობელობა საერთო			თავდაზნაურული მიწათმფლობელობა			არათავდაზნაურული მიწათმფლობელობა					
	თბილისის გუბერნია		აბსოლ. %/%	თბილისის გუბერნია		აბსოლ. %/%	თბილისის გუბერნია		აბსოლ. %/%			
	აბსოლ.	%/%		აბსოლ.	%/%		აბსოლ.	%/%				
1 საკარმიდამო	4285	0,33	4341	0,68	2074	0,21	2525	0,51	2211	0,75	1816	1,27
2 ბალ-ვენახი	13719	1,07	12211	1,91	5550	0,56	4677	0,94	8169	2,78	7524	5,25
3 სახნავი	244233	19,00	141045	22,09	170826	17,22	70601	14,26	73407	25,01	70444	49,14
4 სათიბი	50856	3,95	1509	0,24	32550	3,28	279	0,06	18306	6,24	1230	0,86
5 ტყე	544786	42,37	238727	37,39	424235	42,75	183040	36,97	120551	41,07	55687	38,85
6 საბალახო და საძოვარი	427869	33,28	240641	37,69	356981	35,98	234003	47,26	70888	24,15	6638	4,63
სულ	1285748	100	638474	100	992216	100	495125	100	295552	100	143349	100

დარებით უფრო მეტი ხვედრი წონა უნდა ჰქონოდა ისეთი კატეგორიის სახმარ მიწებს, როგორცაა საკარმიდამო, ბალ-ვენახი და სახნავი. მართლაც, კარ-მიდამოს, ბალ-ვენახსა და სახნავს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურულ მფლობელთა ვარგისი მიწების რაოდენობიდან (992 ათასი დეს.) ეჭირა მხოლოდ 17,99 პროცენტი, ხოლო არათავადაზნაურულ მფლობელთა ვარგისი მიწების საერთო რაოდენობიდან — 28,54 პროცენტი. უფრო მეტი იყო განსხვავება ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ხსენებული კატეგორიის სახმარებს ეჭირათ თავადაზნაურული მამულების ვარგისთა ფართობის 15,77 პროცენტი, ხოლო არათავადაზნაურულ მესაკუთრეთა მამულების — 55,62 პროცენტი.

ამგვარად, ნათელია, რომ საერთოდ თავადაზნაურულ მამულებში ბევრად უფრო მეტად იყო გაბატონებული ექსტენსიური მეურნეობა, ვინემ არათავადაზნაურულში. ეს დასკვნა, ცხადია, არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ საქართველოში არსებობდა რიგი შედარებით მსხვილი თავადაზნაურული მამულებისა, სადაც განვითარებული იყო საკმაოდ ინტენსიური მეურნეობა.

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ აგრარულ ურთიერთობათა არსებით მხარეებს, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ იყო ადგილმამული დანაწილებული საზოგადოებრივ კლასებს (წოდებებს) შორის და როგორ ჯგუფდებოდნენ თვით მიწათმფლობელები მათს საკუთრებაში პყოფი მამულების (მიწების) მოცულობის (ფართობის) მიხედვით.

ა. კერძო მფლობელობა საერთოდ

მფლობელობანი სიდიდის მიხედვით	თბილისის გუბერნია		ქუთაისის გუბერნია	
	მფლობელობათა რაოდენობა	%%	მფლობელობათა რაოდენობა	%%
0-25 დესეტინამდე	24.413	86,41	63.807	97,59
25-100 „	1.968	6,97	1.157	1,77
100-500 „	1.403	4,97	330	0,50
500-ზე ზევით	467	1,65	92	0,14
ს უ ლ	28.251	100	65,386	100

ბ. კერძო მფლობელობა წოდებრიობის მიხედვით

მფლობელობის სი- დიდის მიხედვით	თავადაზნ. მიწათმფლო- ბელობა				არათავადაზნ. მიწათმფლო- ბელობა			
	თბილ. გუბ. მფლობელ.		ქუთაის. გუბ. მფლობელ.		თბილ. გუბ. მფლობელ.		ქუთაის. გუბ. მფლობელ.	
	რაოდ.	%%	რაოდ.	%%	რაოდ.	%%	რაოდ.	%%
0—25 დესეტ.	3151	53,55	11543	89,78	21262	95,06	52264	99,48
25—100 ”	1373	23,33	931	7,24	545	2,66	226	0,44
100—500 ”	999	16,93	301	2,34	404	1,81	29	0,06
500-ზე ზევით	361	6,14	92	0,64	106	0,47	10	0,02
სულ	5884	100	12857	100	22368	100	52529	100

ამ ცხრილთაგან უწინარეს ყოვლისა აშკარაა იმის გარემოება, რომ საქართველო საერთოდ წარმოადგენდა წვრილი მიწათმფლობელობის ქვეყანას. თბილისის გუბერნიის 28.251 კერძო მფლობელიდან — 86,4 პროცენტი წვრილი (25 დესეტინამდე მიწის) მფლობელია. ხოლო ქუთაისის გუბერნიის 65.386 მფლობელთაგან — 97,6 პროცენტი წვრილი მიწათმფლობელია. ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ მიწების უდიდესი ნაწილი მოსახლეობის უმცირესი ნაწილის — თავადაზნაურობისა და საერთოდ მსხვილ მემამულეთა — ხელში იყო. მაგრამ ამ თავადაზნაურობის უმრავლესობა „შეუძლო მდგომარეობაში“ იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის სხვა ერების მოძმე წოდებასთან შედარებით. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა 53,5% წვრილი მიწათმფლობელი იყო, ხოლო ქუთაისის გუბერნიის იმავე კატეგორიის მიწათმფლობელ თავადაზნაურთა რაოდენობა 89,8%-ს შეადგენდა.

ეს გარემოება, ცხადია, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ კიდევაც, არ გამორიცხავდა მსხვილი ლატიფუნდიების მფლობელი „ბრწყინვალე“ წოდების არსებობას. თბილისის გუბერნიაში 1900-იანი წლების შუაში 361 ისეთი მფლობელი იყო, რომელთაგან თვითეულს 500 დესეტინაზე მეტი მამული ჰქონდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ასეთივე კატეგორიის 82 მფლობელი ითვლებოდა.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ თავადაზნაურული ლატიფუნდიების მფლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე დროს უმაღლესი წრის სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატებს ეკუთვნოდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მათს გავლენას და პოლიტიკურ წონას; —

ისინი შით უფრო ძლიერ ავიწროებდნენ წვრილ მიწათმფლობელებს, უშუალო მწარმოებელთა ძირითად მასებს.

მაგრამ ზოგიერთი ასეთი მსხვილი მემამულე არამცთუ გლეხებისა და თემების შევიწროებას, მათი მიწების მიტაცებას, არამედ თვით სახაზინო საღალო მიწების მითვისებასაც კი ადვილად ახერხებდა.

არათავად აზნაურულ მიწათმფლობელთა შორის რაოდენობრივად ცხადია, გაბატონებული იყო წვრილი მიწათმფლობელობა, რაც შეადგენდა: თბილისის გუბერნიაში — 95,1%, ქუთაისის გუბერნიაში — 99,5%. კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ:

ა. თბილისის გუბ. წვრილ მიწათმფლობელთა	59,7 %-ს	ჰქონდა მიწა	0—1 დესეტინამდე
	20,1 %-ს	„ „	1—3 „
	6,8 %-ს	„ „	3—5 „
ბ. ქუთაისის გუბ. წვრილ მიწათმფლობელთა	9 %-ს	„ „	0—1 „
	34,7 %-ს	„ „	1—3 „
	12,5 %-ს	„ „	3—5 „

წვრილ მიწათმფლობელთა ეს კონტინგენტი, დაახლოებით, შეადგენდა მთელი მოსახლეობის 90%-ზე მეტს.

საერთოდ კერძო მიწათმფლობელობის საგამომღებლო შემოსავლიანობის მთელი ჯამი უდრიდა:

ა. თბილისის გუბერნიაში

მფლობელობის სიდიდე	პროცენტული შეფარდება საერთო სივრცესთან	საგამომღებლო შემოსავლიანობის ჯამი მანეთობით	პროცენტული შეფარდება შემოსავ. საერთო ჯამთან
0-25 დესეტინამდე	4,89	912.160	29,42
25-100 „	8,10	356.442	11,49
100-500 „	24,24	657.524	21,19
500 დესეტინაზე ზევით	62,77	1.175.450	37,90
სულ	100	3.101.576	100

ბ. ქუთაისის გუბერნიაში

მფლობელობის სიდიდე	პროცენტული შეფარდება საერთო სივრცესთან	საგამომღებლო შემოსავლიანობის ჯამი მანეთობით	პროცენტული შეფარდება შემოსავ. საერთო ჯამთან
0-25 დესეტინამდე	28,05	1.435.332	70,90
25-100 „	8,55	195.160	9,67
100-500 „	10,70	160.991	7,95
500 დესეტინაზე ზევით	52,70	232.320	11,48
სულ	100	1.023.803	100

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რაც უფრო მსხვილი იყო კერძო მამული, მით ნაკლები იყო მისი შემოსავლიანობა. ასე, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში 1 დესეტინა სახმარი მიწის საერთო საშუალო შემოსავალი უდრიდა მანეთობით: წვრილ მფლობელობაში (0—25 დესეტ.) — 14,63 მან., საშუალოში (25—100 დესეტ.) — 3,42 მან., მსხვილში (100—500) — 2,11 მან., ხოლო უმსხვილესში (500-დეს. ზევით) — 1,57 მან.

დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ ქუთაისის გუბერნიაშიც: წვრილ მფლობელობაში — 8,02 მან., საშუალოში — 3,58 მან., მსხვილში — 2,35 მან., უმსხვილესში — 0,79 მან. ეს გარემოება უწინარეს ყოვლისა მოწმობს იმას, რომ მე-20 საუკუნეშიც აქ სოფლის მეურნეობა დამყარებული იყო ჩამორჩენილ, რუტინულ ტექნიკაზე, უფრო მეტად ბატონყმურ შრომაზე; — იმას რომ მსხვილი მამულების ექსპლოატაცია ატარებდა უმთავრესად მტაცებლურ ხასიათს: ვალებით დატვირთული ფეოდალური მემამულე, მოელოდა რა, რომ მამული ხელიდან წაუვიდოდა, მხოლოდ იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება მეტი გამოეჭაჩაამ მამულიდან, სადაც არ შეჰქონდა თითქმის არავითარი გაუმჯობესებანი.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო დასკვნებს იძლევა ამ უკანასკნელი ორი ცხრილის და ზემოთ — კერძო მფლობელობათა საერთო რაოდენობის შესახებ მოყვანილი ცხრილის შედარებითი ანალიზი, მფლობელობათა ერთეულების სიდიდის (თვისებრივობის) თვალსაზრისით.

ერთის მხრივ:

ა. თბილისის გუბერნიის კერძო მფლობელთა 66.41%-ს, ე. ი. საერთოდ წვრილ მიწათმფლობელთა ეჭირათ კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების საერთო რაოდენობის მხოლოდ 4,89 პროცენტი და დებულობდნენ კერძო მიწათმფლობელობის მთელი შემოსავლის 29,42 პროცენტს.

ბ. ქუთაისის გუბერნიაში კერძო მფლობელთა საერთო რაოდენობის 97,59 პროცენტს, ე. ი. წვრილმიწათმფლობელთ (1—25 დესეტ.) ეჭირათ საერთოდ კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების მხოლოდ 28,11%, საიდანაც დებულობდნენ კერძო მიწათმფლობელობის მთელი შემოსავლის 70,90 პროცენტს.

მეორე მხრივ:

ა. თბილისის გუბერნიის კერძო მფლობელთა 1,65%-ს, სახელდობრ, 467 უმსხვილეს (500 დეს. ქეტი მამულის) მფლობელს ეჭირა საერთოდ კერძო მფლობელობაში მყოფი მიწების 62,74% და შემოსდიოდა საერთოდ კერძო მფლობელობის მთელი შემოსავლის 39,90%.

ბ. ქუთაისის გუბერნიის კერძო მფლობელთა 0,14%-ს, სახელდობრ, 92 უმსხვილეს მემამულეს ეჭირა საერთოდ კერძო მფლობელთა წელში მყოფი მიწების 52,70% და შემოსდიოდა საერთოდ კერძო მფლობელთა მთელი შემოსავლის 11,4%.

ჟ. შრომამიგებითი სისტემა- მიწათმოქმედების ტექნიკა

უხლა საკითხავია, თუ რით აიხსნება ეს თავისებური შეუსაბამობა მსხვილ და წვრილ მეურნეობათა საგამომღებლო შემოსავლიანობაში?

ყოველივე ეს იყო შედეგი უმთავრესად იმ გარემოებისა, რომ მსხვილ მემამულეთა მეურნეობაში 1900-იან წლებშიც გაბატონებული იყო შრომამიგებითი სისტემა. ამ სისტემის დროს გლეხები, რომლებიც, ცხადია, არ არიან დაინტერესებულნი შრომის მწარმოებლურობის გადიდებით, — ჩვეულებრივად. თავიანთი ინვენტარით ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს.

ამასთანავე მემამულეთა მეურნეობა, როგორც წესი, მსხვილ სოფლისმეურნეობრივ საწარმოს წარმოადგენდა, მაგრამ მან, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, აქ ვერ შეძლო დაქირავებულ შრომასა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებულ ტექნიკაზე დამყარებულ კაპიტალისტურ ეკონომიად გადაქცევა.

უხეზოდა რა სოფლის მეურნეობის ტექნიკას, ფ. გოგიჩაიშვილი წერდა: გლეხები „ყველგან დიდ გაჭირვებას ითმენენ მიწის ნაკლებობისა და სასოფლო-სამეურნეო მოსავლის სიმცირის გამო. ეს გაჭირვება ცოტათი შემცირებული იქნებოდა, რომ ჩვენებური წარმოების ტექნიკა გაუმჯობესებული იყოს. ტექნიკის გაუმჯობესება იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელი მიწას შედარებით მეტ ნაყოფს აღებინებს და პატარა მამულზე იმდენ სარჩოს იწევს, რომ წინეთ ამისთვის,

ძველებური ტექნიკით. ბევრად უფრო ფართო სივრცის მიწა მოუნდებოდა...

„ქართლში. მაგ, ხვნის დროს 8 უღელი ხარია საჭირო. გლეხები ადგენენ ამ მიზნისთვის ერთგვარ ამხანაგობას. რომელიც 40 დღის განმავლობაში ამხანაგთა მიწებს ხნავს. ამას ისინი თაობას ეძახიან. ეს თაობა ხშირად ორ თვესაც გასტანს. რადგან შუაში ხან უქმე და ხან ავდარი გამოერევა. წარმოიდგინეთ გლეხი, რომელსაც ერთი უღელი ხარი ჰყავს. იგი მუშაობს ორ თვეს თავის საქონლით ამ ამხანაგობაში და ამისთვის მას მხოლოდ ოთხი დღიურის ან ორი დღესეტინა მიწის მოხვნა ხვდება წილად. ...და არა მარტო ხვნის დროს. არამედ ბევრ სხვა გვარ მუშაობაშიაც ჩვენებურ ტექნიკის ჩამორჩენა საგრძნობელი და შესამჩნევია. ამის გამო ჩვენს მეურნეს მეტად ძვირად უჯდება წარმოება, იგი თითქმის მუდამ წაგებაშია და თუ. მიუხედავად ამისა. მეურნეობას თავს არ ანებებს და მიწას არ შორდება, მხოლოდ იმიტომ. რომ თავის შრომას არ ანგარიშობს და სხვა გვარი მუდმივი და უფრო სახეირო სამუშაო არსად უჩნდება. „ერთი დღიური, ორთა-შუა რომ ვიანგარიშოთ. - -წერებოდა კორესპონდენტი ქართლიდან, — სამი თუმანი ჯდება. რაც უნდა მოსავალი იყოს, დღიურზე უნდა ვიანგარიშოთ ათი კოდი. აქედან უნდა მიეცეს ღალა მამულის პატრონს, ზოგს მოსავლის ნახევარი, ზოგს მესამედი და იშვიათად მეოთხედი, ასე დაძვირდა ჩვენსკენ მამული. ვთქვათ, მიწა იხვნება სანახევროდ, დღიურიდან გამოვიდა ათი კოდი, ნახევარი მიეცა მამულის პატრონს და გლეხს დარჩა ხუთი კოდი. ამ ხუთი კოდიდანაც კიდევ ორი ჩანახი თუ ნახევარი კოდი სამეველო უნდა მისცეს; ნუ ვიანგარიშებთ ნურც სამწყემსურს, ნურც მღვდლის დრამას, ნურც დიაკვნისას. რჩება საცოდავ მუშას რაღაც ოთხი კოდი, რომელიც უჯდება მას სამი თუმანი. დიახ, ბეჩავ მუშას ერთი სამად და ოთხად იმაზე მეტად უჯდება კოდი პური, როგორც ფასობს ღღეს“.

ამრიგად, მიწის სიმცირეს ჩვენში ერთვის საწარმოვო ტექნიკის ჩამორჩენა და განუვითარებლობა და ეს კიდევ უფრო გასაჭირად და მწვავედ ჰხდის მიწათ-მომქმედის ეკონომიურ არსებობას და მის სოციალურ მდგომარეობას. მშრომელი ვერ უბრუნებს მიწას დანაკლისს, — ზოგი შეუძლებლობისა და ზოგიც უვიცობის გამო, ნიადავს არც პატივს აძლევს და არც ასვენებს. მიწა თან და თან იფიტება და მეურნე მისგან მუდამ ნაკლებ მოსავალს იღებს“¹.

სწორედ ასეთი ვითარების გამო მ ს ხ ვ ი ლ ი მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი

¹ „მოამბე“, 1904, № 1. გვ. 72—76.

მეურნეობა, რამდენადაც იგი „ადვილად გადიოდა“ მოიჯარე გლეხთა შრომის ექსპლოატაციით და მაშასადამე, შრომამიგების სისტემის ორბიტში მოძრაობდა, დამოკიდებული იყო წვრილ გლეხური მეურნეობის ტექნიკურ შესაძლებლობაზე. რა თქმა უნდა, შრომამიგებასა და წვრილ-გლეხური მეურნეობას ჩამორჩენილ ტექნიკაზე დამყარებული მსხვილი მემამულური მეურნეობა არ შეიძლებოდა, ანდა იშვიათად აუ შეიძლებოდა ყოფილიყო რენტაბელური. ცხადია, ბატონყმური ურთიერთობის ძლიერი გადმონაშთები, რაც აფერხებდა მსხვილ მემამულურ მეურნეობათა „რაციონალური“, ე. ი. კაპიტალისტური ორგანიზაციის განვითარებასა და, მაშასადამე, შემოსავლიანობის გადიდებას, საერთოდაც ბორკავდა სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებას.

მეორეს მხრივ, როგორც დავინახეთ, არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა შორის შედარებით საშუალო ზომის მეურნეობები, როგორც წესი, სოფლის ბურჟუაზიის, კულაკობის ხელშია. ცხადია, ეს არის არა მემკვიდრეობით მიღებული (დედულ-მამული), არამედ უპირატესად ნაყიდი მიწები. ამ მიწების უდიდესი ნაწილი წინათ პრივილეგიური წოდების საკუთრებას შეადგენდა. ახლა ის, მიწა, საქონლად გადაქცეული, ფულით შეიძინა გაბურჟუებულმა „მეზიანმა“, კულაკმა. ვაჭარმა. ეს პროცესი ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევის გამომხატველი იყო და ამავე დროს ასახავდა, ერთი მხრივ, „მიწის ძალაუფლების“, ე. ი. არისტოკრატიული პრივილეგიების „შენელებისა“ და, მეორე მხრივ, „ფულის ძალაუფლების“, ე. ი. პლუტოკრატიის, ბურჟუაზიის გაძლიერების მომენტებს.

მაგრამ „ფულის ძალაუფლება“ მხოლოდ ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის წარმოქმნის სახით როდი გვევლინება:— მისი ძალა მეურნეობის „რაციონალურ“, ე. ი. კაპიტალისტურ ორგანიზაციაშიც ვლინდება, რაც, ცხადია, დაქირავებული შრომისა და გაუმჯობესებული ტექნიკის გამოყენების მეოხებით იმასაც აღწევს, რომ ფეოდალური მემამულის ხელში ვალეებით დატვირთულ, არარენტაბელურ მეურნეობას შემოსავლიანად აქცევს.

რაც შეეხება მსხვილ და უმსხვილესთან შედარებით წვრილი და უწვრილესი მიწათმფლობელობის შემოსავლიანობის მაღალ დონეს, მისი ახსნა ბევრად უფრო მარტივია. გარდა იმისა, რომ წვრილ მეურნეობაში მიწის ექსპლოატაცია უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებს, მის წინაშე, როგორც დავინახეთ, ტექნიკური უპირატესობა არ ჰქონდა მსხვილ მემამულურ

მეურნეობას; ხოლო კერძოდ შრომის ორგანიზაციის მხრივ წვრილი მეურნეობა. რამდენადაც იგი უშუალო მწარმოებლის მეურნეობას წარმოადგენდა, შეუღარებლად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო — მიწის მუშის მხრივ შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის ზრუნვისა და შრომის საშუალებათა ეკონომიური გამოყენების თვალსაზრისით.

ჩვენ განვიხილეთ მიწების დანაწილება წოდებრიობის მიხედვით; მართალია, თავადაზნაურობას ეკუთვნოდა მიწების უდიდესი ნაწილი, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან უკვე ნათლად გამოსჭვივის ტენდენცია მისი ხვედრითი წონის შეუჩერებელი შემცირებისა. რასაც ჩვენ სპეციალურად ქვემოთ შევხებით.

5. გლეხური მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა

არათავადაზნაურულ მიწათმფლობელთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ გლეხები, მაგრამ მათში შედიან აგრეთვე ვაჭრები, სასულიერო წოდება და ე. წ. მეშჩანები, ე. ი. ქალაქელი ვაჭრები, მრეწველები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც სოფლებში ფლობენ ადგილ-მამულს. ყველა ესენი ჩვეულებრივად წარმოადგენენ არა წვრილ, არამედ საშუალო და ზოგან კიდევ მსხვილ მიწათმფლობელებს. სწორედ ამის გამო „არათავადაზნაურულ“ მიწათმფლობელთა მდგომარეობის განხილვიდან კიდევ არა ჩანს სათანადოდ, თუ რაოდენ საგრძნობი უნდა ყოფილიყო მიწის სიმცირე სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასებისათვის.

საერთოდ გლეხური მიწათმფლობელობის მხრივ, მართალია, მხოლოდ დაახლოებითს, მაგრამ მაინც საინტერესო სურათს გვიხატავს კერძოდ სახელმწიფო (სახაზინო) გლეხთა მიწათსარგებლობის ვითარება.

სახელმწიფო გლეხების ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა (დეხეტინობით)

გუბერნია	სახნავი მიწა		საერთოდ სახმარი მიწა	
	1884 წ.	1903 წ.	1884 წ.	1903 წ.
ქუთაისის	2,27	1,90	4,23	3,36
თბილისის	5,66	6,92	17,67	10,92
ერევნის	7,50	6,25	16,20	10,97
ელისავეტპოლის	7,82	6,38	18,14	11,82
ბაქოს	8,42	6,82	16,29	11,60
სულ ამიერკავკასიაში	6,93	5,33	15,81	10,46

როგორც ვხედავთ, აღებული ოცი წლის (1884—1903 წწ.) მანძილზე ამ კატეგორიის გლეხთა ერთი კომლის სარგებლობაში მყოფი მიწის ფართობი საგრძობლად შეკვეცილა; ზოგიერთ გუბერნიაში საშუალოდ ერთ კომლზე საერთოდ სახმარი მიწის ფონდი 35 პროცენტითაა შემცირებული.

ამავე დროს თბილისის გუბერნიაში ჯერ კიდევ 1884 წ. ითვლებოდა 2034 სული მამრობითი სქესის სახელმწიფო გლეხი, რომელთაც სავსებით არა ჰქონდათ მიწა. აქედან გასაგებია, რომ აქ სახელმწიფო გლეხობის ნაწილი იძულებული იყო კერძო მფლობელთაგან აეღო მიწა იჯარით. ამ დროს მათ ამგვარად ჰქონდათ იჯარით აღებული 50 ათას დესეტინამდე სახნავი, სათიბი და საბალახო, რაც საერთოდ მათს სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო მიწების (843 ათასი დეს.) დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენდა. ამ მხრივ განსხვავდებოდა მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების, რომელთა სარგებლობაში მყოფი მიწების 47,8% იყო სახაზინო, 28,33% — საკუთარი, ხოლო 23,87% — ხაზინასა თუ კერძო პირებთან სადავო, მაგრამ სახელმწიფო გლეხებს. როგორც 1884 წ. ასევე 1903 წელსაც ბევრად უფრო მეტი მიწები ეჭირათ, ვინემ ყოფილ საბატონო, ე. ი. „დროებით-ვალდებულ“ და მესაკუთრე გლეხობის ძირითად მასებს.

შედარებისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ 1903 წელს „დროებით-ვალდებულ“ გლეხის ერთ კომლს, მაგალითად, თბილისის გუბერნიაში ეჭირა საშუალოდ მხოლოდ 1,69 დესეტინა მიწა, და აქ შედიოდა არა მარტო ვარგისი, არამედ ყოველგვარი მიწა საერთოდ, ე. ი. ხრიოკებიც, კლდეებიც, ჭაობებიც და სხვ., მაშინ როდესაც ამავე გუბერნიის სახაზინო გლეხის ერთ კომლს ეჭირა საშუალოდ 10,92 დესეტინა ვარგისი მიწა. რაც შეეხება მესაკუთრე გლეხობას, რომელთა შორის ერია აგრეთვე კულაკობაც, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 1 კომლზე საშუალოდ მოდიოდა 2,52 დეს. ყოველგვარი (ვარგისი და უვარგისი) მიწა.

მთელ აზიურკავკასიაში 1903 წელს, ყველა კატეგორიის (სახაზინო, „დროებით-ვალდებული“, მესაკუთრე, ხიზანი და სხვ.) გლეხობის 1 კომლზე საშუალოდ მოდიოდა ვარგისი მიწა (დესეტინობით):

ქუთაისის	გუბერნიაში	2,69
თბილისის	„	8,18
ერევნის	„	8,15
ელისავეტპოლის	„	9,92
ბაქოს	„	10,25
საშუალოდ		7,46

მაგრამ აქ შედის საერთოდ მთელი გლეხობა. ე. ი. როგორც ღარიბი და საშუალო, ისე კულაკობაც. ამასთანავე, როგორც ვიცით. უკვე 1860-იანი წლებიდან ამიერკავკასიის სოფლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოციალური დიფერენციაცია, რაც 1890-იანი და 1900-იანი წლებისათვის უკვე მეტად მძაფრ ფორმებში ვლინდება. სოფლად თანდათანობით ბატონდება სოფლი ბურჟუაზია. ე. ი. კულაკობა. რომლის ხელში სულ უფრო დიდი ზომით და სისწრაფით გადადის როგორც გლეხობის სარგებლობაში მყოფი, ასევე ფეოდალურ შემამულეთა მიწები, ხოლო უმრავლესობა იმ მიწებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილა გლეხობის ხელში, ისეა დავალიანებული კულაკ-მეევახშეთაგან, რომ გლეხი თითქმის კულაკის ყმას ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მოჯამაგირეს, კაბალაში მყოფ დაქირავებულ მუშას წარმოადგენს. როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობა გვიჩვენებს. მიწის სიმცირეს და აქედან გამომდინარე ყოველგვარ გაჭირვებას განსაკუთრებული სიმწვავეით განიცდიდა დასავლეთ საქართველოს გლეხობა.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში რუსეთის გლეხობის ეკონომიკური ევოლუციის შესწავლის საფუძველზე ლოტხინმა 1905 წელს დაადგინა, რომ 1861 წლის შემდეგ ახლად წარმოქმნილ გლეხურ კომლთა შორის ერთ მესამედზე მეტი უმიწაწყლოდ იყო დარჩენილი და რომ საერთოდ გლეხურ კომლთაგან ყოველი მეათე და მეთერთმეტე უმიწაწყლო ბოგანოდ გადაიქცა. ამასთანავე რუსეთის იმპერიაში უცხენო მეურნეობათა რიცხვი შეადგენდა 1882 წელს — 27,5 პროცენტს. 1888 წ.—29,4 პროც., 1899 წ. — 31,7 პროც., 1902 წ.—35,6 პროც., ხოლო 1905 წ.—38 პროც. ამავე დროს გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწების საერთო ფართობი და გლეხთა პირუტყვის რიცხვი, რასაკვირველია, ბევრად უფრო ნაკლები სისწრაფით იზრდებოდა, ვინემ თვით გლეხთა რაოდენობა. ასე, მაგალითად. 1870—1900 წწ. გაიზარდა: გლეხთა მიწების (როგორც სახადელო, ისე კერძო საკუთრების) საერთო ფართობი — 20,5 პროცენტით. მათ შორის სახნავის — 40,5 პროცენტით. გლეხთა პირუტყვის რაოდენობა — 9,5 პროცენტით, ხოლო თვით გლეხური მოსახლეობა — 56,9% და გლეხურ მეურნეობათა რიცხვი კიდევ — 57,8 პროცენტით. ამგვარად, აღებულ პერიოდში იზრდებოდა: გლეხთა მიწების საერთო ფართობი — 2,8-ჯერ უფრო ნელა. კერძოდ სახნავი — 1,5-ჯერ უფრო ნელა, ხოლო პირუტყვის რიცხვი 6-ჯერ უფრო ნელა. ვინემ თვით გლეხური მოსახლეობისა და მეურნეობათა რაოდენობა.

რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში ანალოგიური მოვლენები ბევრად უფრო მეტის სისწრაფით ვითარდებოდა და გლეხობის გაპრო-

ლეტარების პროცესი კიდევ უფრო მტკივნეულ ფორმებში მიმდინარეობდა.

6. მიწის იჯარა

მიწის სიმცირის პირობებში გლეხი, რომელსაც მიწის შექენის საშუალება არ გააჩნია, იძულებულია იჯარით აიღოს იგი. ფ. გოგიჩაიშვილის შესწავლის საგანს შეადგენდა გლეხური იჯარის საკითხები. როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაშიც 1900-იან წლებში, როგორც ცნობილია, აგრარული საკითხის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა გლეხური მეურნეობა.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ როგორც საერთოდ აგრარულ ურთიერთობათა. ისე მისი ცალკეული მომენტების, კერძოდ საიჯარო ურთიერთობათა შესწავლისას გლეხური მეურნეობა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს; საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიაში. ისევე როგორც თვით რუსეთში, ბატონყმურ ურთიერთობათა ძლიერი გადანაშთების მეოხებით გაბატონებული იყო კაპიტალიზმამდელი იჯარა, ე. წ. სასურსათო იჯარა. ე. ი. გლეხური იჯარა.

გლეხურ მეურნეობაში იჯარა დიდ როლს ასრულებდა. ამასთანავე, როგორც საქართველოში ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში გლეხური იჯარა. როგორც წესი. მიწის სივიწროვისაგან, გლეხის მეურნეობისათვის მიწის ნაკლებობისაგან გამომდინარეობდა; მისთვის მიწის საჭიროება იმდენად დიდი იყო, რომ ფართო გასაქანს იძლეოდა იჯარის წიადაგზე ნამდვილად კაბალურ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარებისა.

იჯარით აღებულ მიწაზე მომუშავე გლეხი ჩვეულებრივ მემამულისაგან შრომაშიგებით დამოკიდებულებაში ვარდებოდა და, ამგვარად, მიწათმფლობელს ძველებური, მე ბ ა ტ ო ნ უ რ ი წ ე ს ი თ შეეძლო თავისი მეურნეობა უზრუნველყო მუშახელით. ამდენადვე შრომაშიგებითი სისტემა გულისხმობს შრომავალდებულის, ე. ი. ასეთ მოიჯარე გლეხის მოქალაქეობრივ არასრულ უფლებებთანობას. იმას რომ მიწათმფლობელი ეწევა მის არა მხოლოდ ეკონომიკურ (კაპიტალისტურ). არამედ, აგრეთვე გარეშე ეკონომიკურ იძულებაზე დამყარებულ ექსპლოატაციას, მაშასადამე. ადგილი აქვს მიწაზე პიმაგრებას მიწის მუშისა, რომელსაც იძულებით ამუშავებენ. იჯაბნება პიროვნულად, სცემენ კიდევაც. ამიერკავკასიაში გლეხური იჯარა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მე-20 საუკუნეშიც უმთავრესად სწორედ ამგვარ მებატონურ ხასიათს ატარებდა.

ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო როგორც გრძელვადიანი,

ისე მოკლევადიანი იჯარა. მაგრამ გაბატონებული ადგილი ექირა მიწის წვრილ და მოკლევადიან იჯარას.

მემამულე, საერთოდ მიწის სიმცირის პირობებში დაინტერესებული იყო იჯარის მოკლე ვადიანობით, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ყოველთვის აეწია იჯარის ქირა. მოკლევადიანი, ჩვეულებრივ ერთწლიანი იჯარის დროს მიწათმოქმედს არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ მომავალ წელსაც შეინარჩუნებდა მიწას, რადგან მიუხედავად მსხვილი ლათიფუნდიების არსებობისა, საერთო ჯამში უმიწაწყლო გლეხთა, ე. ი. მოიჯარეთა მოთხოვნა 1870-იან წლებიდან მოყოლებული სულ უფრო მეტად აღემატებოდა მიწების, ე. ი. მიიჯარეთა მიწოდების არსებულ მასშტაბს. ამის გამო გლეხი, გარდა იჯარის უზომოდ მაღალი ქირისა, მემამულეს ხშირად ქრთამსაც აძლევდა, რათა მიწამისთვის მიეცა დასამუშავებლად.

1880-იანი წლების ცნობით კახეთის ზოგიერთ ადგილებში. განსაკუთრებით ქ. თელავის მჭიდროდ დასახლებულ მიდამოებში, მიწისათვის ძლიერი კონკურენციის გამო, „დაწესებული იყო“ მოიჯარის მიერ გარდა მოსავლის 1/2-ის გადახდისა, კიდევ ქრთამის მიცემა. თუ მიწის ერთსადაიმაცე ნაკვეთზე რამდენიმე მსურველი გამოჩნდებოდა, მაშინ მიწა ეძლეოდა იმას, ვინც „ჩვეულებრივ იჯარის ტრადიციული ქირის გარდა მოუმატებდა კიდევ ზედმეტ ფულს“. ამ თავისებური „ქრთამის ნორმა“ ერთ დესეტინაზე 1 მანეთამდე უწევდა. ანდა მოიჯარე გლეხი კისრულობდა ემუშავა მემამულის სასარგებლოდ, შეესრულებია რაიმე მისი დავალება. ქუთაისის გუბერნიაში (მაგ. ქუთაისისა და რაჭის მაზრებში), გარდა მოსავლის კუთვნილი ნაწილისა, მოიჯარეს მემამულისათვის უნდა მიერთმია საჩუქრები პურის, ღვინის. შინაური ფრინველისა და სხვ. სახით.

ამგვარად, მოკლევადიანი წვრილი იჯარის პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ საერთოდ უარყოფით გავლენას ახდენდა მიწათმოქმედების კულტურაზე, ზედმეტ შანსებს უქმნიდა მიწათმფლობელს საადგილმამულო რენტის გაზრდისა და მოიჯარეთა, ე. ი. სავსებით უმიწაწყლო ან წვრილი გლეხობის თავის პირად დამოკიდებულებაში მოქცევისათვის.

იხილავს რა არსებულ ვითარებას, ფ. გოგიჩაიშვილი წერს:

„მხოლოდ იშვიათი გლეხები ახერხებენ საკმაო მიწის შეძენას და მესაკუთრეებად გახდომას. დიდძალი უმრავლესობა, რომელსაც არა

აქვს საყოფი არც საკუთარი და არც სანადელო მიწა, მარტო მემამულეების საიჯაროდ ანუ საღალოდ გასაცემ მიწებზეა მიჩერებული“.

„მიწის მოთხოვნილების გადიდება იწვევს თავის მხრით საიჯარო ფასის გადიდებასაც. ეს არის არა მარტო თეორიული დასკვნა, — იგი მტკიცდება რეალურ ფაქტებითაც. მემამულის შემოსავლის ერთადერთი წყარო მისი მამულია და სხვა არაფერი, რამდენადაც ცხოვრება რთული ხდება და მოთხოვნილება მრავლდება, იმდენადვე იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს თავის შემოსავლის გადიდებას. ხოლო რაზან თვითონ არ აწარმოებს და საკუთარ მეურნეობას არ ეწევა, იძულებულია ისევ საიჯარო ფასს დააწვეს და მიწის ღალა მეტი გახადოს. როცა შემოსავალი აღარ ჰყოფნის, არ უკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მიწის პატრონი აგირავენს ბანკში მამულს, იღებს ვალს, რომლის სარგებელი ისევ მამულს, ანუ უკეთ, მიწის ნამდვილ მუშას აწვება გადასახდელად. ერთის მხრით გლებთა მიწათმფლობელობის სიმცირე, ხალხის გამრავლება, გადასახლებისა ანუ შინაურ კოლონიზაციის მოუწყობლობა, მრეწველობის განუვითარებლობა და, მაშასადამე, მიწის მოთხოვნილების გადიდება, მეორე მხრით — საერთო ცხოვრების გართულება, კულტურულ მოთხოვნილებათა გამრავლება და მამულების დავალიანება ხელს უწყობს ჩვენში საიჯარო ფასის ზრდას, ღალის თან და თან გადიდებას.

ვინც დაჰკვირვებია ჩვენი სოფლის ცხოვრებას, უეჭველად, შემჩნეული ექნება, რომ საიჯარო ფასმა ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად აიწია და ეკონომიურად დაძაბუნებულ გლეხობისათვის ძნელი გადასახდელი შეიქმნა“.

„მიწის დიდ მოთხოვნილებას — სწერს კომიტეტი ქუთაისის კუბერნიის შესახებ — არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა ღალის გადიდებაზე, რომელიც მთელი მოსავლის 40%-დე აღწევს ხოლმე; როცა საიჯარო ფასი განსაზღვრულია, იმ შემთხვევაში იგი, მოუსავლობის დროს, მთელ მოსავალსაც აღემატება. იჯარის ფასს აქ ფულით იშვიათად იხდიან და როცა ფულზეა გარიგება, დესეტინის საიჯარო გადასახადი 30 მანეთამდის აღის“¹.

ასეთი იყო მიწის იჯარის პირობები, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა უმიწაწყლო გლეხობის გარესაშოვარზე წასვლის პროცესს, მიუფრო, რომ შინამრეწველური სარეწებიც სულ უფრო ნაკლებ შემოსავალს იძლეოდა.

¹ „მოამბე“, 1904. № 1. გვ. 77—80.

7. გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესი

ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „უმინაწყოლო გალატაკებულ გლეხი ასეთ პირობებში იძულებული ხდება რამე სხვა წყარო გამოიხილოს, ახალ სამუშაოს დაადგეს და ამისი შემოსავლით შეივსოს თავისი ბიუჯეტის დანაკლისი. ასეთ ბიუჯეტის „შემავსებელ“ წყაროდ თეორიულად რამდენიმე ღონისძიებისა და საშუალების დასახელება შეიძლება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელება თანამედროვე ცხოვრების პირობებში ფრიად საძნელო და ხშირად სრულიად შეუძლებელი ჰხდება. ასეთია, მაგალითად, შინა-მრეწველობის გაძლიერება და თავის მოთხოვნილებათა საკუთარ ნაწარმოებით დაკმაყოფილება. ოჯახური სამრეწველო წარმოება რომ ხალხში განვითარებული იყოს, შეიძლებოდა იმის შემწეობით დარიბ სოფელს თავისთვის რამოდენიმედ შეღავათი მიეცა და თავისი შემოსავალი გაედიდებია. ძველად ხალხი უმთავრესად შინაურ ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ დღეს ასე აღარაა. ცხოვრების საერთო ცვლილებაში, ახალ ეკონომიურ ურთიერთობათა დამყარებაში შინამრეწველობას ნიადაგი გამოაცალა და ხალხის არსებობისათვის მნიშვნელობა დაუკარგა. ძველი სამრეწველო ტექნიკა, ნაცვლად განვითარებისა, დავიწყებას მიეცა; ვაჭრობის საშუალებით სოფლადაც ყველგან შემოტანილი საფაბრიკო ნაწარმოები გავრცელდა, რომელსაც ხალხის მოთხოვნილება და გემოვნება შეეჩვია და შეეთვისა; დაუმუშავებელ მასალას ბაზარი გაუჩინდა და მისი ამ სახით გასაღება მწარმოებლისთვის ხშირად უფრო ხელსაყრელი შეიქნა. ესლა ოჯახებში აღარ ქსოვენ არც ხამებს, არც დარაიებს; ვისაც ბამბა მოჰყავს, ჰყიდის ბამბადვე, აბრეშუმის მომყვანი ნაწარმოებს პარკად ასაღებს; შალი იშვიათ ოჯახებში იქსოვება. თანამედროვე ეკონომიურმა განვითარებამ მწარმოებელნი ერთმანეთს დააშორა და შუაში ჩარჩი-ვაჭარი ჩაუყენა. ხშირად დღეს გლეხის ღვედა-კაცი წინდასაც აღარ ქსოვს ოჯახში: მატყლი მაშინ არა აქვს, როცა ქმარშვილს წინდა სჭირდება, და საჭიროების დროს ისევ მეწვრიშალეს მიმართავს ხოლმე. რომელსაც ფაბრიკებში დამზადებული საქონელი ყოველთვის მოეპოვება... ამნაირად უმამულო ან პაცირე მიწის მქონებელ მეურნეს არ შეუძლია სამრეწველო წარმოება დაიხმაროს და ოჯახური მრეწველობის საშუალებით შეივსოს მიწის მოსავლის ნაკლებობა და სხვა კი სოფლად ისეთი არაფერი წარმოება არაა, რომ მშრომელ ხალხს სამუშაო გაუჩინოს და ცხოვრების სახსარი მისცეს“¹.

¹ იქვე: იხ. აგრ. „საქართველოს კალენდარი“, 1904, გვ. 290--291.

გამოუვალი მდგომარეობიდან გალატაკებუღი გღეხისათვის მჟორე გამოსავალია საშოვარზე გასვლა. მას უკვე, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „მეტი გზა არა აქვს, — დროებით ან სამუდამოდ, მამა-პაპურს კერას უნდა განშორდეს და თავის ცხოვრების მოწყობას სადმე სხვაგან შეეცადოს: ან ქალაქს უნდა მიადგეს სამუშაოს საძებნელად და ან სადმე თავისუფალი მიწა-ადგილი ეძიოს დასაბინავებლად. ორივე ეს მოვლენა დღეს ჩვენს ცხოვრებაში შესამჩნევია. --- უმამულო სოფლის ხალხი მიდის სამუშაოდ ქალაქებში და აგრეთვე, როცა კი ცოტათი გარემოება ხელს უწყობს. ესახლება მეურნეობის მოსაწყობად ახალ მამულებზედაც. სწორედ იმ დროს, როცა ამ წერილს ვწერ, მე ვხედავ მეზობლის სახლის აივანზე 8 წლის ბავშვს, რომელიც იატაკის საწმენდ ჩოთქებზე შემდგარა და სახლს ასუფთავებს. ეს არის ვიღაც იმერელ აზნაურის შვილი, რომელიც ერთ აქაურს ღარიბ ოჯახს ემსახურება. საწყალი შიმშილს და სიღარიბეს ისე დაუგვალავს, რომ შეხედულობით 6 წლის გეგონებათ. და ასეთი თითქმის ძუძუ-მწოვარა ბავშვი მშობლებს მოუშორებიათ, რომ ოჯახში ხარჯი შეემცირობიათ. და სამუშაოდ ქალაქში გამოუსტუმრებიათ. ყველა წარმოიდგენს, თუ როგორი დიდი გაჭირვება უნდა იყოს სოფელში, რომ დედამ პაწია შვილი გულიდან მოიგლიჯოს და შორეულ ქალაქში გაჰგზავნოს თავის სარჩენად. ასე ძალას ატანს სოფელში გაჭირვება დიდსაც და პატარასაც, — ქალაქებს ყოველ დღე ახალახალი ხალხი ემატება, რომელიც ეძებს აქ საქმეს და დაბინავებას. მაგრამ ჩვენებურს ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველობა ჯერ კიდევ შედარებით სუსტი და განუვითარებელია და ამიტომ სამუშაოს მძებნელი მუშა ხელი ხშირად უქმად დადის, ვერ ხვდება საქმეს და ვერ პოულობს ქალაქურ ცხოვრებაში ნიადაგს“¹.

მაგრამ „უმამულო ქართველ გღეხობისთვის ძნელია ქალაქებში სამუშაოს შოვნა, რადგან ჩვენში ჯერ მოქალაქეობრიობა, ვაჭრობა და სამრეწველო წარმოება განუვითარებელია“. ასევე ძნელია მისთვის, „გარეშე მიზეზთა გამო“, თავისუფალ მიწებზე დასახლება და მეურნეობის გაუმჯობესება. მას მეტი გზა არა აქვს, — ისევ ძველს ადგილს უნდა დარჩეს და ეცადოს ავად თუ კარგად ხენა-თესვის საშუალებით არსებობის სახსრის მოპოვებას და ცხოვრებაში თავის გატანას. და ეს კი მიწაზე მოთხოვნილების გადიდებას ნიშნავს. რამდენადაც მრავლდება ხალხი სოფლად და ვერ შოულობს საქმეს სასოფლო მეურნეობის გარედ, იმდენადვე ძლიერდება მეტი მიწის საჭიროება და იზრდება მიწის ფასი — ღირებულება. ყველამ იცის,

¹ აქვე.

თუ როგორ ძვირად იყიდება მიწა იმერეთში, — ერთი ქცევა სახნავი მიწა აქ ხშირად 500—1000 მანეთად ფასდება. უმიწა-წყლო გლეხი დიდის წვალეებით ნაშოვნ კაპეიკებს ერთმანეთს აწებებს, ზოგს მეცახ-შისაგან იღებს ვალად და, თავის მდგომარეობის გაუმჯობესების იქედით, აძლევს მამულში ისეთ დიდ ფასს, რომელიც სრულიად არ შეესაბამება მიწისგან მიხაღებ სარგებლობას“¹.

მესამე გამოსავალი ესაა — კოლონიზაცია. იგი ორგანიზაცია ერთი როდესაც გლეხი თავის საკუთარი სამშობლოს საზღვრებში აღულობს თავისუფალ დასახლებელ და დასამუშავებელ მიწას და ქეორე, როდესაც ის იძულებულია გასცილდეს ამ საზღვრებს და სავაქვეყნებში ეძიოს საჭირო მიწა.

ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „რაც შეეხება ადგილის გამოცვლას და ახალ მიწაზე დასახლებას, მართალია, ეს მოვლენა ჩვენში ჯერ ხშირი და გავრცელებული არაა, მაგრამ არც ისე იშვიათია. რომ შეიძლებოდეს მისი არ შემჩნევა ან უარისყოფა. შემცდარია ის აზრი, ვითომ ჩვენი ხალხი ბუნებით უმოძრაო იყოს და რაღაც „ხატების“ მიჯნებით ძველი ადგილის გამოცვლას ერიდებოდეს. ეს, შეიძლება, მართალი იყოს ორიოდ მივარდნილი კუთხის შესახებ, მაგრამ არ არის მართალი, თუ საერთოდ მთელს ხალხს ვიგულისხმებთ. გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. ამბობს ქართული ანდაზა. ნახევარი ქართლი, მაგალითად, სულ იმერლებითაა დასახლებული. ქართველი უმამულო გლეხი, არა თუ ახლო, შორს გადასახლებასაც კი არ ერიდება, როცა სიღარიბე და გაჭირვება ძალას ატანს. მაგალითად, მააწავლებელი მჭედლიძე იწერებოდა შარშან შემდეგ ამბავს („ივერია“, 1903, №67): „თორმეტი ვერსის მანძილზედ ხასავიუროიდან. თერგის ოლქში, სახაზინო ადგილზედ დასახლებულა ამ სასი-ოთხი წლის წინად 47 კომლი გლეხი. ოცდა სამი წელიწადი გადის მას აქეთ რაც ეს უბედურებო ერთის ადგილიდან მეორე ადგილზედ გადაადან ლუკმაპურის საშოვნელად. 1880 წ. ესენი დასახლებულან „ცარსკი ლაგირში“ ქალაქ კავკავის მახლობლად, სადაც დაუყვიათ ორი წელიწადი და, რადგანაც ხაზინას ის ადგილი დასჭირებოა. იქიდგან აქრილან და დაბინავებულან „სუნჯაში“. ბარათაშვილის ადგილზედ. აქ დაუყვიათ ცხრა წელიწადი. ხელახლა აუკრავთ ბარგი და მიაკედლებიან ისევ ხაზინას, რომელსაც მათთვის მიუცია იჯარით ადგილი „თავის ბარში“. მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ბევრის წვალეებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, გლეხებს გამოუბრუნებიათ ადგილი, შემოსავალს მოსწრებიან, მაგრამ აქაც დასჭირებია ხაზინას

¹ იქვე.

„თავის ბარის“ მიწა. უკანასკნელად. ამ სანი-ოთხი წლის წინად. კავ-
კავის სახელმწიფო ქონებათა მმართველის რჩევით. დასახლებულან
სასავითრის მაზრაში. სოფ. „იარიკ-აუში“.

„ადვილად წარმოსადგენია. თუ როგორ დაიღლებოდნენ და და-
ქანცებოდნენ სულთ და ჯანით უბედურები ამ წიალ-დოღიალში
უცხო ქვეყანას. გარშემორტყმული უცხო ტომის ხალხით, რომელთა
რჯული, ზნე და ჩვეულება სრულიად არ შეესაბამება ქართველთა
ერის ბუნებას... გარდა ყოვლის დაბრკოლებისა, დიდს საგონებელში
ჩააგდო გლეხები იმ გარემოებამ, რომ მათთვის მიზომილი 1000 დე-
კეტინა მიწა ძლიერ ცუდი სამუშაო გამოდგა: გაუვალი ეკლიანი ძეძ-
ვის ტყე მოსაკაფად მეტად ძნელია; გარდა ამისა ამ ეკლიან მცენარეს
ქირები აქვს მიწაში ძლიერ მაგრად და მისი ამოღება მეტად გასა-
ჭირია. რაც ამ ადგილს ჯაფა და ტანჯვა სჭირდება გაუმჯობესებისათ-
ვის, იმიტო ფასს ჯერ-ჯერობით არ იძლევა. მაგრამ სავალალო ის იქ-
ნება, ქართველი გლეხები როცა ადგილიდან რიგიან შემოსავალს მო-
ესწრებიან, მაშინ რომ ხელი აუქნიონ და გააძეონ. სწორედ ეს იქნება
მათთვის სიკვდილის მსგავსი დასჯა“.

შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილს მოყავს ამონაწერი სხვა კორესპონდენ-
ტის, სახელდობრ ე. კახელის ინფორმაციიდან, სადაც აღწერილია გა-
დასახლებულ ქართველ გლეხთა უნუგეშო მდგომარეობა („ივერია“,
1903, №72). „დღეს მთელ თერგისა, ყუბანისა და დაღესტნის ოლ-
ქებში, აგრეთვე აზოვისა და დონის მხარეში 1600-მდის კომლი ქარ-
ველი მცხოვრები ირიცხება. 12%-ს გარდა, რომელიც ტფილისისა
და ქუთაისის მაზრიდან გადმოსახლებულა, დანარჩენი მთლად რა-
ქისა და დუშეთის მაზრიდან არიან. ამ 1600 კომლ მცხოვრებთაგან
800 კომლი მოსახლეობს სხვა და სხვა „სტანიცებსა“ და სოფლებში.
ამათ აქვთ ვაი-ვაგლახით შექენილ საკუთრებად სამოსახლო ადგილი
სახნავ-სათეს მიწებითურთ, თითოეულს საშუალო რიცხვით არა
უმეტეს დღიურ ნახევრისა. მათი მამულები მცირედ ნაყოფიერია და
იმდენს მოსავალსაც არ იძლევა, რომ ნახევრად მაინც ეყოს სარ-
ჩოდ. დანარჩენ 800 კომლის ნახევარი, ე. ი. 400 კომლი მოვაჭრეა,
სხვა-და-სხვა ხელობის მცოდნეა, სხვადასხვა დაწესებულებაში
მსახურობს და დღიურ მუშაობას მისდევს. ისინი ქალაქ ადგილებში
ცხოვრობენ. სულ მცირეა მათ შორის რიცხვი იმისთანებისა, რომელ-
თაც საცხოვრებელი ბინა საკუთრებად შეუქენიათ. უმრავლესობას
დაქირავებულ სახლებში აქვთ თავი შეფარებული. დარჩა 400 კომ-
ლამდე კიდევ. ესენი მუდამ აქეთ-იქით დადიან და ბედის ძებნაში
არიან, დაუდგომელ ცხოვრებას ატარებენ. სხვებთან შედარებით ამა-
თი მდგომარეობა უფრო აუტანელია. საცოდავი დღეს ერთ ალაგზე

დასახლებიან. ხვალ— მეორეზე და ასე დაუბრუნდებიან მათი გა-
დასახლებ-გადმოსახლება. ან კი რა ჰქნან, განა მათი ბრალია? უპატ-
რონობისა და უხელმძღვანელობის გამო გაჭირვებულნი ხშირად
ამისთანა ადგილს ამოირჩევენ საცხოვრებლად, სადაც სასტიკი ჰავაა
და ადგილი უნაყოფოა და ტყე და წყალი არ არის. ამ ვაი-ვაგლახს
ბევრი ვერ იტანს: ზოგი მათგანი უდროოდ ესალმება წუთი-სოფელს,
ზოგი სამშობლოსაკენ დაბრუნებას რჩეობს და ზოგიც ციმბირისა-
კენ მიემგზავრება. ამას წინად 14 კაცი ციმბირის მხრისაკენ, ირ-
კუტსკის გუბერნიაში. მიემგზავრებოდა, — იქნება. იქ მაინც ბედმა
გაგვიღიმოსო. დაერწმუნებინათ, რომ იქ საცხოვრებელ წყაროს მო-
პოვებაც ადვილი არის და დასასახლებლად მიწებიც ბლომადაა...
...დარწმუნებული ვარ ვინც დაწვრილებით სცნობს ჩრდილო კავკა-
სიაში გადმოსახლებულთა არა სასურველ მდგომარეობას. ყველაა
გული დაეწვის, ყველას თვალთაგან სიბრალულის ცრემლი წამოუ-
ვა და გულის ტკენით იტყვის: თუ თავისუფალი ადგილებია სადმე
კავკასიაში უმამულო გლეხთა დასასახლებლად, სიმართლე მოი-
თხოვს უპირველესად დაეთმოთ კავკასიაშივე მყოფ უმიწა-წყლო
გლეხ-კაცობას, რადგან იგინი უფრო აიტანენ ჰავას და უკედაც შეი-
ძლებიან იქაურს მამულსაო“.

ფ. გოგიჩაიშვილი იძლევა რიგ განმარტებას: აბორიგენ გლეხებს
რომ აქვე მიეცეს მიწები ამას, რასაკვირველია. მოითხოვს სამართლი-
ანობა, „მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „მოთხოვნა“ ნამდვილად არ სრულ-
დება და ქართველ უმამულო გლეხებს სახაზინო მიწები ჩვენში არ
ეძლევა დასასახლებლად. არა თუ აქ, თვით საქართველოში, დაუსახ-
ლებელ შავი ზღვის პირის (ჩერნომორიის) გუბერნიაშიც არ აძლევენ
ნებართვას თავისუფალ ადგილებზე დასახლდნენ და მეურნეობა მო-
აწყონ. თუკცა ეს გუბერნია თავისი ნიადაგით და ჰავით გადმოსახლე-
ბულ რუსის გლეხობისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, მეგრელებს
და საზოგადოდ ქართველობას მაინც იქ გზა არა აქვს და ამით მოკ-
ლებულია თავის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ამ
გარემოების შედეგია ის, რომ ხსენებულს გუბერნიაში ქართველები
მელაღეები არიან რუს გლეხებისა. „გარდა კონკცოსი, ქვისა და მდი-
ნარეთა გადმოსვლისა — სწერს როზოვი... მეურნეობის წარმატებას
ხელს უშლის მიწის გაწმენდის სიძნელე. ჯაგნარის კაფვა ძნელიცაა
და ძვირიც. ასეთ შრომაზე მიუჩვეველ მუშისთვის იგი ძალიან სამძი-
შო საქმეს შეადგენს. ამიტომაც ამგვარ მიწებს უფრო ხშირად აქ ად-
გილობრივ მცხოვრებთ, მეგრელებს, აძლევენ საღალოდ. მეგრელს,
რომელიც გაჰკაფავს ჯაგნარს, უფლება ეძლევა 3—5 წლის განმავ-

ლობაში გაწმენდილ მიწაზე სიმინდი სთესოს, რისთვისაც მემამულეს ლალად მოსავლის მესამედი, მეხუთედი ან მეათედი უნდა აძლიოს“.

ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ „სოფლის მეურნე ხალხი, რომელიც ცხოვრობს არა მიწის რენტით, არამედ თავისი მკლავით და ოფლით, ეკონომიურად ძალიან დაუძღვრებულნი და დაბეჩავებულნი. რაც დრო მიდის, იმდენად სოფელში ცხოვრება საძნელო და გასაჭირი ხდება. ამიტომ არაფერი გასაკვირი არაა ამ მოვლენაში. თუ შარშან აქა-იქ მემამულეთა და მიწათმოქმედთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა და სოციალური განხეთქილება შესამჩნევი და ყველასთვის დასანახი გახდა. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი ეკონომიურის ხასიათისაა: გლეხებმა უარი სთქვეს, — ასე დიდ საიჯარო გადასახადს ვერ გადავიხდითო და მიწები სადალოდ არ აიღეს. თითქოს ეს ფაქტი მარტივი და ადვილი გასაგებია. მაგრამ ჩვენში აღმოჩნდნენ ბლომად ისეთი პირები, რომლებიც წყლის მღვრევას დაჩვეულნი და მოხარულნი არიან, რადგან ეს აძლევს მათ სარგებლობას და დაწინაურებას. დაისწავლეს ერთი რუსული სიტყვა და როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას ყურები გამოუჭედეს ცარიელი სიტყვებით და გაბერილი ამბებით. ზოგიერთი ვაჟბატონები ისე წათამამდნენ, რომ თავიანთ დამპალ სახლებს თვითონ სწვავდნენ, რომ შემდეგ „პუნტისათვის“ დაებრალეზიან და გლეხეაისტვის ეზღვევინებიათ“¹.

ფ. გოგიჩაიშვილს მოჰყავს „კვალის“ კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდ ზიანს აყენებს სოფლებს ის თავდაზნაურობა, რომელიც ცდილობს გლეხთა რევოლუციური მოძრაობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს... „მოვიყვან ერთ შემთხვევას, რომელსაც რამდენისამე თვის წინად ძველ სენაკში ჰქონდა ადგილი და რომლის მსგავსი ყოველი ფეხის გადადგმაზე შეგხვდებათ, მაგრამ ყველა ამის გაზეთის ფურცლებზე აღნიშვნას ერიდებიან, ალბად, იმ მოსაზრებით, რომ „პუნტოზიკის“ სახელი არ დაგვივარდესო. ერთს კიწიელ მებატონეს ძველ სენაკში ერთი დროებით ვალდებულნი გლეხი შერჩენია. ეს ბოგანო-გლეხი ვერც ადგილის გამოსყიდვას ახერხებს მებატონესაგან და ვერც მიწის ფასს იხდის თურმე თავის დროზე. მოთმინებიდგან გამოსული მებატონე მიადგა გლეხს კარებზე, მაგრამ იმ უბედურს თურმე შიმშილით კუჭი ეწოდა და, აბა, მებატონეს რაღა პასუხს გასცემდა. ბატონმა ურჩი გლეხი წაათრია სოფლის სასამართლოში მამასახლისთან და იქ ბევრი აწვალა, აგლიჯა უღვაშები, აფურთხა სახეში, აპანლურა, მაგრამ არც ამით გამოვი-

¹ „მოამბე“, 1904. № 1. გვ. 84.

და ოა. სოფლის თვითმართველობის წარმომადგენელი უყურებდნენ გლეხის ასე უღანაშაულოდ გაბიაბრუებას. მაგრამ ბატონს აბა რას გაუბედავდნენ და გლეხს ხომ ბატონმაც ბევრი ურტყა“.

ფ. გოგიჩაიშვილს გლეხების უკიდურესად მძიმე გაჭირვების შესახებ მოჰყავს ამონაწერი კიდევ სხვა კორესპონდენსიიდან: „სიხლი ყელში გებჯინება, როდესაც უყურებ უპერანგო გლეხს რუსის ფარაჯაში, რომელიც ათი-ათასგან მიკერებულ-მობრასტნილია ათასგვარი კონკებით: თეთრისა და წითელი ძაფით დაკონკილ ჩოხაში კლიკები ნახევრობით ტიტველა უჩანს. იმის ტანისამოსის ძაფის წვერს რომ ჩამოსწიოთ ადამის სამოსლით დაინახავთ, ისე გაიცრიცება და დაირღვევა ბეჩავის ტანისამოსი. თვით საბრალოს ხელის სისქედ აძევს მტვერი, ტალახი. მურა და ვაგლახი“ („კვალი“, 1903, № 23; „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2207, 2264).

თავის მკითხველს აცნობს რა ამ მასალებს ფ. გოგიჩაიშვილი აცხადებს: „...აი. ასეთ ყოფაში მისულმა გლეხებმა, რომ ცოტათი ხმა ამოიღონ, წელში გამართვა მოინდომონ და სიმართლე აღიარონ ამდენი გადასახადის გაღება, ამდენი ღალისა და იჯარის მიცემა არ შეგვიძლიაო. ჩვენში გამოჩნდებიან „საზოგადო მყუდროების დამცველნი“, რომლებიც... შემწეობისათვის დარაჯთან გაიქცევიან“¹ — ეს დარაჯი, ცხადია. ცარიზმის ადმინისტრაციაა, პოლიციაა.

უტრ. „მოამბის“ 1904 წ. № 2 გამოქვეყნებულ ფრიად საინტერესო გამოკვლევაში ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „ვერც ერთი ხალხი ვერ იარსებებს, ვითარცა ერი, თუ მას არ აქვს მიწა-წყალი, არ აქვს განსაზღვრული ტერიტორია“. „ტერიტორია ერთი პირობათაგანია ეროვნული არსებობისა და განვითარებისათვის“. სწორედ ამიტომ იგი ქართული პრესის სპეციალური მსჯელობის საგნად ხდის ამ საკითხს: „შეიძლება, ზოგიერთ მკითხველს ენამუშოს კიდევ, რომ ასე საანბანო ჭეშმარიტებას ვიმეორებთ, და გაუკვირდეს მხოლოდ, რომ ამ — ჩვენში მაინც — მშვიდობიანობისა და მყუდროების დროს ტერიტორიის „დაცვასა“ და „ბრძოლაზე“ ლაპარაკს ვიწყებთ. კარგა ხანია, ჩვენში ისტორიული ბრძოლა შესწყდა, ახლა მტერი გარედან თავს აღარ გვესხმის და თოფ-ზარბაზნის საშუალებით ადგილ-მამულის წართმევას არ გვიქადის. ამიტომ თითქოს უცნაური უნდა იყოს მამულის დაცვაზე ლაპარაკი, როცა არც სპარსეთი და არც ოსმალეთი არ გვემუქრებიან და არ ცდილობენ გამოგვტაცონ ხელიდან ის. რასაც ჩვენი წინაპრები თავგანწირულად იცავდნენ საუკუნეების განმავლობაში... მაგრამ ეს უცნაურად ეჩვენება მხოლოდ იმას, ვინც თა-

¹ იქვე.

კასი აზრ-შეხედულებით ჩაფლულია საშუალო საუკუნეებში და ნაკლები ცოდნა-შეგნება აქვს თანამედროვე ცხოვრებისა და ურთიერთობის. ძველად მტერი, მართალია. ხშირად იპყრობდა ჩვენს ქვეყანას და ბატონდებოდა პოლიტიკურად, მაგრამ ხელ შეუხებლად სტოვებდა ხალხის ეკონომიურ წყაროს. მიწა-წყალს, და საერთოდ ხალხოსნობის მთავარ საფუძველს, — ტერიტორიას. მაშინ ისეთი ეკონომიური წყობილება იყო, რომ დამპყრობელს არ შეეძლო სხვა-ნაირად ესარგებლა დაპყრობილი ქვეყნით, თუ არ ხარჯის დადებით და მცხოვრებთაგან გადასახადის აკრეფით. მიწა, მამული რჩებოდა ხელში ისევ მწარმოებელს თუ მეპატრონეს და თავისუფლად შეეძლო ისევე წარემართა მისი შემუშავება, როგორც ამაჟამად ვინც — დამოუკიდებლობის დროს“¹.

მაგრამ ამჟამად სულ სხვა ვითარებაა. „გარემოება შეიცვალა და დღეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ჩვენს დროში შესაძლებელია ხალხის როგორც პოლიტიკურად დაპყრობა. ისე მისი ეკონომიურად დამონავებაც. შესაძლებელია ეს იმიტომ, რომ ძველი კარჩაკეტილი ცხოვრება მოისპო და ყველგან ესრუდ წოდებული ფულის მეურნეობა განვითარდა და მისი შესაფერი ეკონომიური ურთიერთობა და განწყობილება დამყარდა... დღეს შეიძლება, ვთქვათ, აღარ არის უძრავი ქონება და ფლობელობა. — ყველაფერი მოძრავი გახდა, ელვის სისწრაფით გადადის ხელიდან ხელში, ეცვლება მუდამ პატრონი და ფლობელობითი დანიშნულება. დღეს სულ ჩამდენისამე წუთის განმავლობაში შეუძლია ბერლინელს გინდ ლონდონელს პატრონი და მოსარგებლე გახდეს იმ მამულისა, რომელიც მდებარეობს საქართველოში, რუსეთში და გინდ ამერიკის რომელსამე შტატში. ასევე სწრაფად და ადვილად შეუძლია მას შეძენილი მამული მოიშოროს და სამაგიეროდ სადმე სხვას დაეპატრონოს“².

8. იპოთეკური კრედიტი

როგორც ცნობილია, ქართველი მემამულეები დღენიადაგ ფულის ნაკლებობას განიცდიან. ამის გამო მემამულე ბანკში მიწების და გირავების გზით იღებს სესხებს, რისთვისაც ააღის სარგებელს (პროცენტებს). ამგვარად მიღებული ფულით იგი „მალე მეჭლისში შექეიფიანებული მხიარულად დაჰლიინებს «საქართველო

¹ „მომბე“, 1904, № 2, გვ. 127—128.

² იქვე.

ჩვენია»-ს და აზრადაც არ მოსდის. თუ ვის ხელში გადავიდა ფაქ-
ტიურად საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც აქამდის
მას ეკუთვნოდა იურიდიულის უფლებით და რეალურ სარგებლო-
ბითაც. ის ფული, რომელიც მემამულეს სესხად მიაქვს, ბანკს სა-
კუთრებად არ მოეპოვება. მისი საკუთარი თანხა მოთხოვნილებაა და
საჭიროებასთან შედარებით სრულიად მცირე და უმნიშვნელოა.
ბანკმა თავის მხრით უნდა მიჰმართოს ფულიან კაცებს და იმათგან
მოიპოვოს საჭირო კაპიტალი. ამისათვის იგი გამოსცემს ხოლმე ეს-
რედ წოდებულ გირავნობის ფურცლებს. რომლებიც იმის მაჩვენე-
ბელია, რომ ბანკს გირაოდ მიღებული მამულები მოეპოვება და, მა-
შასადამე, ფულის პატრონს მასზე გასესხებული ფული ვერ დაეკარ-
გება. ამ ფურცლებს ყიდულობენ ისინი. — ჩვეულებრივ კაპიტალის-
ტები, — რომლებსაც თავისუფალი ფული აქვთ და ფულის გასესხე-
ბით სარგებლობის მიღება სწადიათ; გირავნობის ფურცლის საფასო
ფული შემოდის ბანკის კასაში, ხოლო თვით ფურცელი, ვითარცა თა-
მასუქი, ინახება კაპიტალისტის პორტფელში, საიდანაც მხოლოდ
დრო გამოშვებით ამოიღებს პატრონი, რომ მაკრატელი გაათამაშოს.
კუპონი მოსჭრას და გასესხებულ ფულში ვადაში სარგებელი მიიღოს
ბანკებიდან. ეს ის სარგებელია, რომელიც უნდა იხადოს წლიურად
მემამულემ. — თავის მამულ-დედულის დამგირავებელმა“¹.

ბანკი ამ შემთხვევაში გამოდის როგორც შუამავალი მემამულე-
ებსა და კაპიტალისტებს შორის. ფ. გოგიჩაიშვილს მოჰყავს ცნობები
თუ როგორ იზრდებოდა ყოველწლიურად მემამულეთა მიწების და-
ვალიანება. ამასთანავე ამ გზით მიღებულ ფულს ფეოდალური მემამ-
ულე, როგორც წესი, ხარჯავდა არა მეურნეობის, წარმოების გაუმ-
ჯობესებისათვის, არამედ ფუფუნებითი ცხოვრებისათვის „და ეხლა,
როცა დაუფიქრებლად აღებულ ვალის სიმძიმე დააწვა კისერზე, ჯი-
ბე-ცარიელი მემამულე დიდ ჭაპან-წყვეტაშია და აღარ იცის. სანამ-
დის მოახერხებს შეინარჩუნოს ხელში მამა-პაპისაგან საუკუნეების
განმავლობაში სისხლით დაცული და იარაღით შენახული მამული.
იგი ცდილობს, რასაკვირველია, ბანკებში სარგებლის ვადაზე შეტა-
ნას იმ იმედით, რომ ის ცოტა შემოსავალი, რომელიც მას რჩება სარ-
გებლის გადახდის შემდეგ, არ დაჰკარგოს და სრულიად მშრალზე არ
დარჩეს. ამისთვის იგი არ დასდევს საშუალების სიავ-კარგეს, აღიღებს
ღალა-იჯარას, მამულის რენტას, და ამ ნაირად მომეტებულ ხარკსა
და გადასახადს. აღებს გლეხობას და საზოგადოდ მიწათმოქმედ

¹ ფ. გოგიჩაიშვილი, კერძო თაოსნობის საჭიროება („მოამბე“. 1904, № 2, გვ. 132).

„ულისათვის, არ დაჰზოგა საკუთარი მამული, დაჰკარგა დამი
ებლად ცხოვრების საშუალება, და ეხლა ვითომ იმ შეცდომი
ასწორებლად არ ჰზოგავს ხალხის ძალ-ღონეს და შეძლებას, რ
ლიც თავის ოფლითა და მუშაობით არჩენს მას და არჩენს ც
იავსაც“¹.

ფ. გოგიჩაიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმ
ურ დავალიანებას საქართველოში სულ სხვანაირი შედეგები
ეგვს, ვინემ, მაგალითად, რუსეთში, ან დასავლეთ ევროპაში.
საა, რომ „ჩვენში დავალიანება სწარმოებს ისეთ პირობებსა დ
ემოებაში, რომელიც, ეროვნულ ინტერესის მხრით, განსაკუ
ულ მიმართულებასა და მნიშვნელობას აძლევს მიწის დაგირა
ა მამულზე ვალის დადებას. გერმანიაში, მაგალითად, მემამულე
ევალები, რომელთაც ხელში უჭირავთ გირავნობის ფურც
ა მიწათ-მფლობელებზე ფული აქვთ სესხად გაცემული, ა
ერმანელები, — იმავე ერის შვილები. მაშასადამე, ტერიტო
კლობელობა ისევე გერმანელებში რჩება და უცხოელების ხელ
ადადის. სულ სხვაა ჩვენში. გვგონია, არ შევსცდებით, თუ ვიტ
ომ იმ კაპიტალისტებში, რომლებსაც, ბანკების საშუალებით ჩ
ემამულეებზე სესხი აქვთ გაცემული, არ ურევია ათიც, რომე
ართველ ერს ეკუთვნოდეს და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქა
ი ინტერესის წარმომადგენელი იყვეს. ქართველების მევა
ულ უცხო ტომის ხალხს ეკუთვნიან და ეს უცხონი არიან საქარ
ოს დავალიანებულ მამულების მოსარგებლენი და ფაქტ
ფლობელნი“².

ამგვარად, მას მერმე რაც მიწა საქონელი ხდება. იგი. უძრავ
ება. ამოძრავდება, ხდება მისი მობილიზაცია, როგორც ყოველ
ი სხვა საქონლისა, ის ადვილად გადადის ხელიდან ხელში და
ვარაუდ უცხო ხალხი საქართველოში იღებს არა თუ რენტას, არ
აკუთრებს მამულებსაც. ამ აზრს ამტკიცებს არა მარტო სტა
იკა, არამედ ყოველი ჩვენგანის დაკვირვება და გამოცდილება.
ი მემამულეები ძალიან მარდნი არიან მამულების დაგირავებას
აყიდვაზე და ფიქრადაც არ მოსდით, თუ რა გავლენა აქვს ამას ჩ
აერთო-ეკონომიურ და ეროვნულ მდგომარეობაზე. ამ მხრით ს
ი შეუგნებლობა სუფევს მათ გონებაში და ინდიფერენტ
ოლსა და სულში... მაგრამ ის, რაც მიიჩნევა უკიდურ და გადაგ

ბულ აზნაურს. ვერ მიეჭეკება ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს. საქართველოს მკვლელების უცხო ხალხის ფლობელობაში გადასვლა ისეთი დიდი და საყურადღებო საგანია, რომ ყველას უნდა გვაფიქრებდეს და სამოქმედოდ გვიწვევდეს. ამას აქვს მნიშვნელობა როგორც ეროვნული. ისე სოციალ-ეკონომიური, ქართველთა მამულები და მიწა-წყალი გადადის სხვების ხელში, მაშინ როდესაც ჩვენი გლეხობა. მიწის სიმცირეს გამო, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. მას არ აქვს არც შეძლება. არც ცოდნა და გამოცდილება. რომ ის მამულები, რომლებსაც ბანკები თუ თავად-აზნაურნი ჰყიდიან, შეისყიდოს და თავის საკუთარ საწარმოვო იარაღად გაიხადოს. გასაყიდი მამულები ჩვეულებრივ ფართო სივრცისა და დიდი ფასისაა; ერთ ან ორ გლეხს არ შეუძლია მათი შეძენა, ხოლო ბევრთან ერთად შეაძინაგება და ყიდვის სხვა და სხვა ფორმალურ მოთხოვნილებათა შესრულება ეძნელება და არ ეხერხება“.

სწორედ ამის გამო ფ. გოგიჩაიშვილი მოუწოდებდა და აცხადებდა: „ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ ჩვენში დაარსდეს კერძო აშხანაგობა ან საზოგადოება. რომელსაც მიზნად ჰქონდეს შემამულებთა და ბანკებისაგან მიწების შეძენა, მათი დაყოფა-დანაწილება და შემდეგ გლეხებისათვის მიყიდვა“.

საქმე ისაა, რომ ამ მიზნით ცარიზმის ხელისუფლებისაგან უკეთავაზებულ დახმარებას სარგებლობის ნაცვლად მარტოოდენ ზიანი მოქონდა. 1903 წ. სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ ფ. გოგიჩაიშვილის მოხსენების შესაბამისად¹ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ თბილისში დაარსებულიყო რუსეთის შიგა გუბერნიებში მოქმედი „საგლეხო ბანკის“ განყოფილება. ეს ბანკი, შესაბამისად მისი წესდებისა, „უმიწაწყლო გლეხებს ეხმარებოდა მამულის შეძენაში“. მაგრამ სულ მალე ცნობილი გახდა, რომ ამ ბანკს მთავრობამ ნება მისცა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში შეიძინოს დავალიანებული მიწები „იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს მამულები მიჰყიდოს რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს“.

ახლა ფ. გოგიჩაიშვილი უკვე ნანობს, რომ ადრე მხარს უჭერდა და თხოულობდა კიდევაც ამ „სიმპატიური საკრედიტო დაწესებულების“ (საგლეხო ბანკის) განყოფილების თბილისში დაარსებას. „დღეს მაინც მეზარება ამ ჩემ მიერ გამართულ „თხოვნის“ მოგონება, და ეს იმიტომ, რომ... არ ვარ — და არც მინდა ვეგონო ვინმეს — წარა-მარად მთავრობასთან თხოვნებით მიმართვის მომხრე... პირი-

¹ Ф. Гогичаншвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, 1903, Тифлис.

ქით, მე ვფიქრობ. რომ ჩვენი დევიზი უნდა იყოს თვით-მოქმედება და დამოუკიდებელი საქმიანობა. ფრანგებს აქვთ ერთი ანდაზა: „უშველეთ თვითონ შენს თავს და ღმერთიც გიშველისო“. დიდი ნაბიჯის წინ გადადგმას ნიშნავს ეს, როცა ხალხი შეიგნებს, რომ მან „თვითონ უნდა უშველოს თავის თავს“. და ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ შეგნების გაძლიერებასა და განმტკიცებას, — რომ იმ ხალხს არც ღმერთი შველის და არც კაცი, რომელმაც არ იცის თავის ინტერესების დაცვა. თავისი თავის საკუთარის ძალ-ღონით დაფარვა...“¹.

მართალია, საბოლოოდ. „კერძო ამხანაგობის“, თუ „საზოგადოების“ მიერ, საერთოდ „კერძო თაოსნობით“ მემამულეთა დავალიანებულ მიწების შექენაში ქართველი გლეხობისათვის დახმარების გაწევის ის „ეროვნულ ნიადაგზე“ შემუშავებული თეორია, რაც ფ. გოგიჩაიშვილს გადატაკებული გლეხობის მიწის კერძო მესაკუთრედ და, აპგვარად, ქართულ მიწაზე დამაგრების ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა, უტოპიური იყო; საბოლოოდ ამ სახით შექმნილი საკრედიტო დაწესებულება ისევ და ისევ კაპიტალისტური მეწარმეობის ხასიათს მიიღებდა და მშრომელ გლეხობას ამით არსებითად არავითარი შეღავათი არ მიეცემოდა. მაგრამ იმ დროს არსებულ ვითარებაში, რამდენადაც მიწა და მიწის საკუთრება საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლად იყო მიჩნეული, ხოლო ტერიტორიის ფლობა თავისთავად წარმოადგენდა ეროვნული თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებელ პირობას. ფ. გოგიჩაიშვილს საფუძველი ჰქონდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ იგი თავისი ხსენებული იდეების განხორციელებისათვის ზრუნვისას ქართველი ხალხის, კერძოდ ქართველი გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე იდგა.

9. ნადელების გამოსყიდვისათვის

რეფორმის მერმინდელ პერიოდში აგრარული საკითხის ასპექტში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო „დროებით-ვალდებულ“ გლეხთა მიერ ნადელების გამოსყიდვა.

ფ. გოგიჩაიშვილი 1904 წ. წერდა: „თუმცა ორმოცი წელიწადია, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ დღესაც გლეხების ნადელები გამოუსყიდველია და ყმობისგან განთავისუფლებულ გლეხთა უმრავლესობა თავდაუხსნელია. განსაკუთრებით ტფილისის გუბერ-

¹ „მოამბე“, 1904. № 2. გვ. 139.

ნიაში გლეხების სულ მცირე ნაწილს აქვს თავისი ნადელები გამოსყიდული. — უმრავლესობას ისევ ძველებურად „ბატონი“ ჰყავს და მას აძლევს მიწის განსაზღვრულ მოსავალს“¹.

ამგვარად, ჩვენმა გლეხობამ „ვერ მოახერხა ნადელების შესყიდვა. მებატონეებისაგან თავის დახსნა და ბატონყმურ ურთიერთობისგან განთავისუფლება. ეს გარემოება, რასაკვირველია, დიდად აფერხებს საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებას და კერძოდ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყველამ იცის, რომ მშრომელი მხოლოდ მაშინ მოეკიდება წარმოებას მუყაითად და ეცდება წარმოების განკარგებას, როცა დარწმუნებულია, რომ შრომის გადიდებული ნაყოფი მასვე დარჩება და არა სხვას, დღეს კი გლეხი სანადელო მიწაში მეოთხედს აძლევს მებატონეს და იცის, რომ რამდენადაც მეტად გაანაყოფიერებს იგი მიწას და მეტ ოფლს ჩაღვრის ნიადაგში. იმდენადვე მეტი მოსავალი უნდა ერგოს ბატონს თავის მეოთხედში. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში იგი არ ეცდება ნიადაგის გაპოხიერებას და კულტურით გაუმჯობესებას“².

საქმე ისაა, რომ ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის მთავარი საკითხია მიწის ფასები და დგენა. ჩვეულებრივად მიწის ფასი იანგარიშება მიწის შემოსავლიანობის კვალობაზე. საქართველოში ამ დროს სასტიკი მცირემიწიანობის პირობებში მიწის ფასი ყოველდღიურად იზრდებოდა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 1900-იან წლებში 1 დესეტინა მიწის ფასი ზოგჯერ 1200 მანეთს აღემატებოდა.

მდგომარეობას უფრო ის ართულებდა, რომ ხაზინიდან კრედიტის მიცემის ვარაუდით, მთავრობამ თვით რეფორმის პერიოდში (1860-იან წლებში) აქ მიწის გამოსყიდვის დაბალი ფასები დაადგინა: 15 მან. ურწყავ დღიურზე და 30 მან. სარწყავზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ 1900-იან წლებშიც, ე. ი. 40 წლის მერმეც ხაზინა მხოლოდ ამ ფასიდან გამომდინარე მისცემდა სესხს მიწის, ე. ი. ნადელის გამოსასყიდად. ეს არახელსაყრელი იყო აქით „დროებით-ვალდებული“ გლეხობისათვის და მიუღებელი მემამულეებისათვისაც.

ფ. გოგიჩაიშვილი წერს: „მემამულენი თხოულობენ: სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა მოახდინეთ. მხოლოდ გამოსასყიდი მიწა დღევანდელ საბაზრო ღირებულების კვალობაზე შეაფასეთ და ფასიც ამის თანახმად მოგვეცითო. მკითხველი, იმედია, მიმხვდარია, რომ ასეთი მოთხოვნა მხოლოდ მემამულეთა ვიწრო ეკონომიურ ინ-

¹ „მოამბე“. 1904. № 7. გვ. 52.

² იქვე.

ტერესს შეეთანხმება და სრულებით მხედველობაში არ იღებს გლეხებისას. საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენში, ხალხის გამრავლებისა და მიწის სიმცირის გამო, ძალიან დიდად ფასობს მიწა. ზწირად ერთი ქცევა მიწის ფასი იმერეთში 500 მანეთს აღემატება. ეს ისეთი ფასია, რომელიც სრულებით არ შეეფერება მიწის შემოსავალს და სარგებლიანობას. ცხადია, თუ მემამულეთა ასეთი მოთხოვნა მართლა დაკმაყოფილებულ იქნა და ნადელი დღევანდელ საბაზრო ღირებულობის კვალობაზე შეფასდა, გლეხები სამუდამო ვალში ჩაცვივიან, აღებულ სესხს ვერ გადაიხდიან და ამიტომ ამგვარ პირობით თავის დახსნას მათი სრული გაპროლეტარება და სოფლიდან აყრა მოჰყვება შედეგად“¹.

ასეთ ვითარებაში ფ. გოგიჩაიშვილი მოითხოვდა: რამდენადაც მიწის „საბაზრო ფასები და საიჯარო გადასახადი ამ 40 წლის განმავლობაში გაიზარდა საარაკო ზომამდის, საჭიროა ისეთი ფასები იქმნას დადგენილი, რომლის გადახდასაც შესძლებენ გლეხები.. „საქმე ისაა, რომ ..ის მიწებიც კი, რომლებიც შეიძინეს გლეხებმა 20—30 წლის წინად გამოსყიდვის «ნაკაზით» დადგენილ დაბალ ფასებში. დაყურებულია ნედრობეებით და ძლივს-ძლივობით ახერხებენ გლეხები მათს შენარჩუნებას. საჭიროა, გამოსყიდვის ისეთი ფასი იქმნეს დაწესებულ, რომ გლეხისთვის რაიმე სარგებლობას შეადგენდეს გამოსყიდული მიწის შენარჩუნება“².

პრაქტიკულად გლეხოზა ნადელების გამოსყიდვას ვერ ახერხებს, ის, საბოლოოდ. უმიწოდ რჩება, დიდ გაჭირვებაში ვარდება და „მას აღარ ძალუძს სასოფლო მეურნეობით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“. ასეთ პირობებში ერთადერთი გზა რჩება, — გადატაკებული გლეხი, თუ მისი ოჯახის წევრი გარესაშოვარზე უნდა წავიდეს. ფ. გოგიჩაიშვილს აქვე მოჰყავს ამონაწერი ს. ჭელიძის კორესპონდენციიდან. თუ რა დღეშია სამუშაოს საძებრად. მაგალითად, ბათუმში ჩასული ხალხი:

„ამ ნორჩ ქალაქში, რომელსაც სულ ოცდახუთი წლის ისტორია აქვს. თავს იყრის ყოველგვარი შრომა-ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელი. გურიიდან კი, ამ მახლობელ ეკონომიურად შევიწროებულ კუთხიდან, აქ მოდის, ქარხნის მომუშავეთა გარდა, დიდძალი ნორჩი ახალგაზრდობა, ქალი და ვაჟი, რომელნიც ეძებენ მოსამსახურეთა ადგილებს და სხვა და სხვა სამუშაოს. როცა დაინახავთ ამ საცოდავებს ქუჩაში მოსიარულეთ, ადგილის მაძებართ, უიმშვილისაგან

¹ „მოამბე“, 1904, № 7, გვ. 55.

² იქვე, გვ. 57.

ქანც-მოწყვეტილ ფერ-მიხდილთ. მაშინ აგრძნობთ. თუ რა აიღარ-ბესა და სილატაკეს უნდა განიცდიდნენ მათი მშობელნი. რომ ვუ-ლიდან იგლეჯენ ჯერ ისევ ნორჩ. გამოუცდელ არსებათ. - - ლვიდლ შვილებს და ჰგზავნიან ბათუმში. სადაც ელით პირველ ხნობით შინ-შილ-წყურვილი და ყოველგვარი გაჭირვება. მერე ზნეობრივი დაცე-მა და ბოლოს ათასგვარ სენით სიცოცხლის მოწამლვა და მოსპობა... ახალგაზრდა ბიჭები აქ, ქარხნებს გარდა. დგებიან სასტუმრო-რეს-ტორანებში და დუქნებ-ყავახანებში. სადაც წლიდან წლობამდე შრო-მით და უძილო ღამეებით ქანცს იწყვეტენ. რაც შეეხება ახალგაზრ-და ნორჩ ქალებს, იმათ კიდევ უარესი და უსაზარლესი დღე ადგებათ. ისინი პირველ ხანებში დგებიან ორი-სამი წლით უსასყიდლოდ სახ-ლებში მოსამსახურებად. მთელ ამ ხნის განმავლობაში ეს საბრა-ლონი ფეხ-შიშველნი და ტან-შიშველნი ასრულებენ ყოველგვარ ბრძანებას თავიანთ „ბატონებისას“, ქუჩებიდან ვედრებით წყლის ზიდვიდან დაწყებული ქვაბების ზეხვამდე. ამ ვადის გათავების შემ-დეგ უნიშნავენ თვეში ორს. ბევრი-ბევრი სამ მანეთს მათის ტანისა-მოსით. ეს საცოდავი გროშები კი ტან-ფეხის სამოსად არ ჰყოფნიან. ამ დროს უკვე შეთქვირებულთ და წამოზრდილთ ან „ხაზინები“ უარ-შიყდებიან, ან ვიღაც ბიჭები. ან და შეუჩნდებიან მაჭანკალი ქალები, რომლებსაც საცოდავები გადაჰყავთ „უკეთეს ადგილებზე“, ე. ი. თვე-ში ორი-სამი მანეთის მომატებით უყენებენ უცოლო კაცებს მოსამ-სახურებად. ამ „უკეთეს ადგილებზე“ ისინი ესალმებიან იმას, რაც უძვირფასესი საუნჯეა ქალისთვის. ე. ი. ქალწულობას და უმანკოე-ბას. აქედან კი ერთი ნაბიჯი რჩებათ თავი ამოჰყონ იქ. საცა საქუდა-მოდ ელით მოწყვეტა „საზოგადოებისაგან“. ამრიგად. საწყალ ქა-ლებს საეჭვო სახლებში შესვლის მეტი გზა არ რჩებათ. რადგან ჯერ ერთი „გარყვნილთ და დაცემულთ“ მოსამსახურედ აღარ იყვანენ „პატიოსანი“ ოჯახები და მერე. სოფელშიაც ვერ მიდიან შერცხვე-ნილნი და თავ-ლავ დასხმულნი მშობლების შიშით და იმ აზრით, რომ არ გახდნენ თავიანთ სოფელ-ქვეყნის კიცხვა-დაცინვის საგნად. ან კი რა უნდათ სოფელში? განა სოფელი არ იყო, რომ გამოსტყორ-ცნა ქალაქად ლუკმის საძებრად?!.. არის ისეთი მავალითებიც, რომ რომელიმე მაჭანკალი და გარყვნილი ქალი გამოიყვანს ალაგიდან ნი-შანში ამოღებულ ქალებს, ჯამაგირს უმატებს, ჩემთან დადექი მოსამ-სახურეთო. და შემდეგ კი მიჰყავს, შეპირებულ მსურველებზე ჰყი-დის იმათს ქალწულობას კარგ ფასად. ასეთის გათახსირების მსხვერპ-ლი შეიქმნა ამ ერთის კვირის წინად 14—15 წლის ქალი, საოცარის სილამაზისა. საზოგადოდ ასეთია ხვედრი იმ ნორჩ. ცქრიალა და მკვირცხლ გურულ ქალებისა, რომელთაც სიღარიბისა და შეუძლებ-

ლობის გამო, იგლეჯენ გულიდან და ისტუმრებენ ბათუმისაკენ მათი მშობლები თავის სარჩენად და ბედის საძებრად. სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა ასეთი მოვლენა. ვინ იცის, სხვა გარემოებაში როგორი ცოლები და დედები გამხდარიყვნენ ეს ლამაზი, ნიჭიერი, მკვირცხლი და ცოცხალი არსებანი. რომელნიც ლუკმა პურის ძებნაში ჰლუპავენ თავიანთ ახალგაზრდობას, სიყმაწვილეს, უმანკობას და სცვივიან გარყვნილების შორევეში, სადაც სტოვებენ თავიანთ სილამაზეს. ჯან-პრთელობას და სიცოცხლეს!..“¹.

ამგვარ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხობისათვის ფ. გოგიჩაიშვილის აზრით „განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს... გონებრივ მომზადებას და საზოგადოდ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას“. „ჭ ე რ ე რ თ ი, სწავლას და ცოდნას ყოველთვის შედეგად ახლავს ადამიანის შრომის განაყოფიერება ყოველგვარს წარმოებაში და კერძოდ სასოფლო მეურნეობაშიც. რამდენადაც უფრო გავრცელდება მეურნეებში სწავლა-განათლება, იმდენადვე მეტი წარმატება დაემჩნევა სასოფლო მეურნეობის წარმოებას და იმდენადვე მეტი საზრდოს მოპოება შეეძლება სოფელში სოფლის ხალხს“... „მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ. სწავლა-განათლება და გონების განვითარება დიდად საჭირო და სასარგებლო იარაღია სოფელელისთვის თვით ქალაქში, როცა იგი აქ ალაგს ეძებს და მოთავსებას ცდილობს. ელემენტარული მომზადება ის საფუძველია, ურომლოდაც იგი ვერ მოიპოვებს ვერავითარ ცოდნას და თვით-ცნობიერებას. ამიტომ დიდად მისაჩნევი და დასაფასებელია მოღვაწეობა ყველა იმ პირთა ჩვენში, რომელნიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართველ ხალხში ცოდნისა და საზოგადოდ სწავლა-განათლების გავრცელებას“².

შემდეგ ამ გამოკვლევაში ფ. გოგიჩაიშვილი მთელ ღონისძიებათა სისტემას სახავეს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. საერთოდ მან ორი ფრიად საყურადღებო მონოგრაფია მიუძღვნა განათლების საკითხებს: — „ქართველები და კავკასიის სხვა ხალხნი სწავლა-განათლების მხრით“³ და „სხვადასხვა წოდებანი სწავლა-განათლების მხრით“⁴

ამას გარდა, მას ამავე საკითხზე დაბეჭდილი აქვს კიდევ რამდენიმე სტატია და სხვა თემებზე ნარკვევებშიაც ხშირად ეხება სკო-

¹ „მოამბე“, 1904. № 7. გვ. 57. იხ. აგრეთვე „ივერია“. 1905, № 8.

² იქვე, გვ. 65 - 66.

³ „მოამბე“, 1904. №№ 4 და 5.

⁴ „მოამბე“, 1904. № 6.

ლების საქმეს. ასე რომ სახალხო განათლების პრობლემისადმი მიძღვნილი მისი ნაწერები ერთ ტომს მაინც შეადგენს. უადგილობის გამო მათზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით.

10. ბატონყმობის გაუქმების 40 წლის შემდეგ

ახლა დავუბრუნდეთ ისევ აგრარულ საკითხს. 1904 წელს საქართველოში საქმად იფართოდ აღინიშნა თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების 40 წლისთავი. ამ თარიღს ფ. გოგიჩაიშვილმა სპეციალური წერილი მიუძღვნა. — „საყურადღებო იუბილე“. — სადაც ვკითხულობთ: „ჩვენში ბატონ-ყმობა გადავარდა, მოისპო ძველი ფეოდალური ურთიერთობა და გლეხობას მიენიჭა პირადი თავისუფლება და მოქალაქეობრივი უფლება. ეს ისტორიული მოვლენა, თავის სოციალ-ეკონომიურის შედეგითა და გავლენით... მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. 40 წელიწადი თავის თავად დიდი დრო არაა, მაგრამ ამ ჩვენს აჩქარებულსა და აბოზოქრებულს ეპოქაში საქმად ვრძელი ხანი არის. ამ ხნის განმავლობაში, შეიძლება ვთქვათ, ძირიანად შეიცვალა ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და სულ სხვა ხასიათისა და გამოხატულების გახდა საზოგადოებრივი ურთიერთობა“¹.

ქვემოთ იგი ვრცლად იხილავს საქართველოში ბატონყმურ ურთიერთობათა ძირითად მომენტებს თვით რეფორმის გატარებამდე. და, აი, 1864 წ. „მოხდა რეფორმა «ზემოდან»... ყმებს მიენიჭა პირადი თავისუფლება და მოქალაქეობრივი უფლება... გლეხები განთავისუფლდნენ უთვალავ გადასახადთა და ბეგარათაგან... რაც უნდა ნაკლულევანი და ბევრის მხრით სუსტი იყოს ეს «რეფორმა», მან ისეთი სოციალური სიბოროტე მოსპო, ხალხის ისეთი უსაზღვრო დაბეჩავება გააქრო, რომ ჩვენ დღეს იგი უეჭველად სიხარულითა და სიამოვნებით უნდა გავიხსენოთ... ...არ უნდა დაგვიწყოთ, რომ ამ 40—50 წლის წინად ჩვენში ნატურალური მეურნეობა არსებობდა და თითქმის ნასახიცი არ იყო მოქალაქეობრივის ცხოვრებისა. გლეხკაცობა, ე. ი. თითქმის მთელი ქართველი ხალხი სოფელზე იყო მიჯაჭვული და ბატონების აუარებელ მოთხოვნილებათა სიმძიმის ქვეშ სულს ძლივს ითქვამდა. პირადს თავისუფლებასა და ადამიანურ უფლებას მოკლებულ ქართველ ხალხს არ შეეძლო. რასაკვირველია, გარედ გაეხედა, ვაჭრობა-მრეწველობაში ფეხი მოეკიდა და ახალი კულტურული ძალა განევითარებინა. ამიტომ სწავლა-განათლება ვერ ვრცელდებოდა, მწერლობა, ჟურნალ-გაზეთობა ფეხს ვერ იკიდებ-

¹ „მოამბე“, 1904, № 11, გვ. 87—88.

და და მთელი ხალხი გონებრივის წყვედიადით და სიბნელით იყო მოცული. ბატონყმურ ბორკილის დაუმსხვრევლად შეუძლებელი იყო მოქალაქობრივობის განვითარება და ხალხის კულტურული წინსვლელობა“.

ამასთანავე „ექვს გარეშეა, რომ ქართველი გლეხობა დღეს საერთოდ ბევრად უკედ ცხოვრობს, ვიდრე ბატონ-ყმობის დროს ცხოვრობდა. შეიძლება. — თუმცა ესეც საეჭვოა, — იგი მაშინ უკეთ სჭამდა, ოჯახში მეტ პურსა და ღვინოს ჰხარჯავდა, ვიდრე დღეს ჰხარჯავს, მაგრამ მაინც არ იცოდა მრავალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება დღეს აუცილებლად მიაჩნია. დღევანდელი ჩაცმა-დახურვა. სახლის მოწყობილობა, სწავლა-განათლებლაზე გაწეული ხარჯები უცნობი იყო მისთვის ამ ნახევარ საუკუნის წინად“.

ამგვარად, მართალია, რომ „ქართველი გლეხი დღესაც ვერ იკმაყოფილებს ხშირად თავის მოთხოვნილებათ, იტანს დიდ სიღარიბესა და გაჭირვებას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მისი ეხლანდელი ცხოვრება ბატონ-ყმობის დროინდელზე უარესი იყოს და ყმობისაგან განთავისუფლებას მის მდგომარეობაში წარმატება არ შეეძლოს“¹.

შემდეგ იგი აშუქებს რეფორმის გატარების სიძნელეებს; რომ ეს რეფორმა „დღესაც არაა დამთავრებული“, რომ რეფორმის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღობისძიებები ცხოვრებაში დამახინჯებულად გატარდა და ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება იპისათვის. რომ იგი რაც შეიძლება შეკვეცილი და საზიანო იყოს გლეხებისათვის და სასარგებლო მემამულეებისათვის, რომ „განგლო აგერ 40 წელიწადმა და გლეხთა ნადელების გამოსყიდვა კიდევ არ არის დასრულებული“ და ხელისუფლება მხოლოდ ახლა ატარებს ზოგიერთ ამოცანას ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის პრაქტიკულად განხორციელებისათვის“.

ერთი წლის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და სტატიაში „სანადელო მიწები“ ამბობს: რეფორმის დროს გლეხთა ეს „განთავისუფლება“ მოხდა უმიწოდ და უმამულოდ. ჯერ ერთი. განთავისუფლების შემდეგ გლეხებს ბევრად იმაზე ნაკლები მიწა მიუზომეს ნადელებად, რაც მათ ეჭირათ ბატონ-ყმობის გადავარდნამდის. და მეორეც — კანონმდებლობამ განთავისუფლებული გლეხები არ გახადა მესაკუთრეებად — არამედ ისინი თითქმის სამუდამო მოიჯარადრეთა მდგომარეობაში ჩააყენა და მემამულეთა მე-

¹ „მოამბე“, 1904, № 11, გვ. 101—102.

ხარკედ დასტოვა. მიწ-ქესაკუთრედ დარჩა იაევი წინანდელი ბატონი, რომელიც მხოლოდ შაშინ ჩამოშორდებოდა გლეხს. როცა ეს უკანასკნელი მიწის ფასს გადაიხდიდა და ნადელს საკუთრებად შეიძენდა“¹.

მაგრამ სინამდვილეში ნადელების გამოსყიდვისა და „ღრობით-ვალდებულ“ გლეხთა მიწის მესაკუთრე თავისუფალ გლეხებად გადაქცევის შესახებ კანონმდებლობა და მთელი შესაბამისი პროპაგანდა და აგიტაცია ეფექტური აღმოჩნდა. მიწების გამოსასყიდელი ოპერაციები პრაქტიკულად უაღრესად რთული იყო და უმრავლეს შემთხვევაში განუხორციელებელი რჩებოდა. გლეხობა სულ უფრო გამოუვალ ვალებში ებმებოდა, ლატაკდებოდა, კარგავდა მიწებს. ასეთ ვითარებაში, 1905 წ. რევოლუციის პერიოდში „გლეხმა კისერი ძირს დასწია, ტვირთს ვერ გაუძლო და მთავრობას პირდაპირ განუცხადა: ნადელიც წაიღე. თავიდან მომაშორე და გამოსყიდვის ვალისაგანაც გამანთავისუფლეო. მაგრამ დღემდის მთავრობა ამ განცხადებას დიდ ყურადღებას არ აქცევდა და მოელოდა, რომ გლეხობას როგორმე გადასწორებინებდა გადასახადს. მაგრამ უკანასკნელ წლებში გლეხთა მეურნეობა სრულიად დაეცა და მისი შემოსავალი გლეხს არა თუ ვალის გასასწორებლად, — თავის შესანახადაც კი არ ჰყოფნიდა“².

მაგრამ რაც მთავარია გლეხებს კიდევაც რომ გამოეყიდათ მიწები, ეს მათ მაინც ვერ იხსნიდა გადატაკებისაგან. ფ. გოგიჩაიშვილი უკვე ხედავს, რომ „მაინც ძირითადად არ შეიცვლება სოფლის აგრარული ვითარება, არ მოისპობა თანამედროვე ცხოვრებაში არსებული ქონებრივი უსწორ-მასწორობა და ძლიერისაგან ღარიბის ეკონომიურად დაბეჩავება. ბატონ-ყმობის მოსპობით მოისპო აღამიანის პირადი უთავისუფლობა. მაგრამ არ მოსპობილა ეკონომიური დამოკიდებულება და ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობა. ამ განხეთქილების აღმოფხვრას და ნამდვილ თანასწორობის განხორციელებას შესძლებს მხოლოდ მომავალი ბრწყინვალე დრო და უფრო განათლებული საზოგადოება“³.

უკვე 1905 წლის რევოლუციის სიომ დაბერა. როგორც ცხოვრებაში, ასევე პუბლიცისტიკაში ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო. ახალი სოციალური მოძრაობა, ახალ შეხედულებათა გავრცელება სულ უფ-

¹ „ივერია“, 1905, № 199.
² იქვე.
³ იქვე. გვ. 115.

რო ძლიერ გავლენას ახდენდა და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, კლასობრივი ბრძოლები სულ უფრო დაძაბულ ხასიათს ღებულობდა.

ფ. გოგიჩაიშვილი. უკვე გაზ. „ივერია“ რედაქტორი. აღმფოთებულა რევოლუციური მოძრაობის სამხედრო ძალებით ჩახშობით კარიზმის ხელისუფლების მიერ. გენ. ალიხანოვ-ავარსკის სამხედრო ექსპედაცია უკვე გურიაშია „აჯანყებული გურულების დასამშვიდებლად“. აქ სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული.

ფ. გოგიჩაიშვილის სტატიაში. — „გურიის მოძრაობის გამო“, — კვათხულობთ: „ეს ამბავი ელდასავით მოგვხვდა ყველას და ელვის სისწრაფითაც მოედო მთელს ჩვენს საზოგადოებას, საომრად გაგზავნილი ჯარი გურიაში! ეს მოასწავებდა სისხლის ღვრას, ხალხის ხოცვა-ჟლეტას. სოფლების აკლება-აოხრებას! რა თქმა უნდა დამშვიდებული ვერ იქნებოდა ჩვენი ვერავინ, ვისაც კი ცოტათი მაინც უღვივის გულში ჩვენი ხალხის სიყვარული და ეროვნული გრძნობა. აოხრება და დაცემა გურიისა, რომელიც მოწინავე და ყოველმხრივ უფრო შეგნებული კუთხეა ჩვენი სამშობლოსი, ნიშნავს საქართველოს ხალხოსნურ ძალ-ღონის შემცირებასა და შესუსტებას, მის დაძაბუნებასა და უკან დაწევას, სისხლის ღვრას! გული გიკვდება კაცს და. გრძნობ-რა თავის უღონობას. ჯავრისაგან სისხლი ყელში გაწვება, როცა ჰხედავ. თუ როგორ და რითი უნდა დასრულდეს მსხვერპლთა შეწირვა...“¹.

ამასთანავე იგი იქვე აცხადებს: რომ ღღეს მთელ რუსეთში ისეთი ვითარებაა, როდესაც „საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნილება ვეღარ ეტევა იმ ვიწრო კალაპოტში, რომელიც ცხოვრებას ძველმა წყობილებამ მიუჩინა, — იგი არღვევს ამ კალაპოტს და გადმოდის ნაპირებიდან. ყველგან, საცა ხალხის შეგნება იზრდება და თვით ცნობიერება იღვიძებს ესრედ წოდებული „მოძრაობა“ აუცილებლად იწყება და არსებულ მართვა-გამგეობის მიმართ წინააღმდეგობა ვითარდება“. და რომ საერთოდ „გურიის მოძრაობა დიდად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი მკვდარი არაა და მწვავედ გრძნობს თავის უუფლებობას. ეს ფაქტი ძლიერი საბუთია იმისი, რომ ჩვენს მხარესაც უნდა მიენიჭოს ის პოლიტიკური განახლება, რომელსაც ღღეს მთელი რუსეთი მოუთმენლად ელოდება...“².

¹ „ივერია“, 1905. № 3.

² იქვე.

11. ფუნდამენტური სტატისტიკური კრებული აგრარულ საკითხზე

იმ უაღრესად აქტუალური სამუშაოს შესრულება, რაც აგრარულ საკითხში ფილიპე გოგიჩაიშვილმა უკვე 1902 წელს შედგენილ ფართო და დაწვრილებით შემუშავებული გეგმით დაიწყო, ცხადია, დიდ დროს მოითხოვდა. მართალია. ამ საკითხებზე, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლოების, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის შესახებ მან თავისი ნაწერების გამოქვეყნება იმთავითვე დაიწყო. მაგრამ შემაჯამებელი ნაშრომი მხოლოდ 1910 წელს გამოქვეყნდა — რუსულ ენაზე. აქამდე კი, გარდა ორიოდგე გამონაკლისისა. ფ. გოგიჩაიშვილი აგრარულ საკითხზე მთელ თავის ნაწერებს ქართულად აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში.

1910 წელს რუსულად გამოქვეყნებული წიგნის სრული სახელწოდებაა: Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. Под редакцией Ф. Г. Гогичаишвили, Тифлис, 1910. ეს წიგნი შეიცავს დიდი ფოლიანტის XXIV+664+329 გვერდს.

ფ. გოგიჩაიშვილის ამ თხზულების დეტალური განხილვა, ცხადია, შორს წაგვიყვანდა. მაინც, რამდენადაც თანამედროვე მკითხველისათვის ეს ფოლიანტი არსებითად უცნობია, საჭიროა მის შინაარსს მაინც გავეცნოთ.

აქ, სარჩევს მიხედვით, უაღრესად მდიდარი სტატისტიკური მონაცემები ასეა დალაგებული.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა I

1. თბილისის გუბერნიის კერძო (თავადაზნაურული და არათავადაზნაურული) მიწათმფლობელობა. — მაზრებისა და სოფლების მიხედვით; — მამულების განაწილება მათი სიდიდისა და მფლობელთა წოდების მიხედვით.

2. თბილისის გუბერნიის „დროებითვალდებულ“ გლეხთა მიწით უზრუნველყოფილობა.

3. გორის მაზრის 26 სოფლის გლეხური მოსახლეობის (სახელმწიფო გლეხების, „დროებითვალდებულთა“. ხიზნების. მესაკუთრე გლეხებისა და ყველა კატეგორიის გლეხთა) მიწით უზრუნველყოფილობა.

4. ცნობები ორ ბანკში — სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკსა და თბილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკში — დაგირავებული თბილისის გუბერნიის თავადაზნაურული მამულების შესახებ.

5. თბილისის გუბერნიის კერძო მიწების კერძო დავალიანება.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა II

1. კერძო მიწათმფლობელობა ქუთაისის გუბერნიაში (— მაზრებისა და სოფლების მიხედვით); — მამულების განაწილება მათი სიდიდისა და მფლობელთა წოდების მიხედვით.

2. კერძო მიწათმფლობელობა სოხუმის ოკრუგში (— მაზრებისა და სოფლების მიხედვით); — მამულების განაწილება მათი სიდიდისა და მფლობელთა წოდების მიხედვით¹.

წიგნის წინასიტყვაობას მოჰყვება ფრიად ვრცელი შესავალი, სადაც მოცემულია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში კერძო მიწათმფლობელობის შესახებ ცნობათა საერთო სტატისტიკური მიმოხილვა. აქ გაშუქებულია აგრარულ ურთიერთობათა ფრიად რთული და აქამდე შეუსწავლელი პრობლემები, როგორცაა: თავადაზნაურული მიწათმფლობელობის სტრუქტურა; ამ მამულების დავალიანებისა და არათავადაზნაურულ წოდებათა მიწათმფლობელობის ეკონომიკური საკითხები: „დროებითვალდებულ“ გლეხთა ნადელების (საკომლოების) მდგომარეობისა და მათი გამოსასყიდი ოპერაციების მიმდინარეობა; განსაკუთრებით დეტალურადაა შესწავლილი გორის მაზრის 26 სოფლის გლეხური მიწათმფლობელობისა და საერთოდ სახმარი მიწით უზრუნველყოფილობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მონაცემები ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მოპოვებული იყო ადგილებზე 1902 წელს. იმ ხანებში ორგანიზებული სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების (КОСХ) სტატისტიკური ბიუროს მიერ შედგენილი პროგრამით.

ამ სტატისტიკური ბიუროს ხელმძღვანელი თვითონ ფ. გოგიჩაიშვილი იყო.

მონაცემები კერძო მიწათმფლობელობის დავალიანების შესახებ ასახავენ 1903—1904 წწ. მდგომარეობას და ამოკრებილია თბილისის თავადაზნაურობის საადგილმამულო და თავადაზნაურობის საადგილმამულო სახელმწიფო ბანკების „საქმეებიდან“ და მთავარი ნოტარიუსის არქივიდან.

რაც შეეხება „დროებითვალდებულ“ გლეხთა მიწით უზრუნველყოფილობისა და ნადელების გამოსყიდვის ოპერაციების ცნობებს, ესენი ასახავენ 1904 წლის მდგომარეობას და ამოკრებილია ფ. გოგიჩაიშვილის მიერ საწესდებო სიგელებისა და თბილისის გუბერნიის გლეხთა საქმის საგანგოს (По крестьянским делам присутствие) „საქმეებიდან“.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრე-

¹ სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიას გამოეყო 1904 წელს.

ბულოს დავალებით ფ. გოგიჩაიშვილმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახაზინო პალატების 1906 წლის საადგილმამულო დავთრებიდან შესაბამისი ცნობები. მათი აუთენტიკურობისათვის, უწინარეს ამოსწერა სტატისტიკურ ბლანკებზე და მხოლოდ მერმე შეადგინა მათი კრებისითი ცხრილები. მთელი ეს სამუშაო დამთავრებული იყო 1907 წლის აპრილს და დასაბეჭდად გამზადებული სტატისტიკური კრებული გადაეცა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს.

თვით ასაწყობი ტექსტის სირთულის, დიდი სტატისტიკური ტაბულების აწყობის სიძნელისა და სხვ. გამო და, ბოლოს, საკუთრად ატაშის მუშაობის მოუწესრიგებლობის შედეგად ეს წიგნი დაგვიანებით გამოიცა — 1910 წ.

აქ ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ შიგარუსეთის გუბერნიებში ამაღროს ანალოგიურ ცნობებს კრებდნენ და ამუშავებდნენ უპირატესად საეროთო თვითმართველობის ადმინისტრაციის სპეციალური ორგანოები. რომლებიც შედარებით კარგად იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო კადრებითა და ფულადი სახსრებითაც. მაგრამ საეროთო თვითმართველობა ამიერკავკასიის გუბერნიებს ცარიზმმა, მიუხედავად მრავალი შეპირებისა, საერთოდ არ აღირსა.

არსებულ პირობებში, როდესაც მიწები, გამიჯვნის სამუშაოებიც აქ კუხს ნაბაჯით მიდიოდა და დასასრულს არ უახლოვდებოდა, ცხადია, ამიერკავკასიის, კერძოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის სტატისტიკის ერთადერთ წყაროს (მასალას) წარმოადგენდა მიწების (მამულების) რეგისტრაცია, რასაც სახაზინო პალატები ატარებდნენ.

სახაზინო პალატების მიერ გატარებული რეგისტრაციის მასალათა საფუძველზე მიწათმფლობელობის სტატისტიკის შემუშავების კდა, რაც ფილიპე გოგიჩაიშვილმა ესოდენ დიდი წარმატებით განახორციელა, უაღრესად იშვიათი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიაში. ამ დროისათვისაც რუსეთის იმპერიის კიდევ მხოლოდ ორიოდ (ბალტიისპირა) გუბერნიას მოეპოვებოდა დაახლოებით ანალოგიური სტატისტიკური კრებულები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე.

რამდენადაც აღებულ პერიოდში საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, გასაგებია, რომ მთელი მისი შინაგანი განვითარების ისტორია უმთავრესად მიწათმფლობელობის გარშემო ტრიალებდა. სწორედ ამიტომ ეძლეოდა ფილიპე გოგიჩაიშვილის ამ ნაშრომს განსაკუთრებულ

ლი მნიშვნელობა. ის, არსებითად, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ანატომიის გასაღებს წარმოადგენდა.

ფულის, კრედიტის, ვაჭრობის, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებების, თვით მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები უმთავრესად მიწათმფლობელობის არსებული სისტემითა და მისგან გამომდინარე ძალთა კოლიზიით იყო შეპირობებული.

მიწათმფლობელობის მოცულობათა საერთო სისტემაში, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გაბატონებული ადგილი ეჭირა ხაზინისა და კერძომფლობელ მემამულეთა უშუალო სარგებლობაში მოქცეულ მიწებს. ესენი, 1890-იანი წლების დამდეგს, შეადგენდნენ თბილისის გუბერნიის მთელი ტერიტორიის (3.929.910 დესეტინა) 73,1 პროცენტს, ხოლო ქუთაისის გუბერნიის მთელი ტერიტორიის (1.908.901 დესეტ.) — 86,3 პროცენტს.

და ასეთი ვითარების დროს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ფრიად აქტიურ როლს თამაშობდა კერძო მიწათმფლობელთა (მემამულეთა) მიწების ფონდი, ხოლო საკუთრად გლეხური მეურნეობა აგრარული საკითხის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა. სწორედ ეს გარემოებანი განაპირობებდნენ ფილიპე გოგჩაიშვილის მიერ ესოდენ გულმოდგინებით შესრულებული სამუშაოს პირველხარისხოვან პრაქტიკულ და თეორიულ მნიშვნელობას თავისი დროისათვის. ხოლო მისი ისტორიული და, მაშასადამე, თეორიული მნიშვნელობა, ცხადია, დღესაც დიდია. ის აუცილებელი პირველწყაროა ყველაათვის, ვინც დაინტერესებულია მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების საკითხებით.

ამგვარად, 900-იან წლებში ფ. გოგჩაიშვილის მიერ აგრარულ საკითხებზე დაწერილი გამოკვლევები და სტატიები საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ ნამდვილი ანატომია იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებისა, სადაც მთელი საზოგადოებრივი მოძრაობის ღერძს აგრარული საკითხი წარმოადგენდა.

ჩვენ ამ ნარკვევში ფილიპე გოგჩაიშვილის ეკონომიკურ შეხედულებათა მხოლოდ ზოგიერთ მხარეს ვიხილავთ. ის რჩეული ნაწერებიც, რომლებიც ამჟამად იბეჭდება. ამ მხრივ არასრულად ასახავენ იმ სოციალურ-ეკონომიკურ დოქტრინებს, რომელთაც იზიარებდა და ავითარებდა ფ. გოგჩაიშვილი.

მაგრამ აქ ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ფ. გოგჩაიშვილი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში, ამ მხრივ, არც თუ ისეთანმიმდევრული იყო. თავდაპირველად ის ძლიერ ახლოს იდგა სო-

ციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან და ეწეოდა კიდევაც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწერების პოპულარიზაციას.

მაგრამ შემდეგ — 900-იან წლებში, თავის ჟურნალისტურ მოღვაწეობაში იგი სულ უფრო სცილდება ქართულ პუბლიცისტიკაში ამ ყველაზე პროგრესულ მიმართულებას და, ბოლოს, ცხარე პოლემიკა იმართება ქართველ მარქსისტებსა, როგორც იყო, მაგალითად, ალ. წულუკიძე და ფ. გოგიჩაიშვილს შორის.

ჩვენ, ცხადია, არ შეგვიჩნდება ამ დისკუსიის გარჩევაზე. შესაბამისი მასალა არც შეგვიტანია ფ. გოგიჩაიშვილის რჩეულ თხზულებათა კრებულში. ამ საკითხზე, როგორც ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის საგანზე, უკვე საკმაოდაც არის დაწერილი¹; მაგრამ იგი ღირსია უფრო საფუძვლიანი და დეტალური გამოკვლევისა.

ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენს ნარკვევში, შედარებით ვრცლად გვაქვს განხილული მისი ნაწერები აგრარული საკითხის თაობაზე. ჩვენ დავინახეთ რომ ფ. გოგიჩაიშვილი გამოდიოდა როგორც გლეხობის ეკონომიკური ცხოვრების მკვლევარი, როგორც მისი მომავლისთვის თავდადებული მზრუნველი, როგორც ქომაგი და მაინც... რიგ შემთხვევაში და, მაშასადამე, საბოლოოდაც მისი შეხედულებები აგრარულ საკითხებზე სცილდება ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე შემუშავებულ შეხედულებათა სადემარკაციო ხაზს.

მხოლოდ ერთი მაგალითი. ეხებოდა რა წვრილ მწარმოებელთა და კერძოდ გლეხობის პროლეტარიზაციის პრობლემას, იგი 1905 წ. წერდა: რა თქმა უნდა ჩვენშიაც ხდება გლეხთა გაპროლეტარება „მაგრამ ეს არის გამოწვეული არა სხვილ წარმოების ტექნიკის უპირატესობითა და კონკურენციით, არამედ ხალხის გამრავლებით. ხალხი შეუჩერებლივ მრავლდება, ხოლო მიწის საერთო სივრცე ერთი და იგივე რჩება. გლეხობამ ძალაუნებურად მოიშოროს და ქალაქის მრეწველობას უნდა დაუგზავნოს ის ელემენტები, რომლებისთვისაც საგლეხო მიწათმფლობელობაში საკმაო მიწა არ რჩება და, მაშასადამე, ამ ელემენტებს სასოფლო მეურნეობით თავის რჩენა აღარ შეუძლიანთ. ამგვარად, ქართველი სამრეწველო პროლეტარიატის გამოჩენა იმას კი არ მოასწავებს, რომ წვრილი წარმოება ჰქრება, — პირიქით, ეს წარმოება დიდდება, მხოლოდ ნაკლების სისწრაფით, ვიდრე ხალხის გამრავლება“².

¹ პ. გუგუშვილი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და აზოგადობრივობაში, 1971, დამატებანი: ა. წულუკიძის ეკონომიური პუბლიცისტიკა, გვ. 259—287.

² „ივერია“, 1905, № 157.

ჩვენი თანამედროვე მკითხველისათვის, როგორც იტყვიან, განმარტება ზედმეტია.

შეხედულება, რომელსაც იმ ხანად ფ. გოგიჩაიშვილი აწვითარებდა, ეს ის თეორიაა, რომელსაც სხვადასხვა ვარიაციით როგორც ჩვენში, ისე საერთოდაც, კერძოდ რუსეთშიაც მეტნაკლები სიმკვებით ქადაგებდნენ ე. წ. ლიბერალური და პროგრესული პარტიების წარმომადგენელი მეცნიერები და პუბლიცისტები.

როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით ფილიპე გოგიჩაიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მშენებლობაში.

V. ღირსსახსროვნარი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა 1960 წელს სამეცნიერო საბჭოს სპეციალური საჯარო სხდომა მიუძღვნა ფილიპე გოგიჩაიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავს. აქ ფ. გოგიჩაიშვილის მოღვაწეობის პატივისმცემელი ფართო საზოგადოების წინაშე მოხსენება, — „ფილიპე გოგიჩაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — წაიკითხა პროფ. ვ. ჩანტლაძემ. მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: ვ. ბახტაძე, მ. ზანდუკელი, ბ. ხაია, კ. ლოღობერიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ეურნ. „საქართველოს ეკონომისტში“ (1960, № 6) გამოქვეყნდა პროფ. ბ. ხასიას სტატია „პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი“.

* * *

თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში საქართველოს რაიონებში ეწყობოდა სპეციალური საღამოები, სესიები. 1968 წლის 5 ივნისს ქ. ლანჩხუთში, სადაც დაიბადა ფ. გოგიჩაიშვილი, მოეწყო მისდამი, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

რაიონის ხელმძღვანელობას ყველაფერი გაეკეთებია იმისათვის, რომ ეს სესია კარგად და მაღალ დონეზე ყოფილიყო ჩატარებული. დანიშნულ დღეს ლანჩხუთში თბილისიდან ჩავიდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ჯგუფი, რომელთა შორის იყო ფ. გოგიჩაიშვილის ასული თამარ გოგიჩაიშვილი.

უკვე წინა დღით საქართველოს კომუნისტური პარტიის ლანჩხუთის რაიკომისა და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანოში, — „კომუნისტური შრომა“, — დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის პროფ. ს. ჯორბენაძის ვრცელი სტატია, სადაც ფართოდ იყო გაშუქებული ფ. გოგიჩაიშვილის პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. აქვე წარმოდგენილი იყო ფ. გოგიჩაიშვილისა და პ. უმიკაშვილის სურათები და სხვ. მასალა.

სამეცნიერო სესიაზე წაიკითხეს ორი მოხსენება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის შესახებ მოხსენება წაიკითხა ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გ. ჭანუყვაძემ. მოხსენება ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგემ პროფ. ვ. ჩანტლაძემ.

სესიაზე მოგონებებითა და მისალმებებით გამოვიდნენ პროფ. ვ. ბახტაძე, სტატისტიკის კათედრის გამგე დოც. შ. ბერაძე, ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ბ. ვადაჭკორია, დოცენტები გ. გურგენიძე, გ. ხელაია, ლანჩხუთის სახალხო თეატრის რეჟისორი ე. წულაძე, I საშუალო სკოლის დირექტორი გ. ჩხაიძე, პიეტი ნ. მაღაზონია, საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ. ლომაძე და ამ სტრიქონების ავტორი. საპატიო სტუმრებს მიესალმნენ ქალაქის პიონერები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, ადგილობრივი სახალხო თეატრის კოლექტივი და საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის მინიატურების თეატრი თენგიზ ჩანტლაძის ხელმძღვანელობით, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ლანჩხუთში ამ შეხვედრისათვის.

სესიაზე ნაჩვენები იყო კინონარკვევი „დისერტაციის დაცვა კოლმეურნეობაში“ (წითელწყაროს რაიონში, სოფელ არხილოს კალოში), რომელშიც, დისერტაციის დაცვაზე, როგორც არაოფიციალური ოპონენტი, იკამოდის ფ. გოგიჩაიშვილი. ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ნინოშვილის სახლმუზეუმი; სტუმრების პატივსაცემად ნინოშვილის სახალხო თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი; ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრში მათ ნახეს დოკუმენტური ფილმი „სტუმრად ლანჩხუთელებთან“ და ნამდვილადაც იყვნენ გულდია და გულსრული ლანჩხუთელი მასპინძლების ფრიად ნასიამოვნები სტუმრები.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ბიბლიოგრაფია¹

1892

1. ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი, 29 ი ვ ნ ი ს ს (ხოლერის მოლოდინი). — „ივერია“, 1892, 4 ივლ., № 139, გვ. 2—3, ხელწერა: ფ. გ.

2. გურია (ხოლერა, დრამატიული დასის შედგენა და წარმოდგენები; „ბაიყუ-ში“-ს, „ბუტიობა“-ს დადგმა. ცრუ ხმები გლეხების მიერ სესხის აღების ახალ კანონის შესახებ). — „ივერია“, 1892, 29 სექტ., № 205, გვ. 2—3. ხელწერა: უგვარო.

1898

3. ლ უ ნ კ ე ვ ი ჩ ი, ვ. ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა. თარგმ. ფ. გოგიჩაიშვილისა. თფილისი, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, მ. შარაძის სტ., 1892, 43 (1) გვ. რეც.: (ყიფშიძე ალ.) ბიბლიოგრაფია. — „ივერია“, 1893, 9 თებ., № 27, გვ. 3.

1894

4. დ უ ე ლ ი დ ა პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ი ს დ ა ც ვ ა („მეველეთა“ და „მენავეთა“ საყურადღებოდ). — „კვალი“, 1894, 31 ივლ., № 32, გვ. 7—11; 7 აგვ., № 33, გვ. 6—8; 14 აგვ., № 34, გვ. 10—12. ხელწერა: პატრიშვილა უ.

1895

5. ზ ნ ე ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. სქესობრივი მორალი (რეცენზია: ერისთავი, ა. ლაზარემ გადააჭარბა. მოთხრობა („მოამბე“, 1894, № 4, გვ. 1—52) — „მოამბე“, 1895, № 11, გვ. 34—64. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

რეც.: ბიბლიოგრაფია—„ივერია“, 1895, 31 დეკ. № 283, გვ. 3—4.

¹ შეადგინა მარი კ ა პ ა ნ ე ლ მ ა. ბიბლიოგრაფიის შედგენისას გამოყენებულია: ფ. გოგიჩაიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია შედგ. ისტ. მეცნ. კანდ. ტ. კასრაძისა და ე. სვანიძის მიერ (იხ. თსუ შრომები, ტ. 34, 1948, გვ. 16—20); ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 3—6, 1963—1969; ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკ. 3, 1944, ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტტ. 1—2, 1941—1950. კერძოდ, 1903—1906 წწ. ბიბლიოგრაფია, განსაკუთრებით გაზ. „ივერიისა“, თავის დროზე შემოწმებული იყო თვით ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

1897

6. ეკტორ ნიკოლოზის ძე დარჩია. ნეკროლოგი. მიუნხენი, 3 ივლისი — „კვალი“, 1897, 20 ივლ., № 30, გვ. 569—570.

7. მგზავრის შენიშვნები (ევროპაში) [ნაშრომში ჩართულაა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ პირველი თარგმანი ქართულ ენაზე]. — „კვალი“, 1897, 14 სექტ., № 39, გვ. 710—713; 22 სექტ., № 40, გვ. 727—730; 28 სექტ., № 41, გვ. 746—748; 19 ოქტ., № 44, გვ. 785—787; 26 ოქტ., № 45, გვ. 800—811; 9 ნოემბ., № 47, გვ. 841—842; 16 ნოემბ., № 48, გვ. 856—858; 23 ნოემბ., № 49, გვ. 870—871; 30 ნოემბ., № 50, გვ. 891—892. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

1898

8. გერმანიის ამბები. — „კვალი“, 1898, 8 მარტი, № 11, გვ. 188—192; 15 მარტი, № 12, გვ. 208—211; 29 მარტი, № 14, გვ. 247—249; 5 აპრ., № 15, გვ. 264—266; 19 აპრ., № 17, გვ. 297—300; 26 აპრ., № 18, გვ. 316—318. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

9. მგზავრის შენიშვნები. ქ. მიუნხენი. — „კვალი“, 1898, 10 იანვ., № 3, გვ. 47—50; 18 იანვ., № 4, გვ. 66—69; 25 იანვ. № 5, გვ. 87—89; 24 მაისი, № 22, გვ. 379—380; 31 მაისი, № 23, გვ. 394—395; 7 ივნ., № 24, გვ. 412—414; 14 ივნ., № 25, გვ. 427—429; 21 ივნ., № 26, გვ. 442—444; 5 ივლ., № 28, გვ. 477—479; 2 აგვ. № 32, გვ. 540—542; 16 აგვ., № 34, გვ. 570—572; 30 აგვ., № 36, გვ. 604—606; 6 სექტ., № 37, გვ. 622—624. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

10. საპარლამენტო არჩევნები პრუსიაში (წერილი გერმანიიდან) (საკუთარის კორესპონდენტისაგან). — „ივერია“, 1898, 18 ნოემბ., № 247, გვ. 1—2; 19 ნოემბ., № 248, გვ. 1—2. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

11. სარეისსტაგო არჩევნები გერმანიაში, — „კვალი“, 1898, 12 ივლ., № 29, გვ. 490—493; ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

12. საფრანგეთში დრეიფუსის საქმე. — „ივერია“, 1898, 13 სექტ. № 197, გვ. 1—3, ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

13. საფრანგეთში „რადიკალური“ სამინისტრო. — „კვალი“, 1898, 19 ივლ., № 30, გვ. 503—506. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

1899

14. ახალი კანონპროექტი გერმანიის მუშათა შესახებ (წერილი გერმანიიდან). — „ივერია“, 1899, 27 ივნ., № 135, გვ. 1—3, ხელწერა: ფ. პ.

15. ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა, — „კვალი“, 1899, 4 ივლ., № 27, გვ. 436—440; 11 ივლ., № 28, გვ. 451—454; 18 ივლ., № 29, გვ. 467—470; 25 ივლ., № 30, გვ. 507—510; 1 აგვ., № 31, გვ. 525—528; 15 აგვ., № 32, გვ. 582—585, 22 აგვ., № 34, გვ. 602—604. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

16. ლეგრანი, ლუი, სამშობლო (Legrand, Louis. L' Jdee de Patrie. Paris, 1897, XIV, 335 p. [თარგმნ. III და IV თავი]. — „ივერია“, 1899, 17 ივნ. № 126, გვ. 1—3; 18 ივნ., № 127, გვ. 1—3. 19 ივნ., № 128, გვ. 1—3. ხელწერა: პატრიშვილი, ფ.

1900

17. [რეცენზია]: რაიხსბერგი, ნ. მუშათა კითხვა უწინდელ და ეხლანდელ დროში თარგმ. ევგენია სოლორაშვილის. ბათუმი, კილაძის და ამხ. გამოც. 1900;

